# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 26 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 261 (6361)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ღვთის წყრომა არ დამთავრებულა!





5

მამუკა არეშიძე: **ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებს, პოზიციებს და იდეებს კავკასიაში ჯერჯერობით ვერ ვხედავ**



3

## „გეორგიკა“... გარსონების ქვეყანა...

3

ჩვენებური წარმოება ჩავკლათ სხვათა სასიკეთოდ?!





2

## პრაიმერის ჩასატარებლად წამგზომი ჩართულია

ზურაბ ნოღაიდელი რუსეთში ვიზიტებს არ შეწყვეტს

## ფიქრები პოლიტიკურ კულტურაზე

6

## ახალი ესტაკადა ზოგადი ილუმინაციის ფონზე



დედაქალაქი

4



კიდევ ერთი ვერსია

## სტალინის მემკვიდრის საიდუმლოება

9

კანდიდატის არჩევით ბელადმა, ალბათ, თავის თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა

№ 261. შაბათი, 26 დეკემბერი, 2009 წელი.

◎ თავად განსაჯეთ!

# პრაიმერის ჩასატარებლად წამმზომი ჩართულია

## ზურაბ ნოღაიდელი რუსეთში ვიზიტებს არ შეწყვეტს

**ზურაბ ნოღაიდელის ჩრდილოეთიდან დაბრუნებას სულმოუთქმელად ელოდა ქართული საზოგადოება და განსაკუთრებით ჟურნალისტები. მიზეზის ახსნა, ვფიქრობ, საჭირო არც არის. ამის მიუხედავად ვიტყვი, რომ დღეს, როცა ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება ისე მჩქეფარედ აღარ მიედინება, როგორც გაზაფხულზე, ქართველი პოლიტიკოსების ღია ვიზიტები რუსეთში, თან ისეთ ფიგურებთან შეხვედრა, როგორიც ვლადიმერ პუტინია, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ემსგავსება (ოპოზიციაში, ე. წ. რადიკალურ ოპოზიციაში თუ ხელისუფლებაშიძ, ამბობენ ყველაფერს და ამავე დროს არაფერს. ზოგის თვალში ისინი, მათ შორის ზურაბ ნოღაიდელიც, მოღალატეა...**

ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რაც ზურაბ ნოღაიდელის ბოლო პერიოდის პოლიტიკურმა ნაბიჯებმა გამოიწვია. რუსეთში მისი ვიზიტი არც პირველი ყოფილა და, როგორც თვითონ ამბობს, არც უკანასკნელი იქნება. ყოფილი პრემიერ-მინისტრის ქმედებები კითხვებს აღუძრავს, რომლებზე პასუხსაც მოითხოვენ.

ყველა ელოდა, რომ ზურაბ ნოღაიდელი დაბრუნების შემდეგ ოპონენტებსაც გასცემდა პასუხს და რუსეთში ვოიაჟზე უფრო ვრცლადაც ისაუბრებდა. ასეც მოხდა, ოღონდ... ნაწილობრივ. ექსპრემიერი დაბრუნებისთანავე სასტუმრო „ბეტსში" შეხვდა „კონსერვატორებს" და „ხალხის პარტიას". რუსეთში ვიზიტზე მხოლოდ კომენტარებით შემოიფარგლა, სამაგიეროდ ზვიად ძიძიგურსა და კობა დავითაშვილთან ერთად ვრცლად ისაუბრა ადგილობრივ არჩევნებსა და ოპოზიციის სამოქმედო გეგმაზე ამ არჩევნების მოსაგებად.

„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" პრაიმერის ჩატარების მომხრე პარტიებს (კონსერვატიული პარტია, ხალხის პარტიაძ უერთდება და სხვებსაც მოუწოდებს მასში მონაწილეობისკენ. სამეულმა უკვე შეიმუშავა პრაიმერის წესების პროექტი და წინასწარი პრეზენტაციაც გამართეს. საინიციატივო ჯგუფი ქმნის წინასწარი არჩევნების საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც უზრუნველყოფს პრაიმერისთვის საჭირო ყველა ღონისძიებას. დღეიდან კი ყველა ოპოზიციურ პარტიასთან პრაიმერში მონაწილეობის მისაღებად მოლაპარაკებები დაიწყება. პრაიმერის ინიციატორებმა შეთავაზება უკვე გაუგზავნეს ოპოზიციურ პარტიებს: „ალიანსი საქართველოსთვის", „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო", ეროვნული ფორუმი, „თეთრები", ლეიბორისტული პარტია, „მომავლის პარტია", „საქართველოს გზა" და ა. შ. იმთავითვე უარი განაცხადეს ქრისტიან-დემოკრატებმა. 10 იანვრამდე გავიგებთ დათანხმდებიან თუ არა დანარჩენი ოპოზიციონერები პრაიმერში მონაწილეობას. ერთი კია, ყველა ერთხმად აღნიშნავს (ექსპერტებიძ, რომ ერთიანი კანდიდატი ყველაზე დიდ შანსს მისცემს ოპოზიციას.

**ზვიად ძიძიგური, კონსერვატიული პარტიის ლიდერი:** – წინასწარი არჩევნებით ერთიანი კანდიდატის შერჩევის აუცილებლობა კიდევ უფრო ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ უგულებელყო ოპოზიციის ყველა წინადადება და დააწესა მერიისა და საკრებულოს წევრების არჩევა 50-პროცენტიანი ბარიერის გარეშე. ამიტომ ნათელია, რომ ხელისუფლებაზე მეტი ხმების დაგროვება მხოლოდ ერთ კანდიდატს შეუძლია. მოვუწოდებთ ყველა პარტიას, რაც არ უნდა განსხვავებული იყოს მათი პოზიციები, მოგვმართონ კონკრეტული და კონსტრუქციული წინადადებებით, ნაცვლად ძილიკისა და დესტრუქციისა. მზად ვართ, განვიხილოთ ყველა შენიშვნა, წინადადება და გადავდგათ შემხვედრი კომპრომისული ნაბიჯები.

**კობა დავითაშვილი, ხალხის პარტიის ლიდერი:** – თითოეული შეხვედრა, რომელიც შედგება ოპოზიციონერთა შორის, იქნება საჯარო და მოლაპარაკების შედეგები დაუყოვნებლივ ეცნობება საზოგადოებას. მოლაპარაკებები 2010 წლის 10 იანვარს დასრულდება, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისთვის პარტიებს დრო თებერვლის ბოლომდე ექნებათ.

პარტიებთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა ზურაბ ნოღაიდელმაც. მან აღნიშნა, რომ გაუგებს იმ პარტიებს, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობენ არჩევნებში, მაგრამ გაუჭირდება იმ პარტიების გაგება, რომლებიც გეგმავენ არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ მხარს არ უჭერენ ოპოზიციის გაერთიანებას და ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას.

პრაიმერის თემაზე მეტად, პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დეტალები აინტერესებდათ. როგორც ზურაბ ნოღაიდელმა აღნიშნა, რუსეთის პრემიერ-მინისტრს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე ესაუბრა, მათ შორის ქუთაისში ვანდალურად დანგრეულ „დიდების მემორიალზე". მომავალი ვიზიტის ფარგლებში კი ყოფილი პრემიერი „ედინაია როსიასთან" თანამშრომლობის დოკუმენტს მოაწერს ხელს.

**ზურაბ ნოღაიდელი, „სამართლიანი საქართველოს ლიდერი":** – მოსკოვში ვიზიტები და შეხვედრები რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან, ჩემი პოლიტიკური გამარჯვებაა. ამის გამო საქართველოს მთავრობა გადარეულია და არ იცის რა გააკეთოს. რუსეთში ვიზიტი ჩემი შეგნებული გადაწყვეტილებაა: ვაპირებ მათთან ურთიერთობების აღდგენას და ამისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. ჩვენი მთავარი ამოცანაა საქართველოს გაერთიანება და განვითარება, მაგრამ ეს ძეგლების ნგრევით და დაპირისპირებით ვერ მიიღწევა. რაც შეეხება 2010 წელს, ეს იქნება საქართველოს გამარჯვების წელი და ამ სცენარში მიხეილ სააკაშვილის ადგილი არ არის.

ზურაბ ნოღაიდელს ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევს ახსნა-განმარტებების მიცემა. სხვა პოლიტიკოსების ფონზე ის ძალიან „გაპიარდა" და ერთბაშად იქცა საინტერესო პოლიტიკურ მოთამაშედ. ის წერს თავის სცენარებს ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის და მასში სააკაშვილის ადგილს ვერ ხედავს. ვინ დაიჯერებს, რომ სააკაშვილი ამას შეურიგდება! ოპოზიციის გამოცოცხლების ნიშნები, რომლებიც თანდათან მატულობს, სავარაუდოდ მალე მიაღწევს პიკს, საინტერესო იქნება მართლა მოახერხებენ თუ არა მეროების ერთიანი კანდიდატის წარდგენას და ვინ იქნება ის, შეურიგებელი სააკაშვილი კი ახალ გეგმას შეიმუშავებს და მისი მოწინააღმდეგე თუ მცირე შეცდომას მაინც დაუშვებს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში, გაფაციცებული პრეზიდენტი ყურებით დაიჭერს და კიდევ ერთხელ დიდი ანგარიშით დაამარცხებს. ამის მაგალითი მრავლად გვაქვს.



**ანა წიწილაშვილი**

◎ რკინიგზა

# ობლიგაციებით – მილიონების მოგება

**საქართველოს რკინიგზამ გამოშვებული ობლიგაციების მეშვეობით 25 მილიონი ლარი მიიღო.**

საქართველოს რკინიგზის წარმომადგენელთა განცხადებით, ობლიგაციების გამოშვება ამ შემთხვევაში მიზნობრივია და იგი პირველი ქართული მატარებლის დამზადებასა და რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის დაფინანსებას მოხმარდება.

პროცენტის (წლიური 13.5%ძ გადახდა მოხდება ყოველ 6 თვეში, ხოლო ძირი თანხა – 25 მილიონი ლარი – 2 წლის თავზე დაიფარება.

ობლიგაცია – ეს გახლავთ მთელს მსოფლიოში კარგად ცნობილი სასესხო ფინანსური ინსტრუმენტი, ფასიანი ქაღალდი, რომელიც დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების და საბანკო კრედიტის ალტერნატივაა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ „რუსეთის ავადმყოფობა?!"

# საქართველოს და უკრაინის შესახებ კადიროვის განცხადების უკან პუტინი დგას



**ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის განცხადება საქართველოს და უკრაინის ლიკვიდაციის შესახებ თბილისში შეაფასეს, როგორც მოსკოვის პროვოკაციისა და აგრესიული პოლიტიკის გაგრძელება. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ჩეჩნეთის ლიდერის განცხადების უკან რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი დგას.**

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა „დი ტელეგრაფისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა რუსეთის ავადმყოფობაა, რომელიც უნდა აღმოვფხვრათ – გადავიდეთ შეტევაზე. მისი აზრით, საქართველოს შარშანდელი თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე – ეს იყო დასავლეთის ქვეყნების ანტირუსული შეთქმულების ნაწილი მთელი კავკასიის დაპყრობის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით კადიროვმა მოუწოდა რუსეთის მთავრობას, შეიმუშაოს სტრატეგია, ვინაიდან, მისი აზრით, საჭიროა შეტევაზე გადასვლა.

„საქართველო, სამხრეთი ოსეთი, უკრაინა – ყოველივე ეს გაგრძელდება და გაგრძელდება. ეს რუსეთის ხშირი ავადმყოფობაა. რატომ უნდა ვიტანჯებოდეთ ჩვენ ყოველთვის, თუ შეგვიძლია მოვახდინოთ ამ პრობლემის ლიკვიდაცია? ჩვენ დიდი ქვეყანა ვართ, ჩვენ გვაქვს ყველაფერი: არმია, ტექნოლოგია. ჩვენთვის აუცილებელია შეტევაზე გადასვლა", – განაცხადა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა.

◎ განცხადება

# საპატრიარქო გადაუმოწმებელი ფაქტების გავრცელებას გმობს

**საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მასმედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია პატრიარქისა და წმიდა სინოდის წევრების დაპირისპირების შესახებ, რაც, საპატრიარქოს განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება.**



– ეკლესიის წინააღმდეგ აგორებულ ცილისწამებებს, სამწუხაროდ, დაემატა პატრიარქისა და წმიდა სინოდის წევრების დაპირისპირების შესახებ ცრუ ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტმა აბრაამმა, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა, ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსმა ანტონმა და დმანისის ეპისკოპოსმა ზენონმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მოსთხოვეს საპატრიარქო ტახტიდან გადადგომა, რაც 2009 წლის 19 ნოემბერს გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში" დაიბეჭდა, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

საპატრიარქოს განცხადებით, განმარტების შემდეგაც გაზეთის გამომცემელმა მალხაზ გულაშვილმა ცილისწამების გამო ეპისკოპოსებთან მიმართებაში დღემდე არ შეინანა, რის გამოც მღვდელმთავრები და წმ. სინოდი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

– გვჯერა, რომ ეს არ გაკეთდა მიზანდასახულად, ამიტომაც კიდევ ერთხელ შევახსენებთ ბატონ მალხაზს, უარყოს ეს სიცრუე. მივმართავთ სხვა საინფორმაციო საშუალებებსაც, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ფაქტების გავრცელებისაგან, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ინფორმაცია

## ლავროვი კვლავ ომის წამოწყებას შიშობს

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საქართველოს ხელისუფლებას ისევ ომისათვის მზადებაში ადანაშაულებს. ეს რუსეთის საგარეო უწყების პირველმა პირმა მოსკოვში გააკეთა.**

– მას, ვინც საქართველოს არმიას აღდგენასა და შეიარაღებაში უწყობს ხელს, კარგად უნდა ესმოდეს რომ, ამით საქართველოს ხელისუფლებას ახალი ავანტიურისაკენ უბიძგებს, – განაცხადა ლავროვმა.

## რუსები გუდაუთის აკვატორიაში ნავთობს ეძებენ

**აფხაზმა სეპარატისტებმა „როსნეფტთან" 15-მილიარდიანი ხელშეკრულება გააფორმეს. რუსული კომპანია 2010 წლიდან შავი ზღვის გუდაუთის აკვატორიაში ნავთობის მოპოვების დაწყებას გეგმავს. ხელშეკრულების მიხედვით, ასევე გათვალისწინებულია აფხაზეთში ბენზინგასამართი სადგურებისა და თხევადი გაზის კომპლექსების მშენებლობა.**

– დიდი ხანია ამ მიმართულებით ვმუშაობთ. მადლობას ვუხდი რუსულ მხარეს. „როსნეფტის" აფხაზეთში ჩამოსვლა უკვე ნიშნავს იმას, რომ ეს ძალიან სერიოზული ინიციატივაა. ეს ნიშნავს აფხაზეთის შევსებულ ბიუჯეტს და ახალ სამუშაო ადგილებს, ამიტომაც ეს ჩვენთვის ძალიან მომგებიანი პროექტია, – აცხადებს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

განსჯა

# „ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებს, პოზიციებს და იდეებს კავკასიაში ჯერჯერობით ვერ ვხედავ“

**აგვისტოს ომის შემდეგ კავკასიის რეგიონში საკმაოდ საინტერესო პროცესები დაიწყო: თურქეთი და სომხეთი გააქტიურდნენ, ჩრდილოეთ კავკასიაში კი სიტუაცია დღითი დღე მწვავდება. საქართველოს როლზე რეგიონში მიმდინარე პროცესებში, ასევე ომგავლილი საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებაზე და სხვა საკითხებზე „პირველი“ ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო მამუკა, ექსპერტების ნაწილი და ოპოზიცია აქტიურად საუბრობენ იმაზე, რამდენად შემცირდა საქართველოს როლი რეგიონში და საერთაშორისო ასპარეზზე გასული წლის აგვისტოს ომის შემდეგ. თქვენ როგორ შეაფასებთ საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებას და რა შეიცვალა ქვეყნისათვის თავად კავკასიის რეგიონში?**

— საერთაშორისო თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, საქართველოს როლი და ფუნქცია მნიშვნელოვნად შემცირდა. სომეხი და აზერბაიჯანელი ექსპერტები საქართველოსთან მიმართებაში ტერმინს „დემოკრატიის ლოკომოტივი“ იყენებდნენ. იგულისხმებოდა, რომ ამ ლოკომოტივს ეს ორი რესპუბლიკა ევროპაში უნდა გაეყვანა. ასევე ხატოვნად რომ ვთქვათ, სადღეისოდ ეს ლოკომოტივი რელსებიდან გადასულია. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება, შემდეგნაირად შეფასდეს: ჯერჯერობით ვერც გასული წლის აგვისტოს კატასტროფის მნიშვნელობაა ჯეროვნად გააზრებული და არც ქვეყნის ომისშემდგომი მდგომარეობის განსაზღვრის პროცესი დაწყებულა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი მეზობლები აგვისტოს ომის შემდეგ უაღრესად გააქტიურდნენ და დაიწყო ერთგვარი მდგომარეობითი გადანაწილება. აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთისა და რუსეთის მაგალითზე ეს ყველაფერი კარგად ჩანს. საქართველო კი, მიუხედავად ხელისუფლების გარკვეული უსახური მცდელობებისა, ამ პროცესებს მხოლოდ გვერდიდან აკვირდება და ვერაფერში ერევა. რაც შეეხება საქართველოსადმი საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას, ეს კლასიკური შემთხვევაა ჩვენი ისტორიის თვალსაზრისით: საერთაშორისო საზოგადოება ისე იქცევა, როგორც იქცეოდა ადრე - „ერთა ლიგის“ 1921 წლის პოზიციიდან დაწყებული, დღემდე და ცდილობს, ანგარიში გაუწიოს ძლიერს — ყოველ შემთხვევაში, ქმედებების ნაწილში. სამწუხაროდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერც ჩვენ ვისწავლეთ ჭკუა და ვერც ევროპამ. თანამეგობრობა, რომელმაც მიუნჰენის პროცესი გამოიარა, უფრო დაკვირვებული და კონსტრუქციული უნდა იყოს, თავის შეცდომებზე უნდა სწავლობდეს, მაგრამ როგორც ვხედავთ, ვერ სწავლობს, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, შეგუებულები უნდა ვყოფილიყავით იმ აზრს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ასეთ სიტუაციებში მოქნილი და ქმედითი არ არის; უნდა გვცოდნოდა, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა გამოიხატება მაქსიმუმ, ფინანსურ ინექციებში და განცხადებებში. პირადად მე მეტის იმედი არც მქონია. ღმერთმა ქნას, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულების შესრულება აიძულოს რუსეთს, თუმცა მე ეს აბსოლუტურად შეუძლებლად მიმაჩნია.

**— თურქეთსა და სომხეთს შორის გაფორმებული პროტოკოლის რატიფიცირება ამ დრომდე არ მომხდარა, უცხოური მედია კი აქტიურად საუბრობს იმაზე, რომ ვაშინგტონი თურქეთისგან მოითხოვს, რაც შეიძლება, სწრაფად მოახდინოს აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირება. როგორ ფიქრობთ, რამდენად მზადაა ამისათვის სომხეთისა და თურქეთის საზოგადოება?**

— ვერავითარი ზეწოლა თურქეთსა და სომხეთზე ამერიკის შეერთებული შტატების თუ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან სიტუაციას რეალურად ვერ შეცვლის. თურქეთის პარლამენტში არიან ადამიანები, რომლებიც აღნიშნული ხელშეკრულების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან, სომხეთში ხომ — მით უმეტეს: უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქ სამხედროები არიან და შეტაკების საფრთხე ძალზე რეალურია. ამის გამაფრთხილებელი ფაქტი აგვისტოში უკვე მოხდა, როდესაც აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე შეტაკება მოხდა და რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. საგულისხმოა, რომ ამ დოკუმენტის რატიფიცირება არ ითვალისწინებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას, აზერბაიჯანი კი ასეთ პირობებს არასოდეს მიიღებს. თავის მხრივ, თურქეთში იციან, რომ ამ დოკუმენტს თან არ დაერთვება ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების გეგმა, მაშინ თურქეთი აზერბაიჯანს დაკარგავს. აზერბაიჯანმა რომ ცალკე დაიწყო თამაში, უკვე ნათლად ჩანს: მან უკვე გადახედა იმ ფორმას, რომლითაც წლების განმავლობაში თურქეთს იგი ენერგოპროდუქტებს აწვდიდა. ეს აზერბაიჯანის მხრიდან გამაფრთხილებელი დემარშია, მომავალში კი რა პირობებს წაუყენებს იგი თურქეთს, ჯერ კიდევ საკითხავია. რაც არ უნდა მოხდეს, თურქეთის ვერც ერთი ხელისუფლება ვერ დათმობს აზერბაიჯანს, რადგან ეს ნიშნავს ხალხში რეიტინგისა და პოპულარობის დაკარგვას. ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ რატიფიცირების საკითხი იმდენ ქვესაკითხზეა მიბმული, რომ ვერავითარი ამერიკული ზეწოლა სიტუაციას ვერ შეცვლის. ყველაფერი უნდა იყოს გათვლილი, გაწერილი და მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარება ამ ყველაფერს თან უნდა ახლდეს.

**— აზერბაიჯანის პრეზიდენტის ცნობილ განცხადებაზეც მინდა, გკითხოთ, რომლის თანახმად, „თუ მთიანი ყარაბაღის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარება ვერ მოხერხდება, არ არის გამორიცხული, ის სამხედრო გზით გადაწყდეს“. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია, აზერბაიჯანმა კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრა გადაწყვიტოს?**

იხ. 4 გვ.

პრობლემა

# „გეორგიკა“... გარსონების ქვეყანა...

## ჩვენებური წარმოება ჩავკლათ სხვათა სასიკეთოდ?!

**არ იკითხავთ, პატივცემულო მკითხველო, მსოფლიოში ძველთაგანვე „გეორგიკად“, ანუ „მიწათმოქმედთა ქვეყნად“ ცნობილი მხარის გლეხობის პროდუქციას საკუთარ შიდა ბაზარზე რა ადგილი უკავია? მოგახსენებთ: მხოლოდ 18 პროცენტი!**

ბევრს, ალბათ, არ გაუკვირდება იმის გაგება, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შიდა სამომხმარებლო ბაზარზე თავისი წილით სახელმწიფოთა შორის ერთპიროვნული ლიდერია **თურქეთი,** რომლის წილად 63 პროცენტი მოდის. საქართველოს, როგორც აღვნიშნეთ, 18 პროცენტით მეორე ადგილი (!ძ უკავია, შემდეგ კი მოდიან **აზერბაიჯანი** (ბაზრის 8 პროცენტიძ, **სომხეთი** (5 პროცენტიძ, დანარჩენი 6 პროცენტი რამდენიმე ქვეყანაზეა გადანაწილებული (ბრაზილიაზე, ინდოეთზე და სხვ.ძ.

არადა, ნამდვილად არ ვცდებით, როცა თუნდაც სადღესასწაულო სუფრასთან მსხდომნი სიამაყით ვამბობთ: ჩვენში მარცვალი უკუღმა რომ გადააგდო წალმა ამოვაო. საქართველოში არაერთი სოფლის მეურნეობის კულტურის წელიწადში ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობა რომ არის ბუნებრივი კლიმატისა და ნიადაგის მადლით, ეს ხომ საყოველთაოდაა ცნობილი!

ზოგადად რომ ვთქვათ, საქართველოს სოფლის მეურნეობას უდიდესი, ჯერაც გამოუყენებელი პოტენციალი აქვს საიმისოდ, რომ არა მარტო შიდა ბაზარზე გახდეს (და უნდა იყოს კიდეც!ძ ლიდერი, არამედ გარკვეული მტკიცე პოზიციები მოიპოვოს საერთაშორისო ბაზრებზეც, თუმცა ამას დიდი შრომა, მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა, აგრეთვე დაკვირვებაა საჭირო. ამ უკანასკნელს ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ ხშირად გაისმის ხმები, საქართველოს ციტრუსების ექსპორტით მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება შეუძლიაო. ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ერთი რუსი ოლიგარქის მაგალითი, რომელმაც აფხაზეთში, თავისი კრიმინალური თვალსაზრისით არცთუ უმწიკვლო კავშირების მეშვეობით, ციტრუსების პლანტაციები და მათი გადამმუშავებელი საწარმოები შეიძინა, თუმცა, მრავალი მიზეზის გამო, რომელთა შორის მხოლოდ ერთს, მაგრამ, ალბათ, უმნიშვნელოვანესს დავასახელებთ — ეს შესაბამისი ინფრასტრუქტურის უარსებობაა — ამ ჯიბესქელმა ძიამ აფხაზეთიდან ვერც ერთი ფორთოხლის თუ მანდარინის გატანა ვერ შეძლო, შესაბამისად, მთელი ბიზნესიც საპნის ბუშტივით გასკდა...

> **ინფორმაცია თემაში**
>
> **სადღეისოდ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე პამიდვრისა და მისგან წარმოებული პროდუქტები 16 ქვეყანას შემოაქვს, ხოლო ადგილობრივი წარმოების ანალოგიურ პროდუქციას მოხმარების ბაზრის მხოლოდ... ერთი პროცენტი უკავია. ექსპერტების შეფასებით კი მარტო მარნეულ-გარდაბნის ზონაში მოყვანილი პამიდვრისა და მისგან დამზადებულ პროდუქტებს შიდა ბაზრის ასპროცენტიანი ათვისებაც შეუძლია და საექსპორტოდაც ბევრი მორჩება.**




აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ თუმცა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების უზარმაზარი პოტენციალია, მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 12 პროცენტია. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: უცნაური თვისება გვაქვს ქართველებს — ვიდრე ჩვენსას უცხო ქვეყნის შვილები არ შეგვიქებენ, საკუთარის დაფასება არამც და არამც არ ვიცით. ამჯერად ჩვენი შიდა ბაზარი სავსეა თურქეთიდან შემოტანილი უამრავი პესტიციდით გაჯერებული ბოსტნეულით, ევროპელები კი ამ დროს საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების აწყობით არიან დაინტერესებულნი, რომელიც ყველა ნორმალურ აგრარულ ბაზარში არაორგანული სასუქით მოყვანილზე ხუთჯერ ძვირი ღირს. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც საქართველოში უკვე კარგა ხნის მანძილზე მოქმედი ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მცენარეთა სერტიფიცირების კავკასიის ცენტრები.

საქართველოში აგრარული სექტორის დაკნინებას მრავალი მიზეზი აქვს, რომელთა შორის, ერთ-ერთი მთავარი, ალბათ, საზღვარგარეთული სოფლის მეურნეობის (და არა მარტო მისიძ პროდუქციის ქართველ იმპორტიორთა მერკანტილური დაინტერესებაა, ვისაც, ზოგადად, ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების განაწილება ეხება. ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში ორ პროცენტს ვერ სცილდება.

სოფლად შრომის მწარმოებლობის დაბალი დონე ხომ ჩვენში არავითარ ემოციას აღარ იწვევს: გლეხობის აბსოლუტური უმრავლესობა მიწას ისევ მამა-პაპისეული მეთოდებით ამუშავებს, რადგან, ჯერ ერთი, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა არა აქვს და, მეორეც, რომც ჰქონდეს, იმის გამოყენებასაც ცოდნა უნდა. მესამე კიდევ ის, რომ, რომც ჰქონდეს და იცოდეს, საწვავი ისე ძვირია, რომ ისევ ძველებურად ხელით მუშაობა ურჩევნია...

აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მესვეურები თავს არიდებენ გრძელვადიან რისკებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაფინანსებასთანაა დაკავშირებული და ისევ და ისევ, კრედიტების გაცემის აბსოლუტურ უმრავლესობაში, მაინც სავაჭრო სექტორის საწარმოთა მხარდაჭერას ანიჭებენ უპირატესობას, სადაც მოგების მიღება თითქმის ასი პროცენტითაა გარანტირებული. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში ისეთი მზა პროდუქტის ანდა მისი კომპონენტის შემოტანას და, შესაბამისად, უცხოელი მწარმოებლის არაპირდაპირი გზით დაფინანსებას, რომლის წარმოება საქართველოში არა თუ შეიძლება, არამედ ტრადიციულად არსებობდა კიდეც.

> **ინფორმაცია თემაში**
>
> **ადგილობრივი წარმოების მცირეალკოჰოლიან, უალკოჰოლო სასმელებში თუ ხილის წვენებში, რომლებიც საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარზე იყიდება, ადგილობრივი კომპონენტი მხოლოდ... წყალია (!!). რატომ? თავად განსაჯეთ: მაგალითად, ლუდის წარმოების მთავარი ნედლეული, ალაო, უცხოეთიდან (ჩეხეთიდან, გერმანიიდან და სხვ.) შემოაქვთ, არადა, მის საწარმოებლად საჭირო ქერი ჩვენში ტრადიციული კულტურაა; ხილის წვენებსა და უალკოჰოლო სასმელებს ასევე უცხოეთიდან შემოტანილი არანატურალური კონცენტრატებით ამზადებენ, ქართული ხილი კი, გადამმუშავებელი ქარხნების ნაკლებობის გამო, ლამის ხეებზე ლპება.**

ამდენად, თუ სახელმწიფო დროულად არ იზრუნებს აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობაზე, შესაბამისად არ დააფინანსებს და არ დააზღვევს მას, უწინ „გეორგიკად“ ცნობილი ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში მართლაც მხოლოდ გარსონ-ოფიციანტების, მსახურების, ტაქსის მძღოლებისა და ექსკურსიამძღოლების ქვეყნად გადაიქცევა.

**ოთარ ტურაბელიძე**

დედაქალაქი



# ახალი ესტაკადა ზოგადი ილუმინაციის ფონზე

**თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები, ვისაც ბოლო დროს გმირთა მოედანზე გავლა მოუწია, უთუოდ მიაქცევდნენ ყურადღებას, რომ ახლა მოედნის გაზონი, რომლის შუაგულში შადრევანი იდგა, სამშენებლო მოედნადაა გადაქცეული ისევე, როგორც ვარაზისხევის აღმართის დასაწყისი. ბუნებრივია, დავინტერესდი, თუ რა ხდება ქალაქის ამ მეტად მნიშვნელოვან საკვანძო გზაჯვარედინზე.**

მსოფლიოს სხვა დიდი ქალაქების მსგავსად, თბილისიც დიდი ხანია მომძლავრებული საავტომობილო ნაკადისგან „იგუდება“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დედაქალაქში, მეგაპოლისებთან შედარებით, საავტომობილო მოძრაობა გაცილებით ნაკლები ინტენსივობისაა, ქალაქის ცენტრში, სულ მცირე, 50-60 წლის წინათ აშენებული ქუჩებით ავტოტრანსპორტით თავისუფლად მოძრაობა მაინც ჭირს, რაც განსაკუთრებით პიკის საათებშია საგრძნობი. გარდა ამისა, თბილისშიც, ისევე, როგორც ყველგან, არის ისეთი ადგილები, რომლებიც საავტომობილო მოძრაობისთვის განსაკუთრებულად „მტკივნეულ წერტილებს“ წარმოადგენენ და რომელთა განტვირთვას ქალაქის მასშტაბით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ავტოსატრანსპორტო მოძრაობის ასეთ „აქილევსის ქუსლს“, რომელიც პიკის საათებში ლამის „გორდიას კვანძად გადაიქცეს“, თბილისის ცენტრში სწორედ გმირთა მოედანი წარმოადგენს, რომელსაც მანქანები ხუთი მხრიდან უდგება. ამ კვანძის „გაჭრის“ თაობაზე ლაპარაკი და მსჯელობა არაერთი ათეული წელია მიმდინარეობს, თუმცა პრობლემის გადაწყვეტას საშველი ვერა და ვერ დაადგა.

ახლა კი, ამ პრობლემას, როგორც ჩანს, მალე ბოლო მოეღება. გმირთა მოედანზე ორსართულიანი საავტომობილო ესტაკადა შენდება. ამ შესაძლებლობას ზოოპარკის ქალაქის ცენტრიდან თბილისის ზღვაზე შესაძლო გადატანამ გაუხსნა გზა. გეგმის თანახმად, ორსართულიანი ესტაკადის პირველი სართული, გარკვეული მოდიფიცირებით, ადრინდელივით დარჩება, მეორეს მეშვეობით კი, მაგისტრალური მიმართულებები — თამარ მეფის გამზირი-ვარაზისხევი, თამარ მეფის გამზირი-კოსტავას ქუჩა, თამარ მეფის გამზირი-ვერეს ხეობით თამარაშვილის ქუჩას კოსტავას ქუჩით გმირთა მოედანი თავის გაგრძელებასა და თამარ მეფის გამზირს პირდაპირ შეუერთდება. მოკლედ, ახალი ესტაკადის მეორე სართული, ცხადია, სათანადო კორექტივებით, პირველ, ამჟამად მოქმედს გაიმეორებს.

ესტაკადის მშენებელი კომპანიით და მშენებლობის დასრულების ვადით რომ დავინტერესდი, მითხრეს, სამუშაოს ქართულ-გერმანული კომპანია „კაუკაზუს როუდ პროექტი“ აწარმოებს, ხოლო თავად ობიექტი 2010 წლის მაისში ჩადგება მწყობრშიო.

სიმართლე გითხრათ, როცა გავიგე, ესტაკადა შენდებაო, მაშინვე ერთმა აზრმა გამიელვა, ვადაც რომ მითხრეს, ამან კიდევ სხვა აზრები წამომიშალა. წურავის ეგონება „ჩასაფრებული“ ჟურნალისტის პოზიციიდან ვუდგებოდე საკითხს, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვი, ესტაკადის აშენების თაობაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ კომუნისტური წყობილების დროიდან მოდის, ამდენად პრობლემა ქალაქისთვის ახალი სულაც არ არის და ის დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მაინც უნდა გადაწყვეტილიყო. ამის შესახებ, ცხადია, არ შეიძლებოდა, რომ არც სცოდნოდათ თბილისის მერიაში, საკრებულოში. მაშ, იქნებ გვითხრან, რაღა საჭირო იყო გმირთა მოედნის შუაგულში იმხელა შადრევნის აგება, რომლის



ხარჯი თითოეულმა თბილისელმა გაიღო — ქალაქის ბიუჯეტი ხომ ჩვენი გადასახადებიდან დგება? რა საჭიროება იყო ამ ფულის „წყლისთვის“ გატანება? მეტიც: მარტო მე კი არა, ყველას კარგად გვახსოვს, რომ შადრევნის გარშემო წრეზე და მის შიგნით მუდამ რაღაც შესაკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, ყვავილები და ბუჩქები ირგვებოდა, გარშემო დროშებიანი ანძები იყო აღმართული... ეს ყველაფერიც ხომ ფული ღირს, რომელიც თბილისელებმა ყველამ ერთად ისე გავიღეთ, რომ ჩვენი აზრი ამის თაობაზე არავის უკითხავს? თუმცა, ასევე არავის უკითხავს ჩვენთვის, თუ რამდენად მოგვწონს რუსთაველის პროსპექტის რომელიღაც უგემოვნო წუვორიშის სასახლეს დამგვანება იმ უზარმაზარი ჭაღებით, რომელთა ბრდღვიალი, დარწმუნებული ვარ, არაერთი მშიერი ოჯახის და-



ნაყრებას, ობლისთვის თავშესაფრის მიცემასა თუ სნეული ბავშვის მკურნალობასა და წამლის მიწოდებას გასწვდებოდა...

აკი წელანაც აღვნიშნე: კრიტიკა სულაც არ არის წინამდებარე წერილის მიზეზი, მე, როგორც ყველა თბილისელს, გულს გამიხარებს ნებისმიერი სიახლე, რაც ჩემ მშობლიურ ქალაქს წაადგება, უზრალოდ, ისევე, როგორც სხვას, გული მტკივა, როცა ნაკლს ვხედავ.

**ოთარ ტურაბელიძე**

მურად ალაშვილის ფოტო.

**ბოლოთქმის მაგიერ. ნაკლს ვხედავ-მეთქი, წერილი ამით დავასრულე, მაგრამ შემდეგ ერთი რამ გამახსენდა: ერთი ბოლოდროინდელი სატელევიზიო სიუჟეტიდან შევიტყვე: მიუხედავად იმისა, რომ პარიზელებმა ელისეს მინდვრები საშობაო-საახალწლო ილუმინაციით ადრევე მორთეს, იგი მხოლოდ შობის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე ჩართეს. ეს რომ ვთქვი, ჩემმა კოლეგამ კიდევ ერთი მსგავსი ამბავი მიამბო: ბრიუსელის ცენტრში დადგმულ ნაძვის ხეზე ილუმინაციას კი... დინამო-მანქანის გამომუშავებულ ელექტროენერგიას აწვდიან, რომელსაც... ბავშვები და მათი მშობლები საგანგებოდ დადგმული ველოსიპედებით გამოიმუშავებენ! ესეც შენი საკითხისადმი ყაირათიანი მიდგომა. თუ ჩვენ რა, ფრანგებზე თუ ბელგიელებზე მდიდრები ვართ?**

**ისე კი, ღმერთმა ყველა თავისუფალი გზით მწვანე შუქზე გვატაროს!**

**ო. ტ.**

განსჯა

# „ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებს, პოზიციებს და იდეებს კავკასიაში ჯერჯერობით ვერ ვხედავ“

(მესამე გვერდიდან)

— არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე, რადგან აზერბაიჯანისთვის ძალის გამოყენება ხანგრძლივ ომში ჩართვას, რუსეთთან ურთიერთობების სერიოზულად გაფუჭებას და, შეიძლება, კავკასიურ ომსაც ნიშნავდეს. გარდა ამისა, აზერბაიჯანის ეკონომიკა დიდწილად არის დამოკიდებული ენერგოშემცველების გაყიდვაზე და თუ ომი დაიწყო, სომხეთის მხრიდან ამ ენერგოშემცველების მარშრუტზე დივერსიული აქტები დაიწყება, შესაბამისად, აზერბაიჯანი ამ ყველაფერს დაკარგავს. მგონია, რომ ალიევის ეს განცხადება უბრალოდ პრევენციულ მიზანს ემსახურებოდა და მის განხორციელებას არ უნდა ველოდოთ.

**— მიმდინარე წელს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რუსეთის შემდეგ კიდევ სამმა სახელმწიფომ აღიარა. არაოფიციალური ინფორმაციით, ყველა ამ შემთხვევაში რუსეთი მათთან ვაჭრობდა. როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდება რუსეთს ნაურუს ტიპის ქვეყნის აღიარება?**

— მიუხედავად იმისა, რომ ნაურუში 12 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ის გაეროს სრულუფლებიანი წევრია. რაც შეეხება თქვენს კითხვას იმის შესახებ, რისთვის სჭირდება ნაურუს ტიპის ქვეყნების აღიარება რუსეთს, სჭირდება იმისთვის, რომ ნელ-ნელა ამ საკითხში გაეროს წევრი ქვეყნები ჩაერთონ. მსგავს ნაბიჯებს დგამდა შეერთებული შტატები ტაივანთან მიმართებაში და მისი დამოუკიდებლობა 15 სახელმწიფომ აღიარა, რომელთა შორის ყველაზე სერიოზული ეკვადორი იყო. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ გაეროში ნელ-ნელა, წლების განმავლობაში შეიქმნას ქვეყნების რიგი, რომლებმაც კონფლიქტური რეგიონები აღიარეს. ისიც ვიცი, რომ გეგმაში, რომელიც 2 წელიწადზეა გაწერილი, კიდევ დაახლოებით 40 ქვეყნის მიერ აღიარებაა გაწერილი. ამ მხრივ სერიოზული მუშაობა მიდის. ნათელია, რომ ხორციელდება ამ ქვეყნების ყიდვა, თანაც საკმაოდ იაფად — რუსეთისთვის ხომ 50 მილიონი არაფერია! ზოგს იარაღს მისცემენ, ზოგს — კრედიტს და ა.შ. თუმცა ეს ყველაფერი არაფერს ცვლის. მიუხედავად იმისა, რომ ტაივანის დამოუკიდებლობა 15 სახელმწიფომ აღიარა და იგი ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული კუნძულია, ის არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

**— თუმცა 40 ქვეყნის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე მიმდინარე მუშაობა მაინც არასასიამოვნოა. რა უნდა გააკეთოს ამის შესაჩერებლად საქართველოს ხელისუფლებამ?**

— ჩინეთის ხელისუფლებამ ვერაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ტაივანის აღიარება დაებლოკა და საქართველომ რა უნდა გააკეთოს?! მთავარი ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია, იმოქმედოს იმ ქვეყნებზე, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკას წარმართავენ — რუსეთის გარდა, ასევე ევროგაერთიანებაზე, რათა მათ ჩვენი კონფლიქტური რეგიონები არ აღიარონ. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა გვმართებს, რადგან ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

**— როგორ შეაფასებთ 2009 წელს რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „გადატვირთვის“ პოლიტიკის მიმდინარეობას?**

— ეს „გადატვირთვა“ იმ სიტუაციას მაგონებს, როდესაც ერთ ხელს ერთმანეთს ღიად ართმევენ, მაგიდის ქვეშ კი სულ სხვა კომბინაცია ხორციელდება. ეს ყოველთვის ასე იყო ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობებში. არსებობს საკითხები, რომლებზეც ეს სახელმწიფოები თუნდაც ტექნიკურად ვერ შეთანხმდებიან. ატომური იარაღისა და საერთო იარაღის შემცირებაზე შესაძლოა, შეთანხმებას მიაღწიონ, მაგრამ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ უშუალო ინტერესებს ეხება, ისინი ვერ მოილაპარაკებენ. მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალურად „გადატვირთვის“ პოლიტიკა თითქოსდა რეალურად დაიწყო და ამ ფონზე ნატო-რუსეთის ურთიერთობა აღდგა, კვლავინდებურად არის საკითხები, რომლებშიც ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს ებრძვიან. ღმერთმა ქნას, რომ მათ მიერ მოგვარებული საკითხების ნუსხაში სამხრეთ კავკასიის საკითხიც მოხვდეს, თუმცა რასაც სადღეისოდ ვხედავ ამ მიმართულებით, დასავლეთის უკან დახევაა.

**— უცხოური მედიის ნაწილი პოსტსაბჭოთა სივრცეზე გავლენის აღსადგენად რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის დასავლეთთან ბრძოლას წარმატებულს უწოდებს. თქვენი აზრით, რამდენად ახლოსაა ეს რეალობასთან?**

— რა თქმა უნდა, სადღეისოდ ეს ნამდვილად ასეა. რუსეთის მხრიდან ასეთი ნაბიჯი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა დანარჩენი მსოფლიოსთვის, რომ კრემლის კონტროლის გზები ვერ მოიძია. მსოფლიომ ამაზე მხოლოდ ახლა დაიწყო ფიქრი და ამას კიდევ დიდი დრო დასჭირდება. ჯერჯერობით რუსეთის პოლიტიკა მისთვის წარმატებულია, თუმცა მთლიანად კავკასიას ეს არ ეხება: კავკასიაში მეტ-ნაკლებ წარმატებად ჩანს თურქეთ-სომხეთის დაახლოება, მაგრამ ეს პრობლემის მოგვარებას არ ნიშნავს და ის, რაც დღეს წარმატებად შეიძლება, ჩაითვალოს, ზეგ შეიძლება, პირიქით აღმოჩნდეს. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, ყველა ვხედავთ, რამდენად „წარმატებულია“ იქ რუსეთი. საერთო ჯამში, მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანად კავკასიაში რუსეთის პოლიტიკას გარკვეული წარმატებები აქვს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ყველაფერი პირიქითაა და კრემლს არასწორი პოლიტიკის გამო ყველაფერი თავზე დაემხობა.

**—და ბოლოს, როგორი იყო, თქვენი შეფასებით, 2009 წელი მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის და როგორი იქნება, სავარაუდოდ, 2010 წელი?**

— 2009 წელი კავკასიისთვის საშინელი იყო. ეს იყო ომისშემდგომი პერიოდი სამხრეთ კავკასიაში, პერმანენტული ომის სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში, ძველი მოთამაშეების ახალი პრეტენზიების გაჩენის წელი, თუმცა ამ პრეტენზიების რეალიზების გზებზე არ არის საუბარი. ამ თვალსაზრისით კავკასია კიდევ უფრო აირია. ბუნებრივია, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას ხელი შეუშალა. რაც შეეხება იმას, როგორი იქნება 2010 წელი, არ ვიცი, მაგრამ ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებს, პოზიციებს და იდეებს კავკასიაში მე ვერ ვხედავ.

**ლევან ჭითანავა**

**უჟამო ჟამი**

# ღვთის წყრომა არ დამთავრებულა!

**ქუთაისში მომხდარი ტრაგედია არც მოულოდნელი იყო და არც შემთხვევითი, როგორც „მზეჭაბუკისა“ და მისი ავტორის მერაბ ბერძენიშვილის მხარზე ღვთის ნიშანივით დაფრენილი მტრედები.**

ჯერ კიდევ მაშინ, 1981 წლის 5 ნოემბერს, იმ სუსხიან დღეს ამის მხილველი ხალხიც კი მიხვდა, რომ ასეთი რამ არც ყოველთვის ხდება და, მით უმეტეს, არც შემთხვევით. „დიდების მემორიალმა“ ღვთისგან მიიღო კურთხევა მტრედების ნიშნით.

იმდენ მრევლზე, დღეს რომ ჰყავს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, იმ პერიოდისთვის წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, მათი უმეტესობა მხოლოდ პირჯვრის წერითაა „მართლმადიდებელი“, რწმენით კი ჯერაც წარმართია, ანდა — კიდევ უფრო უარესი.

ჩვენმა არაქართულად მოაზროვნე მაღალჩინოსნებმა აღარც ის იციან, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველი ბერძნები ყოველი მნიშვნელოვანი მოქმედების წინ ღვთაებრივი ნიშნის გამოცხადებას, რაც ყოველთვის ფრინველთა საშუალებით ხდებოდა (ცხოველები ცაში არც მაშინ დაფრინავდნენ, მით უმეტეს, ღმერთების სიახლოვეს).

ამიტომაც მიიჩნია ზემოაღნიშნული ფაქტი ღვთიურ ნიშნად ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მკითხველი ერი იყო და შესანიშნავად იცნობდა მსოფლიო კლასიკასაც და რა თქმა უნდა, იმ ცივილიზაციებსაც, რომელთა მხრებზე დგას დღეს მსოფლიო, მავანთა და მავანთა სურვილისა და უკეთური მცდელობების მიუხედავად.

27 მეტრის სიმაღლის თაღზე ქართული საბრძოლო წარსული, ბრძოლით მოპოვებული სამშობლო და ღვთისგან დალოცვილი მომავალი იმზირებოდა სივრცეში თავისუფლად ნაქანდაკევი „სატევრიანი მზეჭაბუკის“ ფონზე.

ეს იყო ცასა (ღვთიურსა) და მიწას შორის დამყარებული სულიერი კავშირი, რომელსაც დადებითი კოსმიური ენერგიის მადლი ასაზრდოებდა და, როცა ეს კავშირი ძალადობრივად (აფეთქებით) გადაწყვიტეს, არ შეიძლებოდა ყველაფერს უმსხვერპლოდ ჩაევლო, თუმცა, ალბათ, ძნელი იყო წარმოსადგენად, რომ მსხვერპლი უდანაშაულო დედაშვილი იქნებოდა.

იქნებ, ამაშიც არის რაღაც ისეთი, რასაც ჩვენი გონება ვერ სწვდება! (ღმერთო მაპატიე!) თუნდაც ის, რომ აფეთქებელთა რიგებიდან მსხვერპლი ასე არ ჩააგდებდა შოკში ყველას, როგორც ახლა, შეიძლება, მაშინ ვინმეს კიდეც გაეფიქრებინა, ღირსნი იყვნენ ამ სასჯელის, ასეთი ულმერთო ბრძანება რომ შეასრულესო!

უდანაშაულო დედა-შვილის დაღუპვა კი დღესაც და ალბათ კარგა ხანს აიძულებს ადამიანთა გაყინულ გრძნობას და აზროვნებას, ანგარიში გაუწიონ სულიერს, ბუნებრივ კანონზომიერებად გასათვალისწინებელს და ხელშეუხებელს.

ხელისუფლებასაც და ხალხის გარკვეულ ნაწილსაც, რატომღაც, დაავიწყდა, რომ „memory“ ლათინურად ხსოვნას ნიშნავს და ნებისმიერი ეპოქის ხსოვნა რეალური აწმყოს წარსულია, ანუ მისი საყრდენი და საძირკველი, რომელსაც უხეშად არ უნდა შეეხო. მით უმეტეს, რომ „დიდების მემორიალის“ რანგის ძეგლები არა მხოლოდ ქვეყნის ისტორიული წარსულია, არამედ, აწმყოსიც და მომავლისაც.

ამხელა მონუმენტურ ძეგლში ერთი უმცირესი შტრიხიც კი არ იყო „საბჭოეთის დიდებაზე“ პათეტიკურად მოლაღადე, თუმცა, რამდენადაც ვიცი, მაშინდელი ხელისუფლებიდან არც არავის უკადრებია ბატონ მერაბ ბერძენიშვილისთვის ამის გამო უბრალო შენიშვნაც კი...

და როდის უფრო დემოკრატიულად აზროვნებდა ხელისუფლება, მაშინ თუ ახლა?

რაც არ უნდა კრიტიკულები ვიყოთ წარსულის მიმართ, მათ, შეიძლება არასრულყოფილად, მაგრამ მაინც იცოდნენ, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება არ ემორჩილება დროს.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ რამდენიმე ქართულმა ტელეარხმა ძეგლს „საბჭოთა (ზოგიერთმა — რუსული) დიდების მემორიალი“ უწოდა. თითქოს არ იმსახურებდა ის 300 ათასი პირტიტველა ქართველი ბიჭი მარადიულ ხსოვნას!

პირადად მე, მემორიალი 15 დეკემბერს ვნახე ბოლოს. დღის მეორე ნახევარში „მზეჭაბუკი“ უკვე აღებული იყო და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ორ ბინას შორის აყირავებული, თითქმის მთლიანად გაძარცული თაღი შუბლშეკრული გოლიათივით იდგა და ლამის ვხედავდი, ჯუჯებივით შესეულ ქონდრისკაცებს, ფეხებიდან რომ ვერ იშორებდა. მათ უკვე გაებურღათ საყრდენის რამდენიმე ადგილი. ალბათ, ასაფეთქებლად ამზადებდნენ. იმ წუთში იქ არავინ ჩანდა. იმხელა თავისუფალ სივრცეში (კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა) შუბლშეკრული და გაოგნებული იდგა 27-მეტრიანი გოლიათი და განრისხებული, დაუმორჩილებელი სინანულით დაჰყურებდა უბადრუკ რეალობას, გოლიათობას და სიდიადეს რომ ვერ პატიობდა მას.

**ადგილობრივ ხელისუფლებას, მათივე სიტყვებით, არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია ძეგლის აფეთქებასთან და, საერთოდ, აღებასთან დაკავშირებით. იგივე გაიმეორეს მათ 18 დეკემბერს საზოგადოება „ქუთაისელში“ გაზეთ „უქიმერიონის“ საიუბილეო საღამოზე, სადაც კიდევ ერთხელ განვაცხადე, რომ არავითარი პარლამენტი არ ღირს რაიმე მსხვერპლის ფასად. იგივე აზრის იყო დამსწრე საზოგადოება, თანაც იმდენად, რომ მთელი ღონისძიება შემდეგ სწორედ ამ ნიშნით გაგრძელდა. ცხადია, იქაც იყვნენ ისეთები, ვინც მიიჩნევდა, რომ „მემორიალმა დაკარგა ფუნქცია“. ერთმა, თურმე, გაკაპასებულმა დატოვა იქაურობა — ეს გაზეთის იუბილეა თუ მემორიალის დაცვის აქციაო.**

**მაგრამ, ესეც გასაგები იყო.**

ისინი საკუთარ კეთილდღეობას აყენებენ წინ: ყოველთვის და საერთო საკითხებსაც ისე განსჯიან — რა სარგებელს მიიღებენ თვითონ, ისე რომ არაფერი ახალი არ ყოფილა მათ გამოსვლაში.

გასაკვირი თუნდაც იმიტომ არ იყო, რომ ბათუმში, ილია ჭავჭავაძის ძეგლის გადატანის აუცილებლობაზე სწორედ ის ადამიანები აწერდნენ ხელს, რომლებიც თვითონ უნდა ყოფილიყვნენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგნი.

ადამიანები კი ყველგან ერთნაირები არიან! ასეთები იყვნენ ისინი მაშინაც. „ჯუარს აცუ ეგე“-ო, რომ ყვიროდნენ და პურითა და სეირით ცხოვრობდნენ, ჰო, პურითა და სეირით (და არა სანახაობით. სანახაობა — უფრო მაღალი რანგია).

21-ში, უკვე აფეთქებულ, ტრაგედიამომხდარ და ნანგრევებად ქცეულ მემორიალის ადგილზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მოფრიალე დროშების ფონზე ერთადერთი ლოზუნგი იყო გაჭიმული — მიშა მკვლელია! ქუჩის პირზე, რამდენიმე ადგილას ბანერები იყო გაკრული „ქუთაისური პარლამენტის“ შენობის მაკეტით. რა თქმა უნდა, გამჭვირვალე, რა თქმა უნდა, შუშის!

მარტო იბსენის „შუშის სამხეცე“ კი არ გამახსენდა, ერთ-ერთი გუბერნატორიც იმერეთისა, რომელმაც, დაინიშნა თუ არა თანამდებობაზე, კაბინეტს კარები ჩამოხსნა და „გამჭვირვალობისა“ და „დემოკრატიულობის“ მიზეზით ღია, უკარო კაბინეტში იღებდა მთხოვნელებს, თუმცა — თავისთვის, იქვე, მცირე კაბინეტიც ჰქონდა, რა თქმა უნდა, გაუმჭვირვალე და მაგრად მოხურული კარებით, „ნამდვილი საქმეების“ გადასაწყვეტად.

...ქუჩის მეორე მხარეს, ერთი საცხოვრებელი **კორპუსის შემდეგ მდგომი ბინის მე-6 სართულზე, ასანთის კოლოფივით ოთახში ესვენა დედა-შვილი, ტრაგედიის უმწეო და უდანაშაულო მსხვერპლი, 2 კორპუსის იქით კი, რამდენიმე ქალი, სეთურის მრევლივით (ანდა, გაავებული ძაღლებივით) (ბოდიშს არ ვიხდი) შესეოდა თბილისიდან ჩამოსულ ინტელიგენციის ოპოზიციურად განწყობილ წარმომადგენლებს და, თითქმის აღარაფერი აკლდათ, რომ დაეგლიჯათ და შეესანსლათ ისინი. „ახლა გაგახსენდათ მემორიალი?“ „ყველაფერი თბილისში გინდათ?“, „ერთი თქვენი გაკეთებული საქმე გვაჩვენეთ, რამე! ნარკომანების ბუდედ იყო აქაურობა ქცეული! გაძარცვული იყო მთლიანად!“**

**თუმცა,**

ვინ გაძარცვა, ვინ მიიყვანა ეს საბრალო ადამიანები იქამდე, რომ იმ სიმაღლეზე აცოცებულიყვნენ სპილენძის ფიგურების მოსახსნელად?..

**რა თქმა უნდა, ამაზე არავის არაფერი არ უთქვამს.**

**ის კი არა, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა (მაია მეცხვარიშვილი — „ახალი გაზეთიდან“) ისიც კი მითხრა, აფეთქების შემდეგ, ძირს დაცემული მემორიალის დარჩენილი ლითონის ფიგურების მოსახსნელად როგორ მიუშვეს ჯართსა და ფერად ლითონებზე დაგეშილთა ჯგუფი.**

**და — ისინი ამას სჩადიოდნენ იმ უდიდესი ტრაგედიის პარალელურად...**

**გვიფიქრია, რა დონემდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანები უჟამო ჟამის რეალობამ?**

**ერთ-ერთი მათგანი სახეზეა!**

**ადამიანყოფილებს თუ დაარქმევ ამ უბადრუკ არსებებს, სხვას ვერაფერს და, რაც არ უნდა რბილად ვთქვათ, ამ რეალობას და ნებისმიერ მსგავსს სწორედ შესაბამისი ხელისუფლება ქმნის.**

**ხელისუფლება ქმნის არა მხოლოდ კეთილდღეობას, არამედ მის საპირისპიროსაც — უბედურებას!, უბადრუკობას, არარაობას!**

**ხელისუფლება, პირველ რიგში, ქმნის ცნობიერებას — ნგრევის ან — შენების!**

**2004 წელს ვწერდი — კიდევ კარგი, ქართველებს არ ჰგვანან ეგვიპტელები, თორემ — ხელისუფლების ცვლილებებისას მიწასთან გაასწორებდნენ პირამიდებს, როგორც წარსულის, „არარაციონალურ“ გადმონაშთს-მეთქი.**

აკი, ამბობენ, „მემორიალმა“ ფუნქცია დაკარგაო. არადა, ძეგლის ფუნქცია სხვა რა არის, თუ არა ძეგლობა! და თუ მას სათანადო პატივით არ მოექცევი, ეს — საზოგადოების პრობლემაა, თუ — ძეგლის?

ჩვენ ამ გაგებითაც საინტერესო ხალხი ვართ! დადგება თუ არა ახალი ხელისუფლება, მაშინვე ძველის ნგრევას იწყებს, ანგრევს და შლის და თავის დამკვიდრებას ვერც ასწრებს, ისე მიდის!.. მოდის ახალი და ისიც იმავეს აკეთებს — ანგრევს წინა ხელისუფლების ნამოქმედარს და — ვართ ასე! თავისთავად ცხადია, სულ ერთ ადგილზე ვიტკეპნებით. ამასობაში, მსოფლიო ახალ სიმაღლეებს იპყრობს, ჩვენ კი — ლამის ისევ ქვის ხანაში ვრჩებით!

საუბარია ცნობიერებაზე და არა მდიდრულ სასახლეებსა და იახტებზე, მანქანებსა და თვითმფრინავებზე, სხეულის ფიზიოლოგიურ მოთხოვნათა გაფეტიშებასა და მის მსახურებაზე!

იცოცხლე, ამ მხრივ, არავის ჩამოვუვარდებით მთელ მსოფლიოში! ეს ის ქვეყანაა, სადაც მათხოვრები და მილიონერები ცხოვრობენ. ის ქვეყანაა, რომელსაც მთელი მსოფლიო სამოწყალოდ ინახავს. მთელ მსოფლიოში განფენილი ქართველობა არჩენს დარჩენილ ნახევარს, ხელისუფლება კი თავის აქტივებში იწერს ყოველივეს ამპარტავნულად.

ეს ის ქვეყანაა, სადაც ილია ჭავჭავაძე ფონად ჰყავს პირველად წოდებულ კაცს, მაგრამ ამ სურათზე ილია ჭავჭავაძეს შაჰ-აბასის ულვაშები აქვს, ის პირველი ამას ვერ ამჩნევს, რადგან არასოდეს იყურება უკან.

იხ. 6 გვ.




**შეხვედრა**

# აფხაზ ახალგაზრდებთან დიალოგის გზების ძიება დაიწყო

**აფხაზეთი შორეულ ოცნებადაა გადაქცეული, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმიც მათი მშობლების საკუთარ სამშობლოში დევნილებად გადაქცევის შემდეგ მოევლინენ ქვეყანას. მათ მხოლოდ გადმოცემით იციან და ფიქრებში ხატავენ ოდესღაც ყველასთვის საყვარელ კუთხეს, მის სანაპიროს, თვალწარმტაც ბუნებას, შეიგრძნობენ იმ ჯადოსნური ყავის სუნს, მხოლოდ სოხუმის სანაპიროზე რომ ამზადებდნენ და მშობლიური გემო ჰქონდა.** მცირე ძაფები, რომლებიც აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს ჯერ კიდევ აკავშირებთ იქაურობასთან, თანდათან სუსტდება და გაწყვეტის პირასაა მისული. მათ, ასე თუ ისე, მაინც იციან აფხაზეთზე, მათი წინაპრები იქ დაბადებულან და გაზრდილან, თვითონ კი საკუთარი თვალით ნანახს ვერ მოუყვებიან შვილებს, და თუ დროზე არ ეშველა საქმეს, აფხაზეთის მზიან სანაპიროს რუსეთის მიერ ახლად დაწყებული ახალი „ბერლინის კედელზე“ უარესი რამ გადაეფარება — ეს იქნება დავიწყება და მეხსიერებაში ცნობილი სიმების გაჟღერებას კვლავ თაობები დასჭირდება, თაობები და დიდი შრომა.

მას შემდეგ, რაც საქართველო კიდევ ერთხელ ჩვენივე ხელით დაიშალა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ურთიერთობის ყველასთვის სასიკეთოდ გადაწყვეტის უამრავი პირდაპირი და ირიბი მცდელობა იყო, მაგრამ აგერ უკვე ჩვიდმეტი წელი გადის და გარე ძალის ჩარევით, თუ შინ საქმის თავმოუბმელობით, ერთი ნაბიჯითაც ვერ წავწეულვართ წინ. დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს და ერთმანეთს სულ უფრო გვაშორებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია დაარსდა და მათ შორისაა „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე პოლიტიკური კი არა, ადამიანური ურთიერთობები მაინც აღდგეს. მათ დაინახეს, რომ ამ საქმეში როგორც აფხაზების ისე ქართველი ახალგაზრდების როლი ყველაზე დიდია. ხშირად, და უმეტეს შემთხვევაში, ჩვენამდე კონფლიქტის ზონიდან არასწორი, დამახინჯებული ინფორმაცია აღწევს, ეს კი ურთიერთობებს კიდევ უფრო ძაბავს.

გალიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა, რომლებმაც თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტში ჩააბარეს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბნენ, გარკვეული პრობლემების მიუხედავად, აღნიშნეს, რომ არასწორი ინფორმაცია კონფლიქტის გაღრმავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. რაც შეეხება მათი შეკრების მთავარ მიზანს, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, ქალბატონ



მაია კვეზერელისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით და აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით აარსებს ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელშიც საქართველოს მასშტაბით ყველა სასწავლებლის სტუდენტებს შეეძლებათ გაწევრება. მათი მთავარი მიზანი ის კი არ არის, ორი თუ სამი დაპირისპირებული მხარის პოლიტიკაზე, მის სისწორეზე ილაპარაკოს, არამედ დაამყაროს ურთიერთობა კონფლიქტის ზონაში მყოფ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებთან. გაცვალონ ინფორმაცია, მოჰყვნენ თავიანთ ისტორიებს, სხვა კუთხით დაახლოვდნენ, ყოველგვარი მწარე და სამარცხვინო წარსულის გაუხსენებლად. ამის რესურსი ჯერ კიდევ არის, თუნდაც ის სტუდენტები, რომლებიც გალის სკოლებიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ. ისინი სერიოზულ ბერკეტს წარმოადგენენ ურთიერთობის აღსადგენად.

როგორც სამუშაო შეხვედრაზე შეკრებილმა სტუდენტებმა განაცხადეს, უფრო ნაკლები წყენა აქვთ ერთმანეთის მიმართ, ვიდრე მათ მშობლებს, ამიტომ მომავალი მნიშვნელოვნად მათ ეყრდნობა. სტუდენტების ახალი წამოწყების მნიშვნელობას და მართებულობას, ხაზი გაუსვა მაია კვეზერელმაც.

— ჩვენ უკვე მრავალი შეხვედრა ჩავატარეთ, ვურთიერთობ აფხაზ ახალგაზრდებთანაც და ასე ნელ-ნელა გაჩნდა იდეა, რომ შეგვექმნა კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციად კი არ დარჩება, არამედ რეალურ საქმეს გააკეთებს. ამისთვის ახალგაზრდებისა და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია.

სტუდენტური შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა, ახალგაზრდებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს გალელი თანატოლების ისტორიებისადმი, მათი აფხაზური ყოფისადმი. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მათი ინიციატივა, მსგავსი შეხვედრები უფრო ინტენსიურ და მასშტაბურ ხასიათს შეიძენს, იმდენად მასშტაბურს, რომ მასში მონაწილეობას აფხაზი ახალგაზრდებიც მიიღებენ. ეს არის ნამდვილად ერთ-ერთი შესუსტებული ძაფი, რომელიც სასწრაფო შველას საჭიროებს.

**ანა წიწილაშვილი**

ჩვენ და დრო

# ფიქრები პოლიტიკურ კულტურაზე

საბჭოთა კავშირმა (სოციალისტურმა იმპერიამ) არა მხოლოდ შეინარჩუნა ძველი პრინციპები, არამედ განამტკიცა კიდეც პოლიტიკური შეხედულებების მოდერნიზება-უნიფიცირების, ერთიანი შაბლონის დამკვიდრების გზით. ამიტომ იყო, ვ. ლენინიდან მოყოლებული, სისხლით და ცეცხლით ცდილობდნენ ფეოდალურ ქვეყანაში გლეხური სოციალიზმის შემოღებას და შედეგად მიიღეს ანტაგონიზმი რეალურ და ოფიციალურ პოლიტიკურ კულტურებს შორის. სიცრუე იქნებოდა თქმა, რომ იმპერიის ჩაგრულ ერებზე იგივე არ ვრცელდებოდა და მათი პოლიტიკური კულტურა დეფორმაციას არ განიცდიდა. ამას ემატება ეროვნულ ხასიათთა და ეროვნულ პოლიტიკურ კულტურათა დაპირისპირება, რაც ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლით დაგვირგვინდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რესპუბლიკებში, და მათ შორის საქართველოში, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა ერთბაშად ვერ დამკვიდრდებოდა. დაიწყო ძველის (ტოტალიტარულის) უარყოფა და ახლის (დემოკრატიულის) ჩამოყალიბების პროცესი. ერთიდან მეორეზე გარდამავალ პერიოდში პრაქტიკულად აღმოცენდა ავტორიტარული მმართველობა და გავრცელება დაიწყო შესაბამისმა პოლიტიკურმა კულტურამ. პროცესს ხელი შეუწყო ქართველების იმანენტურმა გენეტიკურ-ფსიქიკურმა ხასიათმა. პიროვნულობის, ლიდერობის, პირველობის, ორგანიზატორობის მისწრაფებებმა, როცა სხვა რაიმესთვის ნიადაგი არ არსებობდა, ქვეყანა ავტორიტარულ მმართველობამდე მიიყვანა.

რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს, ვერ დაიმალება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე ნაბიჯებს ავტოკრატიული მმართველობის დამკვიდრება მოსდევდა. სათავე სულმნათ ზ. გამსახურდიადან მოდის. ვინც იცნობდა მის ხასიათს, ვერ უარყოფს, რომ სხვანაირად მას არ შეეძლო. მისი გარემოცვის პირობებში არც შეიძლებოდა. ამან განაპირობა პიროვნული შინაგანი წინააღმდეგობები, რაც საბედისწერო შეცდომებში გადაიზარდა.

საბჭოთა პერიოდში აღზრდილი, ნამოღვაწარი, დაბერებული ე. შევარდნაძე ბუნებრივად იყო შერწყმული ტოტალიტარულ სისტემასა და აზროვნებას და 1992 წ. სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ახალს ვერაფერს გამოიგონებდა, მის დროს წარმოჩინდა ავტორიტარული რეჟიმის „საუკეთესო უარყოფითი" მხარეები (უფრო ნათლად ზ. გამსახურდიას და ე. შევარდნაძის გარემოსა და საქმიანობის შესახებ. იხ. სანდრო პაპა, საჯილდაო. თბ. 2006 წ.).

მოქმედმა პრეზიდენტმა აღადგინა, განამტკიცა სრულყო ავტორიტარული მმართველობა და ახლა ცდილობს შესაბამისი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გზით.

ტოტალიტარული სისტემის და პოლიტიკური კულტურის პირობებში აღზრდილმა ლიდერებმა ვერ გაისიგრძეგანეს მოსახლეობის მოთხოვნები ან არ მოისურვეს. ორი ათეული წელია, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს საზოგადოების სოციალურ-სტრუქტურული ცვლილებები, ქონებრივი უათანაბრობის მკვეთრი ზრდა, მას თან ახლავს სოციალურ ჯგუფთა პოლარიზაცია და დაპირისპირება, რაც მომავალში შეიძლება ანტაგონიზმში გადაიზარდოს. პოლიტიკური კულტურის სფეროს შესაბამის ცვლილებებთან ერთად წარმოებს ახალ სუბკულტურათა ფორმირება. გარკვეულ სოციალურ ჯგუფთა ინტერესების დაქვემდებარება და შეხამება მმართველი ელიტის ინტერესებთან, ხელისუფლების ინსტიტუტების ინდივიდებთან გაიგივება, საერთო ურწმუნოება და ნიჰილიზმი ამ პროცესების თანმხლებია.

მხედველობაში მისაღებია გლობალიზაციის გავლენა ქვეყნის შიდა გარდაქმნებზე. ამავე კონტექსტშია გასათვალისწინებელი მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონე და მასთან დაკავშირებული იდეურ-პოლიტიკური შეხედულებების მოდერნიზაცია.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ის, რომ დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა არა თუ ვერ განხორციელდება, არამედ ვერც გაიგებ პროცესებისადმი მეცნიერული დამოკიდებულების გარეშე. მეცნიერთა კადრების გაურკვეველი „ჩარეცხვის" პირობებში კი საქმე უფრო რთულდება. ასეთ დროს მმართველს უნდა ჰქონდეს სპეციალური ცოდნა და პირადი პოლიტიკური კულტურა, რათა სწორად აღიქვას, გააანალიზოს და სინთეზი მოახდინოს, ნებისყოფა მოიკრიბოს და ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანოს უკვე ავტორიტარული რეჟიმიდან და კულტურიდან დემოკრატიულ მმართველობასა და კულტურაზე გადასვლის საქმე. საერთო-სახალხო მოთხოვნების დაყვანა ნათესაურ-კლანურ მოთხოვნებამდე, მოსახლეობის გაჭირვების უგულებელყოფა, გაბოროტება, უხეშობა, სნობიზმი, ამორალობა შეიძლება გადამწყვეტ ფაქტორად იქცეს წინსვლის დამუხრუჭების საქმეში.

ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე დღეში რომ გაიგებ, შენს კანცელარიაში ბათუმელ ბიზნესმენებს ვინმე ვანოსთვის სამასი ათასი დოლარი ქრთამად მიუტანიათ, მიმტანები დაიჭირეს და ხუთი წლის მანძილზე ვანოს ვინაობას ვერ გაარკვევ, როგორ გინდა ქვეყანა მართო და პატიოსანი გერქვას? როგორ გინდა ოპოზიციურ მოძრაობას სათავეში ედგე, ხელისუფალთა უკეთურ ქმედებებს აკრიტიკებდე და სადეპუტატო კანდიდატებს მოტანილი ფულის ოდენობით არჩევდე? როგორ გინდა პარლამენტში სამართლიანობისათვის იბრძოდე, ხალხის გაჭირვება არ გასვენებდეს, თავი ხალხის სამსახურში მყოფად მიგაჩნდეს და რეალურად საკუთარი ხელფასების გაზრდისა და პრივილეგიებისათვის იმოღვაწო. თქმა ბევრი რაიმესი შეიძლება. მთავარია: არაა საკმარისი პოლიტიკოსობის სურვილი, პოლიტიკური განათლება. პირადი ქცევის კულტურა პოლიტიკური კულტურის განუყრელი კომპონენტია.

ცალკე და ღრმა სინანულით ითქმება: ყველაზე ინტელექტუალური, პოლიტიკურად დახვეწილი, ავტორიტეტის მოხვეჭის უპირველესი პრეტენდენტი რამდენს აგებს და რამდენს შეიძენდა, ავადსახსენებელ აგარაკს რომ დროით შელეოდა. ხალხს საქმით უნდა მოეწონო და არა სიტყვით.

დღეს არსებული პოლიტიკური მართვის სისტემა, მისი ინსტიტუციონალური შესწავლა არადემოკრატიულობას ცხადყოფს. არც შეიძლება დემოკრატიული ეწოდოს ორგანიზაციას, რომლის მთელი საქმიანობა საიდუმლოებითაა მოცული. არც ის შეიძლება, რომ ფულიან ხალხს, კორუფციონერ მოხელეებს, რომელთაც მოირგეს კანონები, დაიკანონეს პრივილეგიები, მყარად მოკალათდნენ მმართველობის სათავეებში, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მომავალი ებაროთ. ეს იწვევს მოსახლეობის სკეპტიციზმს და მმართველი ელიტისადმი ნიჰილიზმს განაპირობებს.

მდგომარეობა გამოუვალია? სრულებითაც არა.

საზოგადოებრივმა განვითარებამ არა მხოლოდ ევოლუციური, არამედ რევოლუციური განვითარებაც იცის. რევოლუცია არასდროს არ იყო გაგებული, როგორც გარდაუვალი იძულება და შეიარაღებული ბრძოლა. ნათელი მაგალითი 2003 წლის ნოემბერში ვიხილეთ თვით პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირებითაც, ოპოზიციონერობაც გამოირიცხება, როდესაც ხელისუფლების პოლიტიკური კულტურა და ნება ერის პოლიტიკურ კულტურასა და ნებას გამოხატავს. ეს კი იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი და მმართველი ელიტა დემოკრატები იქნებიან.

საქართველოს მოსახლეობას პოლიტიკური კულტურის უქონლობას ვერავინ დასწამებს. ვინც გაკვრით მაინც იცის დემონსტრაციების შედეგები დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, დაეთანხმება აზრს ჩვენი მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის მაღალი დონის შესახებ. ასი დღე, ასი ათასიანი დემონსტრაციები, მიტინგები, საპროტესტო მსვლელობები ისე მიმდინარეობდა, რომ არავის არაფერი დაშავებია, შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებიათ. მხედველობაში მისაღებია განრისხებული მომიტინგეები. არის ეს მაღალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი თუ არა?

იგივეს ვერ ვიტყვით პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებზე, სისულელე იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ცალკეულ მომიტინგე-აქტივისტთა დაკავება-ცემა-მუქარა ძალოვანი ორგანოების რიგითმა თანამშრომლებმა, თავისი ინიციატივით განახორციელეს. ორმაგი სისულელე იქნებოდა ასეთი ინიციატივა 6 მაისსა და 15 ივნისს დემონსტრანტთა მასობრივი დარბევის მონაწილეებზე გავრცელებულიყო. ინიციატორები და ორგანიზატორები ხელისუფლების მაღალ ეშელონებშია მისათითებელი. თავის მხრივ, ეს ხელისუფალთა არადემოკრატიულობაზე და პოლიტიკური კულტურის დაბალ დონეზე მიანიშნებს.

ზემოაღნიშნულიდან დასკვნა ლოგიკურია: მოსახლეობის მაღალ დემოკრატიულ პოლიტიკურ კულტურას თავს ახვევია, ეწინააღმდეგება და ჩაგრავს არადემოკრატიული (უკეთეს შემთხვევაში ავტორიტარული პოლიტიკური კულტურის მქონე) ხელისუფლება. ამასთან, ჩაგრავს პოლიტიკურად, ძარცვავს ეკონომიკურად და რყვნის მორალურად.

მოსახლეობის მისწრაფება დემოკრატიის პრინციპებისადმი ბუნებრივია და შესრულებადი. ვერც ერთი თავსმოხვეული ხელისუფლება მოსახლეობის ნების საბოლოო წაშლას ვერ შეძლებს, დიდხანს დაბრკოლებაც შეუძლებელია, მაგრამ მის პლატფორმაზე გადასვლის შემთხვევაში, ხალხის ნების აღსრულების შემთხვევაში, ძალაუფლების შენარჩუნება შეუძლია. გაიხსენოს ხელისუფალმა, რა სახალხო მხარდაჭერა ჰქონდა, როგორ დაიწყო და, რომ არ დანებებოდა ნათესავ-მეგობართა გაუმაძღრობას, დაუოკებელ სიხარბეს, მძარცველურ მისწრაფებებს, ეროვნული გმირის დონემდე ამაღლდებოდა.

დემოკრატიული წყობილება უპირველესად იაფ მთავრობას გულისხმობს. მოსახლეობას არ უნდა უწევდეს სპეციალური გადასახადის გადახდა ხელისუფლების შესანახად. მმართველი ჯგუფი ხალხის ნების მსახური უნდა იყოს და არა ბატონი. მსახური კი, ბატონის ხარჯზე, ბატონზე ბატონკაცურად არ უნდა ცხოვრობდეს.

დღეს შექმნილი ვითარებიდან, ევოლუციური ხასიათის რევოლუციური გამოსავალი დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის შესაბამისი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებაა. იაფი, ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლება კი გარკვეული პრინციპების განხორციელებას საჭიროებს. ესაა:

უკლებლივ ყველა თანამდებობის პირის ე. წ. „გამჭვირვალე" არჩევითობა;

ამორჩეულ თანამდებობის პირების საქმიანობაზე ე. წ. სამოქალაქო კონტროლის დაწესება. იმ დონემდე, რომ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლოს ნებისმიერი თანამდებობის პირისთვის პასუხის მოთხოვნა, რიგითი სასამართლოს მეშვეობით (გავიხსენოთ, როგორ მოუხადა ბოდიში აშშ პრეზიდენტმა პოლიციელს).

კანონის უზენაესობის დამკვიდრება;

ხელისუფალთა ხელფასების კვალიფიციური მუშაკის ხელფასთან გათანაბრება. სახელმწიფო სტრუქტურებში ხელფასების მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის 5:1 ფარდობის დაწესება;

წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებისათვის (პარლამენტში, საკრებულოებში) საშუალო კვალიფიკაციის მუშაკის ხელფასების დაწესება;

თანამდებობისათვის ყოველგვარი პრივილეგიების აკრძალვა.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ამ პრინციპების დამკვიდრების შემთხვევაში, კარგი ცხოვრების მოწყობის მიზნით სახელმწიფო სამსახურში არავინ წავიდოდა. დღეს რომ თანამდებობის პირს ღარიბს და ფეხით მოსიარულეს უფულობის გამო ვერავინ ნახავს, მაშინ გვენახა მათი ლაზათი. მაგრამ ავტორიტარული პოლიტიკური სისტემისა და კულტურის დროს ამაზე ოცნებაც არ შეიძლება. დღეს რომ პარლამენტი გადატვირთულია ბანკირებით, ბიზნესმენებით, მათი ინტერესების წარმომადგენლებით, მაშინ კერძო სექტორიდან მმართველობაში ნებაყოფლობით რომელი წავიდოდა? აი, რატომ უვლიან გვერდს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მოთხოვნათა ანალიზს.

მოსახლეობა დიდხანს ვერ დაელოდება პოლიტიკური ელიტის ცრუ დაპირებათა აღსრულებას. ვერც პოპულისტებსა და დემაგოგებს იგუებს დიდხანს, ისინი ხომ, წესისამებრ, ათას რაიმეს პირდებიან ფართო მასებს და არც ერთი არ მიჰყავთ ბოლომდე. მოსახლეობას სჭირდება მისი პოლიტიკური კულტურის შესატყვისი პოლიტიკური ლიდერები კონკრეტული პროგრამით და მოქმედების გეგმით. საზოგადოებაში არიან ასეთი ძალები. საჭიროა აბსტრაქტული მოთხოვნებიდან და დაპირისპირებებიდან საქმეზე გადასვლა, რადგან მატერიალური მოთხოვნილებების მზარდი დაკმაყოფილების ვითარებაშიც კი შეუძლებელია სტაბილურობის მიღწევა, თუ არ დამკვიდრდა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა.

**ალეკო ახატნელი,**
**იულონ ტოლიაშვილი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 260.**

უჟამო ჟამი

# ღვთის წყრომა არ დამთავრებულა!

**(მესამე გვერდიდან)**

სადღაც ამოვიკითხე. 140 ათასი ლარი დაჯდა თურმე „მემორიალის" აფეთქება.

140 კი არა, 40 ათასიც საკმარისი იქნებოდა, იქაურობა მიმზიდველ და საყვარელ ადგილად ქცეულიყო, გაშენებულიყო ტყე-პარკი, რაც ორიოდე წლის წინათ კიდეც სცადეს თოჯინების სახელმწიფო თეატრის მესვეურებმა, ხეებიც დარგეს და დედა-ენის ხეივანიც უწოდეს. თუმცა, როგორც ბევრი სხვა წამოწყება, რასაც ქართული და ეროვნული უდევს საფუძვლად, იდეის დონეზე რჩება უმეტესად.

ალბათ, იმიტომ, რომ ყოველივეს, ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, პოლიტიკური ნება სჭირდება.

უფრო სწორად, პრეზიდენტის ნება!

პრეზიდენტმა უნდა თქვას, რომ წამლები ძვირია და – ჯანმრთელობის დაცვის მინისტრიც დაუმოწმებს – თურმე, მართლა ძვირი ყოფილა!

პრეზიდენტმა უნდა თქვას, რომ საქართველოში მოყვანილი ბოსტნეული და ხილი ყველაზე სუფთა და ეკოლოგიურია და ამ მიმართულებით უნდა წავიდეს სოფლის მეურნეობა, და – მისი მინისტრიც, დაჯილდოებული და ბედნიერი თავს სიამოვნებით დაუკანტურებს.

თუ ყველაფერი პრეზიდენტმა უნდა თქვას, რისთვისღაა საჭირო ამდენი სამინისტრო ამდენი მომსახურე პერსონალით, მოადგილეებსა და მათ შენახვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.



თითქოს არ ჩერდება ხელისუფლება. თითქოს აშენებს გზებს, ხიდებს, შენობებს, სკვერებს, შადრევნებს... მაგრამ არაფერს სული არ უდგას, არაფერს ღვთის მადლი არ ახლავს და ამიტომაც არ აღიქმება იგი შენებად.

ისე ჩანს, თითქოს კეთილი ნების გარეშე ხდება ეს ყველაფერი, ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე, არადა, ავსა და ბოროტს არ შეიძლება მომავალი ჰქონდეს!

მეც ვეთანხმები აზრს, რომ აფეთქების ადგილზე ეკლესია აიგოს, რა თქმა უნდა, წმინდა ნიკოლოზის სახელზე და პირველი ლოცვა, რაც ამ ეკლესიაში აღევლინება, დაღუპული დედა-შვილის ხსოვნის შემდეგ, ალბათ, იმ ადამიანების სულისა და ოჯახის შესაწევი უნდა იყოს, ვის თავშიც გაიელვა მემორიალის აფეთქების აზრმა...

**დაისაჯა იმერეთის გუბერნატორი.**

**გაათავისუფლეს სამსახურიდან.**

**თუმცა, ის მაშინ დაისაჯა, როცა ასეთ გადაწყვეტილებას ბრმად და ყრუდ დაემორჩილა, დარწმუნებული ვარ, გუბერნატორობის ხათრით.**

**დაისაჯნენ სხვებიც.**

**მაგრამ, არ არსებობს ცოდვაზე მეტი სასჯელი ვინმესთვის. ეს ცოდვა კი იმოდენაა, არც დღე და არც ღამე არ მოასვენებს როგორც აფეთქების დამკვეთებს ისე მის მონურად შემსრულებლებს.**

***და – მაინც, შინაგანად შეშფოთებული ვართ, თითქოს ვგრძნობ, რომ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა!***

***საზოგადოებასაც ბევრი უპასუხო კითხვა დარჩა, – რატომ დასჭირდა ხელისუფლებას „მემორიალის" აღება, როცა იქვე, იმავე მემორიალის ირგვლივ იმდენი თავისუფალი ტერიტორიაა, ერთი შენობა კი არა, მთელი ქალაქი შეიძლება გაშენდეს!***

***– რატომ ცდილობს ხელისუფლება მოსახლეობის გალიზიანებას: ამოწმებს, რამდენად დააჩლუნგა და დაიმონა ისინი, თუ მათი აგრესიის აბობოქრებას ცდილობს რაღაცისა და ვიღაცის გამო.***

***– რა აზრი აქვს ქალაქის (მხარის) მმართველობას, თუ მას კითხვის ღირსადაც არ თვლით მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას.***

***– რა მნიშვნელობა აქვს პარლამენტის ნებისმიერ ადგილზე ყოფნას, თუ ის საკუთარი ხალხის, ენის, მამულის, სარწმუნოების და, საერთოდ, კეთილდღეობისთვის საჭირო და აუცილებელ კანონებს არ მიიღებს!***

**ცირა შალაშვილი,**
სპეციალურად
„საქართველოს რესპუბლიკისთვის"
ქუთაისი.

ნოველა

# კლეპტომანი

ლევან დათუკიშვილი

ლადის წილად ხვდა პატივი იმ რჩეულთა შორის მოხვედრილიყო, რომლებიც მისმა თანაკურსელმა მიიწვია ოჯახში საზეიმო სადილზე თავისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. იგი კოხტად გამოეწყო, ხელმოკლეობის გამო საჩუქრად მხოლოდ ერთი ბოთლი შამპანური იყიდა და დანიშნულ დროს გამოცხადდა იუბილარის ოჯახში, სადაც უკვე შეკრებილიყო ოციოდე სტუმარი.

სანამ მასპინძლები ქართული სიუხვით განთქმულ სუფრას გაშლიდნენ, მამაკაცებს ბანქოს თამაში წამოეწყოთ; მანდილოსნები კი ხმადაბლა საუბრობდნენ, რასაც შიგადაშიგ კისკისი ერთვოდა.

ლადის ის იყო, მოწყენილობა მოეძალა, რომ მხარზე ხელის მსუბუქი შეხება იგრძნო — მის წინ წვერმოშვებული, სიმპათიური მამაკაცი იდგა და მეგობრულად უღიმოდა:

— კამათელი ხომ არ გაგვეგორებინა? — შინაურულად ჰკითხა მან და ნარდის მაგიდისკენ მიანიშნა.

— სიამოვნებით! — მიუგო ლადიმ, რომელსაც საშუალება მიეცა, თავი ეხსნა სულიერი სიმარტოვისგან.

როცა ქვები დაფაზე დააწყვეს, წვეროსანმა მაშინღა გააცნო თავი ლადის:

— მამია მქვია. შენი სახელიც მაჩუქე!.. ლადი?! ძალიან კარგი! რაზე ვითამაშოთ, ბატონო ლადი?

— არაფერზე, დრო მოვკლათ, სანამ სუფრასთან მიგვიწვევენ.

— დროს ვერ მოვკლავთ, დრო ჩვენ მოგვკლავს. — ფილოსოფიურად შენიშნა მამიამ და კამათელი შეათამაშა თითებში. — პარტია ასი ლარი. მოდის?!

ლადის კინაღამ სიმწრის სიცილი აუტყდა: ჯიბეში მხოლოდ გაქუცული ხუთლარიანი ედო.

— გასართობად ვითამაშოთ, ბატონო მამია. ფულზე თამაში უხერხულია.

— რატომ? ილია ბრძანებს: „უფულოდ ნარდის თამაში ფუჭ ვაზნას ჰგავს, რომელიც ისვრის, მაგრამ არ კლავსო!“

— ბატონო, დიდ ილიას ფული არ უჭირდა, წლების მანძილზე ბანკის თავმჯდომარე ბრძანდებოდა. — შეეპასუხა ლადი მამიას. — ისიც გავიხსენოთ, რომ დუშეთის მაზრაში მუშაობდა მომრიგებელ მოსამართლედ. მეუღლის მამულიდან მიღებული შემოსავალი და ჰონორარი კიდევ სხვა იყო. ბრძენკაცს არ ანაღვლებდა, ერთ პარტიაში ას მანეთს თუ წააგებდა; თუმცა, როგორც ცნობილია, უფრო ხშირად იგებდა. ჩემი მოკრძალებული ხელფასი კი...

— აბა, რამდენს ჩამოდიხართ? — შეაწყვეტინა მამიამ პარტნიორს.

— ხუთ ლარს. — უპასუხა ლადიმ იმ იმედით, იქნებ ეშმაკს მიეძინოს და არ წავაგოვო; მაგრამ მისდა სავალალოდ, ვაი, რომ ეშმაკი ფხიზლად იყო: მისმა გაცრეცილმა ხუთლარიანმა მამიას საფულეში ჰპოვა თავშესაფარი. ლადი რისკზე წავიდა — მეორე პარტიაც ეთამაშა მამიას, თუმცა, არც კი იცოდა, რომ წაეგო, როგორ გადაეხადა თანხა. ამჯერად, მისდა სასიხარულოდ, მართლა მიეძინა ქაჩალ ეშმაკს და ხუთლარიანი კვლავ ძველი პატრონის ჯიბეს დაუბრუნდა.

აზარტულ მამიას ის იყო, უნდა ეკითხა ლადისთვის, მესამე ხელი ხომ არ ვითამაშოთო, რომ ოჯახის უფროსმა — იგივე იუბილარმა, ჩვეული ტაქტითა და ხალასი იუმორით, ისე, რომ სტუმრების თავმოყვარეობა არ შეელახა, კარტები წამოკრიფა, ნარდი კედელთან მისწია და ყველა სუფრასთან მიიწვია, სადაც უფროსუმცროსობის მიხედვით მიუჩინა ადგილი.

შემთხვევით მოხდა თუ ბედმა ასე ინება, ლადის ნარდში პარტნიორის გვერდით ერგო ადგილი...

ჩამოვარდნილ სიჩუმეში ყველა მადიანად ილუკმებოდა, მხოლოდ დანა-ჩანგლების წკრიალი ისმოდა.

ლადი ერთხანს მოკრძალებით მისჩერებოდა მის წინ დახვავებულ საჭმელს, ვერ გადაეწყვიტა, საიდან დაეწყო. სალათეულს თვალი აარიდა, ყველით გამოტენილ „პირმღიმარე ხაჭაპურს“ მისწვდა და ნეტარებით მიირთვა. ხაჭაპურს აჩმა მიაყოლა; ბროწეულის წვენგადასხმულ, დაბრაწულ ვარიასაც გაუსინჯა გემო, შემდეგ კი — ყავისფერკანიანი, შემწვარი გოჭის მოზრდილი ნაჭერი დაიდო თეფშზე და ზედ ტყემლის საწებელი გადაასხა...

„ცხოვრება მშვენიერია!“ - გაახსენდა ლადის ერთ დროს პრეზიდენტის გამოსვლიდან მოსმენილი (შემდეგ კი საზოგადოებრივი ტელევიზიის ერთერთი გადაცემის სათაურად ქცეული) მშიერი ხალხის გამაღიზიანებელი ხატოვანი სიტყვები და მას, იმ წუთში, ცხოვრება მართლაც მშვენიერი ეჩვენა...

ლხინი წესით და რიგით მიდიოდა: ქართული ადათით, ხმების უმრავლესობით არჩეულმა ღიპიანმა, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა თამადამ სიტყვაკაზმულობით შესვა ოჯახის სადღეგრძელო; მერე ვერცხლით მოჭედილი ყანწი კამკამა რქაწითელით შეავსო და დიდი პათოსით მიულოცა იუბილარს დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულება.

ყანწის ჩამოტარების შემდეგ სუფრა საკმაოდ გამხიარულდა.

— კაი ძალი ხარჯი გაუწევია ჩვენს დიტოს ამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს. — გადაულაპარაკა ლადიმ მამიას. — ეტყობა, ჩემი თანაკურსელის ოჯახს კრიზისი არ შეხებია.

— დიტოს სარფიანი ბიზნესი აქვს, ვერას დააკლებს კრიზისი; თანაც, ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ ხდება ორმოცდაათი წლის!.. —შენიშნა მამიამ.

ლადი მდუმარედ მისჩერებოდა თავის თეფშს. მას, როგორც კეთილი გულის ადამიანს, თანაკურსელის არ შეშურებია, მაგრამ თავისმა ეკონომიურად უსუსურმა მდგომარეობამ კი ჩააფიქრა: „ღმერთო, ძლიერო! ხელი მოუმართე ყველა საქმიან ადამიანს და ნურც გაჭირვებულს დაივიწყებ!..“

ლადის თვალწინ დაუდგა დღეები, როცა მისი ოჯახი — მეუღლე და მოწიფული ქალ-ვაჟი, მხოლოდ ლობიოზე და შემწვარ კარტოფილზე გადადიოდნენ: ეს იყო მათი „სადღესასწაულო სადილი!..“ გაახსენდა, რამდენი რამ აკლდა მის ერთ დროს წელში გამართულ ოჯახს და ერთგვარი ამზერით გადახედა ნუგბარი საჭმელებით დატვირთულ სუფრას, რომელიც ორმოც კაცს თავისუფლად დააპურებდა.

„რატომ არის ასე უსამართლოდ დაყოფილი ხალხი: მცირე ნაწილი მდიდრებად, უდიდესი ნაწილი კი, ღარიბღატაკებად?“ — გული შეეკუმშა ლადის. — „განა მე ნაკლებს ვშრომობ? განა სამშობლოს არ მოვახმარე ჩემი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება? და, რის ფასად? იმისთვის, რომ ორმოცდაათ წელს მიღწეული კაცი ნახევრად მშიერი დავდიოდე? ნუთუ, ჩემს ქვეყანას აღარ ვჭირდები? მე ხომ ჯერ კიდევ ბევრი კარგის გაკეთება შემიძლია მისთვის...“

— რას ჩაფიქრებულხართ სოლომონ ბრძენივით? — გაეხუმრა მამია თანამესუფრეს.

— არაფერია, ბატონო, ყურადღებას ნუ მომაქცევთ. — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა ლადიმ და სიგარეტს მოუკიდა.

ქეიფი ეშხში შედიოდა. სუფრის წევრები საკმაოდ შეზარხოშდნენ. თითოეული მათგანის სახეზე წუთიერ კმაყოფილებას და ბედნიერებას ამოიკითხავდით, რაც ძირითადად, გემრიელი კერძების მირთმევით იყო გამოწვეული.

ლადიმ თვალი გადაავლო სუფრაზე დაწყობილ თითქმის ხელუხლებელ შემწვარ ვარიებს, თანთალა ხაშლამით სავსე ოვალურ ლანგრებს; საცივს, რძეჩამდგარ სულუგუნის ნაჭრებს, მჭადის კვერებს; გოჭის ხორცს, გემრიელად რომ დნება პირში...

„ეჰ, მე კი საკმაოდ დავნაყრდი, მაგრამ რამდენი მშიერია ამქვეყნად...“ — ამოიოხრა ლადიმ. — „თუნდაც ჩემი ოჯახი. ვინ იცის, როგორ ენატრება ახლა ჩემი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს გოჭის ხორცი!.. პირდაპირ — „გოჭისტია!..“ ბიჭი ხაშლამაზე გიჟდება, გოგონა კი, აჩმაზე!.. რა იქნება, რომ...“

ტვინმა თითქოს წააქეზაო: ლადიმ ხელსაწმენდი გადაიფინა მუხლებზე, მიიხედ-მოიხედა, დრო შეარჩია, გოჭის მენჯს ხელი სტაცა, შეახვია და პიჯაკის ჯიბეში ჩაიცურა. მისი „ეშმაკობა“ სხვებისთვის შეუმჩნეველი დარჩა.

ლადიმ ცოტა დაახანა, მერე კი — პირველი წარმატებისაგან გათამამებულმა, მწვადისა და ვარიის ნაჭრები გაახვია ორმაგ ხელსაწმენდში და ჯიბეში უკრა თავი.

მასპინძლის ქალიშვილი ფორტეპიანოს მიუჯდა და საცეკვაო მელოდია დაუკრა. მამამ სკამები მისწი-მოსწია, პიჯაკი გაიხადა და ცეკვით კოხტად ჩამოუარა სუფრას.

რაკი ყველას ყურადღება იუბილარისკენ იყო მიპყრობილი, ლადიმ თავისკენ მიიჩოჩა ხაშლამით სავსე თეფში და ნაცადი ილეთით ჩაცალა ხელსაწმენდში. სწორედ იმ დროს, მამია, რომელიც მის ახლოს მჯდარ ლამაზ ქალბატონთან საუბრით იყო გართული, ლადისკენ შემობრუნდა, ალბათ რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ სახტად დარჩენილს სიტყვა გაუწყდა, როცა თვალი შეასწრო, რა გამალებით ახვევდა ხაშლამის ნაჭრებს ხელსაწმენდში მისი მეზობელი.

— რა გნებავდათ, ბატონო მამია? — მიამიტად შეეკითხა ლადი, თან ხელსაწმენდს სუფრის კალთა წააფარა.

— რას შვრებით, ყმაწვილო, რატომ კადრულობთ მაგას? — ხმადაბლა, მაგრამ წყრომით ჰკითხა მამიამ.

— რა ვიკადრე უკადრებელი? — ვითომ გაიკვირვა ლადიმ და არხეინად ჩაიდო შარვლის ჯიბეში შეფუთული ხორცი. — არ მესმის, რაზე მიწყრებით...

— არაფერზე, ბატონო, არაფერზე, მაგრამ თქვენმა საქციელმა კლდიაშვილის გუდამშიერი აზნაურები გამახსენა.

— კლდიაშვილი რა შუაშია? — ნაძალადევად გაუღიმა ლადიმ.

— აბა, რას მივაწერო თქვენი საქციელი? ცხადად დავინახე, როგორ შეახვიეთ ხორცი და ჩაიდეთ ჯიბეში.

— კლეპტომანი ვარ, ბატონო!

— კლეპტომანი?.. — გაკვირვებით აზიდა წარბები მამიამ.

— დიახ. ავადმყოფობაა ასეთი.

— ? — მთლად დაიბნა მამია.

— კლეპტომანი ბერძნული სიტყვაა: „კლეპტო“ ნიშნავს ვიპარავ; „მანია“ - მისწრაფებას. ესე იგი, კლეპტომანი ისეთი პიროვნებაა, რომელსაც ახასიათებს გადაულახავი მიდრეკილება ქურდობისადმი, რა გარემოშიც არ უნდა მოხვდეს. ხშირად ეს სხვადასხვა ფიზიკური დაავადებით არის გამოწვეული.

— თქვენ არაფერი გეტყობათ ფიზიკური ნაკლისა. — დაეჭვებით თქვა მამიამ.

— შეიძლება გარეგნულად არ მეტყობოდეს. — მშვიდად დაეთანხმა მას ლადი, თან აჩმას და ხაჭაპურს დაადგა თვალი. — ბავშვობისას, ლეღვის ხის დრეკადი ტოტი მომიტყდა, მიწაზე მოვადინე ბრაგვანი და აი, აქ, — დაიდო ლადიმ თითი კეფაზე. — აი, აქ რაღაც ჩამწყდა. მას შემდეგ შემეყარა ეს სენი.

მამია გაოცებით უყურებდა ლადის, ვერ მიმხვდარიყო, მართალს ეუბნებოდნენ თუ ასულელებდნენ; მერე დანანებით გადააქნია თავი, უბრად წამოდგა სკამიდან და თამადის სიახლოვეს ჩამოჯდა ისე, რომ ლადისკენ აღარც გაუხედავს.

დიასახლისმა, საზეიმო ჟრიამულში, ორმოცდაათ სანთელანთებული მოზრდილი ტორტი დააბრძანა სუფრაზე; ოთახში შუქი გამორთეს და სანამ იუბილარი სანთლებს აქრობდა, ლადი თავის „ნადავლით“ შეუმჩნევლად გაძვრა ოთახიდან, რამდენიმე წუთში ქუჩაში ამოყო თავი და შვებით ამოისუნთქა.

ჯიბეებგამობერილი ლადი ღიღინით მიაბიჯებდა ქუჩაში, სადაც კანტიკუნტად ხვდებოდა მასავით დაგვიანებული მგზავრი.

მიუხედავად იმისა, რომ წვიმიანი შემოდგომის ცივი ქარი ქროდა, ლადის მაინც ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე; იგი წინასწარ ზეიმობდა, როგორ გაახარებდა ცოლ-შვილს მოულოდნელი ძღვენით; სულ არ აწუხებდა, რომ რაღაც მომენტში თავის თავზე კონტროლი დაკარგა, რომელიც მომავალში შეიძლება თავმოყვარეობის შელახვის ფასადაც დაჯდომოდა...

ღამის ორ საათზე ტაქსის დაჭერა შეუძლებელი გახდა, მაგრამ ბედად, გარაჟისკენ მიმავალმა ავტობუსმა გაუჩერა და თავის უბნამდე მიიყვანა.

ის იყო, ლადი თავის სახლს მიუახლოვდა, რომ მთელი კვარტალი წყვდიადმა მოიცვა — მოულოდნელად შუქი გამოირთო.

ლადიმ გულში ლაზათიანად შეიკურთხა, სიბნელისთვის თვალი რომ შეეჩვია, ცოტა ხანს შეჩერდა, სანთებელა მოიმარჯვა, რათა თავიდან აერიდებინა მოულოდნელი ხიფათი (რასაც, შეიძლება მართლა გაეხადა ნამდვილი კლეპტომანი) და სვენებ-სვენებით მიუახლოვდა თავის სადარბაზოს. როცა მან კვლავ გააშუქა სანთებელა, მოეჩვენა, რომ მის წინ ათეულმა ნაპერწკალმა დააკვესა. მისდა საუბედუროდ, ეს მოჩვენება არ იყო: ფოსფორივით მოელვარე თვალები, უკანა თათებზე ჩაცუცქული მაწანწალა, მშიერი ძაღლების ხროვას ეკუთვნოდა, რომლებიც ენაგადმოგდებულნი მისჩერებოდნენ საჭმელებით ჯიბეებსავსე „კლეპტომანს“. ლადის გაახსენდა, ორი კვირის წინ, როგორ დაკბინა მაწანწალა, ცოფიანმა ძაღლმა შეგვიანებული მგზავრი მეზობელ უბანში და ტანში გასცრა.

— აი, ხათაბალა!.. — წამოიძახა მან, თან ირგვლივ მიმოიხედა, იქნებ ჯოხი ეგდოს სადმეო, მაგრამ ამაოდ... უცებ, ბორდიურთან მოზრდილ ქვას მოჰკრა თვალი, ფრთხილი ნაბიჯით გაიწია თავდაცვის ამ იარაღისკენ, დაიხარა კიდეც ასაღებად, მაგრამ ხროვა ყეფით მოსწყდა ასფალტს, ეცნენ ლადის და ჯიბეებზე დაეკიდნენ.

— გამეცათ, თქვე ოხრებო! — შესძახა ლადიმ და რამდენიმე ძაღლს წიხლი უთავაზა. ძაღლებმა შეჰყეფეს, მტკივანი ადგილები მოილოკეს, ახალ იერიშზე გადავიდნენ და მჭიდროდ შემოერტყნენ თავიანთ მსხვერპლს. საბედნიეროდ, ძაღლები ლადის დაკბენას კი არ ლამობდნენ, არამედ, მათ ყნოსვას ხორცის სუნი აღიზიანებდა და კბილებით ცდილობდნენ დაეგლიჯათ მისი კოსტიუმის ჯიბეები.

„რა ვქნა ახლა“? — ფიქრობდა ლადი. — „რა ჯანდაბა მოვუხერხო, ამ მართლა ძაღლებს? ამ უდროო დროს, ყვირილით ხომ არ დავაფეთებ მეზობლებს და ჩემი ფათერაკის მოწმედ ვერ გავხდი?..“

ლადი შეეცადა წიხლი ჩაეკრა ერთი უფრო თავხედი ძაღლისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელმა, მარჯვედ აიცილა მოქნეული ფეხი, შარვლის ტოტში ეცა და შემოახია.

— ვახ, შე ავაზაკო! — გამწარდა ლადი და იქნებ ასე მაინც დავაფრთხო გაავებული ხროვაო — ჯერ ტაში შემოჰკრა, მერე მკვეთრად დაუსტვინა, მაგრამ ამ ოპერაციიდან სასიკეთო არაფერი გამოვიდა: ძაღლებმა ყურიც არ შეიბერტყეს, უფრო უმატეს ღრენას.

„ახლა უკეთ დავრწმუნდი იმ ანდაზის სიმართლეში, თუ როგორ შეიძლება „უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწიოს.“ - გაიფიქრა ლადიმ, რომელსაც იუმორის გრძნობა გაჭირვების წუთებშიც არ ღალატობდა.

სხვა გზა არ იყო, თავის დასახსნელად „ხარკი“ უნდა გაეღო: ვარიის ნაჭრები ამოიღო ჯიბიდან და სხვადასხვა მხარეს ისროლა. ძაღლები ყეფით მოსწყდნენ მიწას და ხარბად დააცხრნენ ქათმის ხორცს.

ლადიმ თავის სადარბაზოს შესასვლელისკენ მოკურცხლა, მაგრამ ძაღლებმა სწრაფად გადასანსლეს ბრძოლით მოპოვებული ნადავლი და კაცი ისევ კედელთან მიიმწყვდიეს. ლადიმ ამოიგმინა, თავი გადარჩენილი ეგონა, გამარჯვება კი — თურმე ჯერ შორს იყო. მან ახლა ხაჭაპურით სცადა ხროვისგან „თავის გამოსყიდვა“, მაგრამ ისინი ჰაერშივე მისწვდნენ ხაჭაპურის ნაჭრებს, დაუღეჭავად გადაყლაპეს და კვლავ გარს შემოერტყნენ ჩვენი ნოველის უიღბლო გმირს.

„მეტი გზა არ არის, ხაშლამაც უნდა გავიმეტო.“ - სასოწარკვეთით აღმოხდა ლადის. - „იქნებ, როგორმე გოჭი და მწვადი გადავარჩინო“.

ძაღლებმა ხაშლამაც სწრაფად გადაუძახეს მუცელში და კვლავ ლადის დაუკვესეს თვალები...

ლადიმ მწვადის ნაჭრები ჩაბღუჯა, ფეხის ცერებზე აიწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შორს ისროლა. ამ მანევრმა გაჭრა — სანამ ძაღლები ყნოსვით ეძებდნენ ხორცს, ლადიმ დრო არ დაკარგა: შარვლის ჩამოხეული ტოტის ფრიალით შევარდა თავის სადარბაზოში და სირბილით აუყვა კიბის საფეხურებს. ზოგიერთმა თამამმა ძაღლმა სცადა უკან მიჰყოლოდა, მაგრამ ის უკვე მეექვსე სართულზე, თავის სახლის კარზე აბრახუნებდა, საიდანაც, სანთლით ხელში, მისი შეშფოთებული მეუღლე გამოჩნდა.

ძაღლები სანთლის შუქმა შეაკრთო, უკმაყოფილოდ დაიყმუვლეს, კიბეები ჩაირბინეს და ახალი საკბილოს საძებრად ქუჩაში გაიფანტნენ...

თენდებოდა 2009 წლის 23 ნოემბერი, „ვარდების რევოლუციის“ მეექვსე წლისთავი.




ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №160

# „ქართუს“ საშობაო საჩუქარი

***წინასაახალწლო** დღეებში განსაკუთრებული სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „კვირაძალის საკითხავის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა ორმა პუბლიკაციამ, რომელიც ბათუმის ბოტანიკური ბაღის პრობლემებს და ზოგიერთ დღემდე გადაუჭრელ პრობლემას ეხებოდა, დააინტერესა საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ და ჩვენი დროების დიდმა ქველმოქმედმა ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** კიდევ ერთი, ერის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.*

***გთავაზობთ** სამადლობელ წერილს ბათუმიდან. „საქართველოს რესპუბლიკის“ ურთიერთობა ჩვენი სამშობლოს რეგიონებთან, ამჟამად მარშრუტით „თბილისი-ბათუმი-თბილისი“ გრძელდება...*

Ის, რომ უცხოელის მიერ შენი ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი სათანადოდ უნდა დავაფასოთ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ნურც იმის თქმას მოვერიდებით, რომ სხვათა მიმართ გულუხვთ, ხშირად ჩვენიანისათვის მცირედის გაღებაც გვავიწყდება.

მსგავსი, არცთუ სასიამოვნო განწყობა გვეუფლება ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სტუმრობისას. ბუნებისა და ადამიანთა არაერთი თაობის შრომითა და რუდუნებით შექმნილ ამ იშვიათ ქმნილებას, ადგილობრივი თუ უცხოეთიდან ჩამოსული ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს. თვალწარმტაც მცენარეულ პალიტრასთან ერთად, ცალკეულ კონტინენტებად რომ არის წარმოდგენილი, ბუნებრივია, მნახველთ ამ მშვენიერების შემქმნელთა ვინაობაც აინტერესებთ. პასუხი კი აქამდე ერთადერთია. აქამდე ყველაფერი რუსი გეოგრაფისა და ბოტანიკოსის ა. კრასნოვის სახელს მიეწერებოდა. არადა, ინფორმაცია აშკარად გაზვიადებული და ზედაპირულია, რადგან ცალკეული მოვლენები, ფაქტები, რომელსაც ისინი იშველიებენ, მტკიცებულებად არ გამოდგება და სიღრმისეული შესწავლა-გაანალიზების გარეშე ისტორიის ნაწილად ვერ იქცევა...

სწორედ ამ საკითხს ეხებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 14 ნოემბრის ყოველკვირეულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ჩანართში გამოქვეყნებული წერილი „დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი“, სადაც შევეცადეთ მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია ბათუმის ბოტანიკური ბაღის 100-წლიანი ისტორიიდან ამოგლეჯილი და მივიწყებული თავფურცლის, ბაღის სულისჩამდგმელის, მისი მთავარი არქიტექტორ-მშენებლის იასონ გორდეზიანის შესახებ.

პუბლიკაციის დასკვნით ნაწილში, თავი მოვალედ ჩავთვალეთ, საზოგადოებისათვის, ერთხელ კიდევ შეგვეხსენებინა, რომ ბათუმის ბოტანიკურ ბაღზე საუბრისას, უმადურობა იქნებოდა, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ და მისი დამაარსებელი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ ახსენო, რომლის კეთილი ნებით გადაურჩა გაჩანაგება-გასხვისებას ეს მსოფლიო მნიშვნელობის მწვანე საოცრება.

ასევე ვწერდით, – იქნებ გვეთხოვა ამ კეთილი ადამიანებისათვის, ბაღის ტერიტორიაზე ი. გორდეზიანის სკულპტურის დადგმა, საიუბილეო მედლის დამზადება მისი გამოსახულებით, ამ ამაგდარი კაცის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნისა და ბაღის 100-წლიანი ისტორიის ფუნდამენტური მონოგრაფიის გამოცემა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მცირე „სახლ-მუზეუმის“ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, სადაც გამოიფინება ი. გორდეზიანის კუთვნილი ნივთები, სურათები, წერილები, საარქივო მასალები და ა.შ...

ყველაფერი ეს, ჯერ კიდევ გუშინ, ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, – აუხდენელი ოცნება და სურვილი გახლდათ. მაგრამ, თითქოსდა, ზღაპრული ნატვრისთვალისთვის ჩაგვეთქვასო, საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ გამოეხმაურა „საქართველოს რესპუბლიკის“ პუბლიკაციებს, კიდევ ერთხელ გაგვაოცა მოულოდნელი გადაწყვეტილებით და მართლაც რომ არნახული, საშობაო საჩუქარი გაუკეთა მთლიანად საქართველოს, უკლებლივ ყველას, შინ თუ საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს, ვინც უფრთხილდება და აფასებს წარსულს, სჯერა მისი ქვეყნის აწმყოსი და მომავლის.

ფონდმა „ქართუმ“ არათუ გაიზიარა და მხარი დაუჭირა ჩვენს წინადადებებს, საკუთარ თავზე აიღო მათი დაფინანსება.

ახლა უკვე თამამად, ყველას გასაგონად შეგვიძლია განვაცხადოთ: იასონ გორდეზიანის სკულპტურა, რომელიც 100 წლის შემდეგ ბაღის ტერიტორიაზე აღიმართება, იქნება სიმბოლო მისი და ყველა უსამართლოდ დავიწყებული მამულიშვილის უკვდავებისა, სიკეთის ზეობისა!

**ოთარ გაგუა,**

**ენციკლოპედია „აჭარის“ საგამომცემლო-შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელი.**

14 დეკემბერი, 2009 წ.





**ნაკლებად ცნობილი ანა კალანდაძე**

# „ვეცდები, ვუპასუხო“...

*1975 წლის ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას სხვადასხვა მწერლისთვის, მათ შორის, ანა კალანდაძისთვის მიუმართავს.*

*შეკითხვები სტერეოტიპული იყო: როგორ ხედავს საბჭოთა საქართველოს მწერალი რესპუბლიკაში განხორციელებულ სიახლეებს, შრომისმოყვარე ხალხს... ქალბატონ ანა კალანდაძისთვისაც უთხოვიათ, რაიმე ეთქვა „ჩაის ხავერდოვან პლანტაციებზე“.*

*– „წარმოშობით საქართველოს ერთ-ერთი „ჩაის მხარიდან“ ვარ, – დაწერა პოეტმა, – ჩემი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები დამძიმებულია მალარიით. შრომისუნარდაქვეითებულ ადამიანთა ფერმკრთალი, სხივჩაუმდგარი სახეებით, ხაშმიანი დღეებით... თავდადებულმა შრომამ წალკოტად აქცია მალარიის ძველისძველი სამფლობელო“...*

*უფრო ადრე კი, 1958 წელს, ანა კალანდაძე რედაქციაში მიუწვევიათ.*

*შეკითხვაზე, რომელიც საბჭოთა მწერლების V ყრილობას და საბჭოეთის კოსმოსურ მიღწევებს ეხებოდა, ქალბატონ ანას ორგვერდიანი ჩანაწერი გაუკეთებია, სათაურით „ვეცდები, ვუპასუხო“... პოეტი შეეცადა „დროების შესაბამისად“ ეპასუხა. სათანადო სტერეოტიპებიც მოიშველია... მაგრამ, როგორც ჩანს, ამგვარი „პასუხიც“ გაზეთის ფორმატს და იდეოლოგიას მაინცდამაინც არ შეესაბამებოდა...*

*1975 წლის ანასეული ხელნაწერი, როგორც 1958 წლისა, გაზეთის არქივიდან „კვირაძალის მკითხველისთვის“ მოგვაწოდა ბატონმა **გურამ გოგიაშვილმა**, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.*

**ღმერთებმა დააწყვეს თავიანთი გვირგვინები საბჭოთა მეცნიერების ფერხთით... ამოხსნილ იქნა კოსმოსის დიდი, საუკუნეობრივი საიდუმლო, ასე რომ ემალებოდა მიწას. საბჭოთა ადამიანი შეიჭრა პლანეტების სამყაროში და ცის უხილავი ძალების მბრძანებელი გახდა. მეცნიერული აზრის ამ გიგანტურ აღმავლობას ემთხვევა საქართველოს საბჭოთა მწერლების V ყრილობა, რომელიც მალე დაიწყებს მუშაობას. ბუნებრივია, თვალს გადაავლებ განვლილი შემოქმედებითი ცხოვრების გზას, იფიქრებ მომავალ შემოქმედებითი მუშაობაზე. ახალი ეპოქა, ახალი ადამიანები, ახალ ამოცანებს აყენებენ ჩვენს წინაშე. შევძლებ თუ არა ამ ახალი სულის პოვნას ჩემს შემოქმედებაში და როგორ? აი, ის კითხვები, რომლებიც წამოიჭრებიან ჩვენს წინაშე. თითქოს ძნელია წინდაწინ თქმა იმისა, რას გავაკეთებ დღეს, ხვალ, ზეგ. მაგრამ ერთი ხომ ცხადია: ჩვენი სიცოცხლის ყოველი წუთი ეკუთვნის ჩვენს ხალხს და ჩვენს მიწას, რომელთაც უკვე დაირქვეს დიდების შარავანდედი.**

**ჩვენი დიდებული მიწა და მზე, ჩვენი ლამაზი ცხოვრება არის და იქნება მისი თავდები, რას გავაკეთებ მე ხვალ: ჩემი შემოქმედებითი ძალა და ღონე ხომ იმათგან მოდის, იმათეულია. ვეცდები, შეძლებისდაგვარად ვუპასუხო დიდ გამარჯვებებს ჩემი მიწისა, რომლის ფეხთითაც ღმერთები უკვე აწყობენ თავიანთ გვირგვინებს.**

**ანა კალანდაძე**

◉ კიდევ ერთი ვერსია

*21 დეკემბერს იოსებ სტალინის თაყვანისმცემლებმა მისი დაბადების 130 წლისთავი აღნიშნეს. ამ ცოტა ხნის წინათ გაჩნდა ახალი ცნობები იმის შესახებ, რომ ბელადის სიკვდილი 1953 წლის მარტში შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც არქივის დოკუმენტები და თანამედროვეთა მოგონებები მოწმობენ, ომის შემდეგ სტალინი ცდილობდა ხელისუფლების გამყარებას ახალი ადამიანებით, თავად სისტემის შეუცვლელად. მაგრამ, როდესაც გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ცბიერი ბერია და თავისი უკვე არასაიმედო გარემოცვა, ბელადმა წინასწარ გადაწყვიტა თავისი ბედი: ყოფილ თანამებრძოლებში თვითგადარჩენის ინსტინქტი ალაპარაკდა...*

# სტალინის მემკვიდრის საიდუმლოება

## მემკვიდრე № 1: ვოზნესენსკი

**ცნობილია, რომ სტალინმა, ლენინისგან განსხვავებით, ვერ შეძლო თავისი შემცვლელის დატოვება.** თუმცა, სტალინმა დაუშვა შეცდომა, როდესაც თავის მემკვიდრედ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვოზნესენსკი დაასახელა. შედეგად, ეს მემკვიდრე ჯერ კიდევ ბელადის სიცოცხლეში ცეცხლის ალში გაატარეს ბერიამ და მისმა თანამზრახველებმა მალენკოვის, ხრუშჩოვისა და ბულგანინის სახით. მისი სიკვდილით დასჯის ოფიციალური დღე გახდა 1950 წლის 1 ოქტომბერი.



სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლაი ვოზნესენსკი.

სტალინს არ სურდა დაეჯერებინა ის ჭუჭყი, რაშიც გარიეს ვოზნესენსკი მისმა „თანამებრძოლებმა“. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩემი სწავლის წლებში ისტორიის მასწავლებელმა ა.კუზმიჩმა, რომელიც პარტიულ არქივში მუშაობდა, გვიამბო, რომ თავად ნახა საქაღალდე, რომელზეც სტალინმა, როცა გადასცეს ნ.ა.ვოზნესენსკის საქმე, დააწერა: „არ მჯერა“. როდესაც მალენკოვმა, ბერიამ და ხრუშჩოვმა დაუდასტურეს საქმეში არსებული ფაქტები, ბელადი დიდხანს იყო საგონებელში...

დ.ვოლკოგონოვის მონაცემებით, „ლენინგრადის საქმესთან“ დაკავშირებული განსასჯელები განაჩენის გამოტანის შემდეგ დახვრიტეს. ვოზნესენსკი კი *„კიდევ სამი თვე განაჩენის შემდეგ ციხეში ჰყავდათ. 1950 წლის დეკემბერში კი, ვიღაცის ბრძანებით... საზაფხულო ტანსაცმლით სატვირთო მანქანით წაიყვანეს მოსკოვში. გზაში ვოზნესენსკი ან გაიყინა, ან დახვრიტეს...“* მსგავსი ვერსია საჯაროდ გაახმიანა მალენკოვის ვაჟიშვილმა ანდრეიმ, რომელმაც თავისი მამისგან მოისმინა: „ერთხელ სტალინმა მკითხა: „ვოზნესენსკი გაგზავნეს ურალში? მიხედეთ, რომ კარგი სამუშაო მისცენ“. მაშინ მამამ აცნობა სტალინს, რომ ვოზნესენსკი გაგზავნეს ურალში ცივი ვაგონით ზაფხულის ტანსაცმლით და გზაში გაიყინაო“.

სტალინი ვოზნესენსკის აფასებდა როგორც სპეციალისტს, მაგრამ „საქმეში სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკების შესახებ“ გადმოცემულ ფაქტებს მართლა ჰქონდა ადგილი. მეორე შეკითხვა: რამდენად იყო დამნაშავე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავად თავმჯდომარე იმაში, რომ 1944-დან 1948 წლამდე მისი უწყების სეიფიდან დაიკარგა 236 საიდუმლო დოკუმენტი? ან იმაში, რომ სახალხო მეურნეობის ერთ დარგს „მეგობრულად“ უმცირებდნენ, მეტოქეებს კი – ხელოვნურად უზრდიდნენ წარმოების გეგმებს?

მიუხედავად სტალინის მითითებისა ვოზნესენსკის საქმის ხელმეორედ გულდასმით გადასინჯვის შესახებ, ბერია და კომპანია აშკარად არ იყო დაინტერესებული ნამდვილი დამნაშავეების მოძიებით. ვოზნესენსკის ბედი წინასწარ განსაზღვრული აღმოჩნდა. მაგრამ თანამედროვეთა მოგონებებით სტალინი კიდევ დიდხანს ამბობდა: „დავღუპეთ ჩვენ ვოზნესენსკი, დავღუპეთ!“ მხოლოდ შეგვიძლია ვიმკითხაოთ, თუ, კერძოდ, ვინ მოიპარა სტალინის მემკვიდრის სეიფიდან ზესაიდუმლო დოკუმენტები კრემლის პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ.

## მემკვიდრე № 2: პონომარენკო?

**სტალინი ხვდებოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო.** ამიტომ ცდილობდა მოენახა ვოზნესენსკის შემცვლელი. ამჟამად სულ უფრო აქტიურად ვრცელდება ხმები, თითქოს ახალ მემკვიდრედ აირჩიეს პანტელეიმონ კონდრატეს ძე პონომარენკო. ამას ადასტურებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ანატოლი ლუკიანოვი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგედ და ცენტრალური კომიტეტის მდივნად ყოფნის დროს შეეძლო ამასთან დაკავშირებით მიეღო პირდაპირი დადასტურება ოფიციალური პირებისგან. მე ბევრჯერ მისაუბრია ლუკიანოვთან და აი რა გავარკვიე:

მომყავს ლუკიანოვის ციტატა: *„ცენტრალურ კომიტეტში იმ ხალხისგან, ვისი დასახელებაც საჯაროდ არ შემიძლია, მაგრამ ვისი პატიოსნებაც ჩემში ეჭვს არ იწვევს, მომისმენია შემდეგი: სტალინის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მისი ნებართვით მომზადდა წერილი წინადადებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ პ.კ.პონომარენკოს დანიშვნის შესახებ თავისი გადადგომის შესახებ დაჟინებით მთხოვნელი სტალინის ნაცვლად, მისი მოახლოებული სიბერის გამო და რის შესახებაც მან ოფიციალურად დააყენა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე* (ე.ი. გარდაცვალებამდე 4,5 თვით ადრე, – ავტ.ძ. *ეს პროექტი უკვე იყო ვიზირებული თითქმის ყველა პირველი პირის მიერ ბერიას, მალენკოვის, ხრუშჩოვისა და ბულგანინის გარდა. 1953 წლის გაზაფხულზე დადგენილების პროექტის განხილვა გათვალისწინებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე* (რომელიც, ოფიციალური მონაცემებით, უნდა გამართულიყო 2 მარტს – ავტ.ძ. *მაგრამ სტალინის მოულოდნელმა სასიკვდილო ავადმყოფობამ* (პრეზიდიუმის სხდომაზე ერთი დღით ადრე, – **ავტ**.ძ *არ მისცა წერილის განხილვის საშუალება, ბელადის სიკვდილის შემდეგ კი, ბუნებრივია, ეს პროექტი მოექცა იმის ჩრდილში, ვის ხელშიც ხელისუფლება გადავიდა. პარტიულ ხელისუფლებაში ხრუშჩოვის გადასვლის შემდეგ ეს დოკუმენტი გაქრა“..*

არ არის გამორიცხული, რომ პარტიის სათავეში მოსულმა ხრუშჩოვმა ბერიასა და მალენკოვის მხარდაჭერით გასცა მისი განადგურების ბრძანება, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქაღალდისა, რომელთა არსებობა მის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. ბერიამ, მალენკოვმა და ხრუშჩოვმა იცოდნენ, რომ პონომარენკოს მოსვლით მათს კარიერას ბოლო მოეღებოდა. განსაკუთრებით განიცდიდა ხრუშჩოვი. პონომარენკო ჯერ კიდევ მისი ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ყოფნის დროს, სტალინს მოსწონდა იგი მისი ორგანიზატორული უნარის გამო, რასაც მის ფონზე, ხრუშჩოვი ვერ დაიკვეხნიდა, მაშინ უკრაინას რომ ხელმძღვანელობდა. ომის დროს სტალინმა ქვეყნის პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელად დანიშნა არა ხრუშჩოვი, არამედ პონომარენკო. ხოლო, როდესაც ახალგაზრდა პონომარენკო სტალინმა ცენტრალური კომიტეტის მდივნად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა, ესე იგი ერთ-ერთ თავის მოადგილედ, ხრუშჩოვმა, ცხადია, მასში თავისი ძირითადი მეტოქე დაინახა... როგორც კი ნიკიტა ხრუშჩოვი ხელისუფლების სათავეში მოვიდა, მაშინვე პონომარენკო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილიდან გადაიყვანა ნაკლებად მნიშვნელოვან კულტურის მინისტრად, პარტიული თვალსაზრისით კი – დააქვეითა პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატამდე. მომდევნო წელს გახდა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ კი გადაიყვანა ელჩად მოსკოვიდან მოშორებით...

## „ბებრების“ რევანში

**პირველ როლებზე პარტიული პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სტალინს შეეძლო გაეხადა პონომარენკო თავის მემკვიდრედ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში...** საბჭოთა სისტემაში, ლენინიდან მოყოლებული, აუცილებლად ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს პირველ პირს უნდა ჰქონოდა სოციალიზმის განვითარების პროგრამის მეცნიერულად დამუშავების უნარი. ამ თვალსაზრისით, სტალინს, როგორ კარგადაც უნდა ყოფილიყო ის განწყობილი პონომარენკოსადმი, ძნელად რომ დაენახა მასში თავისი მემკვიდრე, პიროვნებაში, რომელსაც არ ჰქონდა ნამდვილი თეორიული შრომები. ისეთები, როგორიც იყო ნ.ა. ვოზნესენსკის (სხვათა შორის, აკადემიკოსის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორისძ შრომები „სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკა სამამულო ომის პერიოდში“ ან „კომუნიზმის პოლიტიკური ეკონომია“. მათ მოიპოვეს წარმატებული პოლიტიკური განსახიერება პრაქტიკაში „ეკონომიკური გამარჯვების“ შექმნის სახით ომისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში მხოლოდ ომისშემდგომი ერთი ხუთწლედის განმავლობაში, უცხოური სესხების გარეშე. სტალინი დიდად აფასებდა ვოზნესენსკის ჭკუასა და განათლებას (შედარებისთვის აღვნიშნავ: ხრუშჩოვმა ისიც არ იცოდა, როგორ იწერებოდა რუსულად „ознакомиться“ და წერდა „азнакомица“ძ.



ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პანტელეიმონ პონომარენკო.

როგორც უკვე ითქვა, ვარაუდი, რომ ბელადს სურდა თავის ნაცვლად დაეყენებინა 50 წლის პონომარენკო, მტკიცდება იმით, რომ ხელისუფლებიდან სტალინის ჩამოშორების უმალვე პონომარენკო ჩამოაქვეითეს მეორეხარისხოვან თანამდებობაზე. ამასთან ერთად, ეს არ ასახავს სრულად შექმნილ ვითარებას, ვინაიდან იგივე ბედი ეწია სხვა „ახალგაზრდა“ ხელმძღვანელებს, რომლებიც სტალინმა მანამდე 4,5 თვით ადრე წამოაყენა „ძველი გვარდიის“ შესაცვლელად. და ეს შეცვლა – ბელადის გეგმით და, რასაკვირველია, მისი კონტროლით – უნდა მოეხდინა სტალინის მიერ თავის ნაცვლად შემოთავაზებულ პონომარენკოს. ყოველივე ამის დასტურია ჩემგან არქივების წიაღიდან ამოღებული იმ „ახალგაზრდების“ სია, ვისი კარიერა პირდაპირ ერთ საათში დაირღვა ბელადის „განუკურნებელი ავადმყოფობით“:

**46 წლის ლ.ბრეჟნევი:** ცენტრალური კომიტეტის მდივნობიდან და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატიდან – გადაყვანილი იქნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე;

**49 წლის ა.კოსიგინი:** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატიდან – მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრის პოსტზე;

**50 წლის მალიშევი:** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილიდან და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობიდან – ტრანსპორტისა და მძიმე მრეწველობის მინისტრის პოსტზე;

**50 წლის ვ.კუზნეცოვი** – იყო საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი – გახდა ელჩი ჩინეთში...

ეს და ბევრი სხვა გადაადგილებანი მეტყველებენ იმაზე, რომ „ძველმა გვარდიამ“ გადაწყვიტა, გზიდან ჩამოეშორებინა პრაქტიკულად ყველა უფრო „ახალგაზრდა კონკურენტი“. ცენტრალური კომიტეტის წევრის ლ.ნ. ეფრემოვის მოგონებებით, 1952 წლის 16 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბელადი ამბობდა: „ჩვენ თანამდებობიდან გავათავისუფლეთ მინისტრები მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და სხვები და შევცვალეთ ისინი ახალი მუშაკებით. რატომ? რის საფუძველზე? მინისტრების სამუშაო – ძნელი სამუშაოა! ის მოითხოვს დიდ ძალისხმევას, კონკრეტულ ცოდნასა და ჯანმრთელობას. აი რატომ გავათავისუფლეთ ზოგიერთი დამსახურებული ამხანაგი დაკავებული პოსტებიდან და მათს ადგილებზე დავნიშნეთ ახალი, უფრო კვალიფიციური, ინიციატივიანი მუშაკები. ისინი ახალგაზრდები არიან, ძალითა და ენერგიით აღსავსენი...“

**კანდიდატის არჩევით ბელადმა, ალბათ, თავის თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა**



„ძველი გვარდია“ – ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი.

## ისტორიის განშტოება

**დღეს უკვე აღარ არის ეჭვი, რომ „ძველი გვარდიის“ თავზე წამოჭრილმა საფრთხემ გააკეთა თავისი საქმე სტალინის თავიდან მოშორებასა და „ახალი ინიციატივიანი მუშაკების“ გათავისუფლებაში პირველი როლებიდან.** ვერ მოასწრო ბელადმა გარდაცვალება, რომ ყველა „ძველმა“ არა მხოლოდ დაიბრუნა ყოფილი პოსტები, არამედ ხელში ჩაიგდეს ახალი პოსტები, რომლებიც თავად სტალინს ეკუთვნოდა. მალენკოვი გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ხრუშჩოვმა დაიკავა სტალინის ადგილი ცენტრალურ კომიტეტში, ბერიამ გააერთიანა ერთ სამინისტროდ შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და როგორც ერთიანმა მინისტრმა თავისი კონტროლის ქვეშ მოიქცია მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება...

იმის მსგავსად, როგორც გორბაჩოვის მიერ 1991 წლის აგვისტოში დანიშნული ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მიღების დღე გახდა სიგნალი საგანგებო სიტუაციის სახელმწიფო კომიტეტის (გკჩძ გამოსვლისთვის სსრ კავშირის შენარჩუნების მიზნით, 1953 წლის მარტის დასაწყისი, როდესაც უნდა მომხდარიყო ბევრი შემობრუნების მოვლენა ქვეყნის ისტორიაში, გადაიქცა სტალინის თავიდან მოშორების დროდ (დოკუმენტების მიხედვით, მოწამვლის გზითძ. ასეთი შემობრუნების მომენტებს შორის ხმები ასახელებდნენ, მაგალითად, „ქართულ-მეგრულ საქმეს“ და ბერიას მოსალოდნელი დაპატიმრებას.

**დასკვნა:** პონომარენკოს კანდიდატურას შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი, თუკი სტალინი იმდენად დარწმუნდებოდა თავისი გარემოცვის არასაიმედოობაში, რომ მზად იქნებოდა, გადაეცა ხელისუფლება ნებისმიერი შემოწმებული და გაუფუჭებელი ადამიანისთვის გარედან. მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა.

**ნიკოლაი დობრიუხა**

## რატომ უყვართ და ეჯავრებათ სტალინი

| „ხალხის ბელადი“ | „სისხლიანი ტირანი“ |
|---|---|
| **ინდუსტრიალიზაცია.** მძლავრი განვითარების შედეგად 1940 წლისთვის სსრ კავშირის მრეწველობა ევროპაში პირველ ადგილზე გავიდა. მისი წილი მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში 10 პროცენტს აღწევდა. | **კოლექტივიზაცია,** რომელიც ემსახურებოდა ინდუსტრიალიზაციას, 1929-1933 წლებში გაანადგურა მილიონობით დიდი გლეხური მეურნეობა. ეს გახდა 1932-1933 წლების შიმშილის ძირითადი მიზეზი, რომელმაც შეიწირა 5-7 მილიონი კაცის სიცოცხლე, მათ შორის უკრაინაში – 1,5-3,5 მილიონი კაცისა. |
| **დიდი სამამულო ომი.** სწორედ სსრ კავშირმა გადაუმსხვრია ხერხემალი ნაციზმს, შეიტანა ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი გერმანიაზე გამარჯვებაში. ოთხი გერმანელი ჯარისკაციდან, რომლებიც დაიღუპნენ 1939-დან 1945 წლამდე, სამი მოკლულია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. | **სამხედრო დანაკარგები.** გამარჯვება დიდ სამამულო ომში მოპოვებული იქნა საშინელ ფასად. მონაცემები დაღუპულთა ოდენობის შესახებ იცვლება დღემდე: სტალინის დროს ასახელებდნენ 7 მილიონ კაცს, ხრუშჩოვის დროს – 20 მილიონს. უკანასკნელი ოფიციალური ციფრია – 27 მილიონი. |
| **ტერიტორიების დაბრუნება.** სტალინის დროს სსრ კავშირი თითქმის დაბრუნდა რუსეთის იმპერიის 1914 წლის საზღვრებში. ბალტიისპირეთის, დასავლეთი უკრაინის და ბელორუსიის, სხვა ტერიტორიების მიერთებამ „ხალხთა ერთიან ოჯახში“ შემოიყვანა 19 მილიონი მოსახლეობა და 365 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. მოხერხდა ფინეთის ნაწილის დაბრუნებაც. | **რეპრესიები.** 1991 წლის კანონის მიხედვით, რეპრესიად მიჩნეულია ნებისმიერი ძალისმიერი ზომა პოლიტიკური მოტივებით: სიცოცხლის ხელყოფიდან იძულებით შრომამდე. 1921-დან 1953 წლამდე ანტისაბჭოთა და სისხლის სამართლის მუხლებით მსჯავრი დაედო 4 მილიონამდე კაცს, ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დახვრეტილია დაახლოებით 800 ათასი. რეპრესირებულთა 90 პროცენტამდე იყვნენ ხელმძღვანელობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. |
| **ატომური ბომბი.** ბირთვული, მოგვიანებით კი „სამშობლოს სარაკეტო ფარის“ შექმნა დაიწყო სტალინის დროს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შევიდა სსრ კავშირი „ბირთვულ წრეში“, რომელშიც არის ამჟამადაც. | **„ზოოპარკები“ მეცნიერებისთვის.** მეცნიერ მუშაკებს, მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულებსაც (ტუპოლევი, კოროლიოვი, ტერმენი, მიასიშჩევი და სხვ.) აგროვებდნენ ე.წ. „შარაშკებში“, სადაც, რომ იტყვიან, ჭამით ხეთქავდნენ, უქმნიდნენ ყველა პირობას შრომისთვის, მაგრამ არსებითად ეს იყო „ოქროს გალიები“, საიდანაც გამოსვლა შეიძლებოდა, როცა „ფეხებს წინ გიზამდნენ“. |

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

№ 261. შაბათი, 26 დეკემბერი, 2009 წელი.

ნამდვილი ამბავი

# მე ქართველი ქალი ვარ და...

მეგობრის გასვენებაზე მიდიოდა თამარი. დიდი მეგობარი დაკარგა, ერთ-ერთი ყველაზე მახლობელი და საყვარელი ადამიანი, ვისთანაც ერთად მოდიოდა აგერ თითქმის სამოცი წელიწადია. გულიკო იყო მისი ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელობის მომენტის, ეპიზოდის თუ პერიოდის უშუალო მონაწილე, თანამდგომი, მეხვაშიადე, დაწყებული სკოლის წლებიდან, რა წლებიდან – პირველი კლასიდან.

ასეთი ყოფილა ზოგჯერ ბედისწერა – აღმოჩნდნენ ერთ მერხზე სწავლის პირველი დღიდანვე.

იმაზე, ალბათ, არც ღირს საუბარი, რომ გულუბრყვილო ბავშვები იმ დღიდანვე ვერაფერს უმალავდნენ ერთმანეთს – უნდოდათ ეს თუ არ უნდოდათ. მერე და მერე იყო, რომ ეს გულუბრყვილო გულახდილობა – ბალღური ჭორაობა გულითად საუბრებში და ხვაშიადის გამჟღავნების მოთხოვნილებაში გადაიზარდა. განსჯის საგნად თუ ქალებისთვის ბუნებრივი ჩვევის – ჭორაობის საბაბად, როცა ერთმანეთისა არც არაფერი სწყინდათ და როცა ზოგჯერ როყიოდ წამოცდენილი სიტყვა ბუტიაობის საბაბად გამხდარა. თუმცა მხოლოდ ორი წუთით, ერთი წამით. ერთმაც შესანიშნავად იცოდა და მეორემაც, რომ დიდი ხნით უერთმანეთოდ არ შეეძლოთ და ზემოთ ხსენებული წამის შემდეგ აღარც ერთს აღარ ახსოვდა წყენის თუ გაბუტვის მიზეზი.

როცა წამოიზარდნენ და მათი გზები გაიყარნენ...

არა, არა, ცუდად ნათქვამია. როგორ გაიყარნენ, რას მიქვია გაიყარნენ?! როცა ერთი ოჯახს მოეკიდა და შვილები გაუჩნდა, მეორე კი არ გათხოვდა, მაშინაც პოულობდნენ დროს და საშუალებას, არ დაეკარგათ ერთმანეთი, მოენახათ საშუალება და დრო – გაეგრძელებინათ გულღია და სითბოთი აღსავსე საუბრები როგორც საქვეყნო, სანაცნობო თუ სხვა საჭირბოროტო საკითხებსა და თემებზე, საკუთარ გულისტკივილებსა, ფიქრებსა და ოცნებებზე, სადაც დაფარული კვლავ აღარაფერი ყოფილა.

არა. არც აქა ვართ ბოლომდე მართალი.

მიდის ახლა თამარი მეგობრის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად და გული ეკუმშება. იმაზე არა გვაქვს საუბარი, რომ დაკარგა გულის მესაიდუმლე და ლამის სისხლის ზიარი ადამიანი. ეს თავისთავად. აი, იმაზე, რომ თვითონ ვერ აღმოჩნდა მასთან ბოლომდე გულახდილი და გულისტკივილის თუ შფოთვის გამზიარებელი.

მაშინაც კი, როცა თავისი მეგობარი საუბრებში დეტალსაც არ ტოვებდა გულში შეჭრილი სიყვარულის შესახებ, პირველ პაემნებზე და კოცნებზეც.

ვერ აღმოჩნდა ბოლომდე, ვიმეორებთ, გამზიარებელი თავისი განცდებისაც.

კი, როგორ არა, თუ ახალი ვინმე გაუცნია, ან უკვე ძველსა და ნაცნობს რაიმე ქათინაური უთქვამს – ამას როგორ დაუმალავდა, ხოლო თუ უკოცნიათ, ამაზე ხომ მთელი თვეები საუბრობდნენ ხოლმე. მაგრამ, აი, მალხაზმა – მათი სკოლის ზედა კლასელმა მალხაზმა რომ ერთხელ სხვაგვარად გაუღიმა, ეს არც წამოსცდენია თავის დაქალთან.

იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ეჩვენებოდა, მალხაზი დაქალს მოსწონდა და ამას მალავდა, მეორეც, ვაითუ, დამცინისო – სად შენ და სად ისო.

არადა, ძალიან მოსწონდა მალხაზი. მგონი შეუყვარდა კიდეც, თუმცა ამას თავის თავსაც ვერ უმხელდა: თავმდაბალი იყო და ეჩვენებოდა, რომ მალხაზი მთელ სკოლაში იყო გამორჩეული და მას სხვა შეყვარებული რომ არ ჰყოლებოდა, როგორ შეიძლებაო.

რამდენჯერმე შეხვედრიან კიდეც ერთმანეთს. თუმცა მხოლოდ შემთხვევით. კვლავ კეთილ ღიმილს ხედავდა თამარი მასში და მეტს არაფერს. ერთი პერიოდი ისიც შენიშნა, რომ მალხაზი მასთან მორიდებულიც იყო. მეტი, კვლავ და კვლავ, არაფერი.

მერე მალხაზი – ეს უკვე საკმაოდ მოწიფულები იყვნენ – სადღაც დაიკარგა. აღარც უნახავს, დიდი ხნის განმავლობაში.

ახსოვდა, როგორ არა. იმას რა დაავიწყებდა. მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში ყოველთვის ელოდებოდა, რომ მალხაზი გამოჩნდებოდა, გაბედულად მივიდოდა მასთან და სიყვარულში გამოუტყდებოდა.

ეს ლოდინი რომ არ ყოფილიყო, რამდენმა გაუხსნა გული, გაუმჟღავნა სიყვარული, ხელიც უთხოვიათ.

მაგრამ არ უყვარდა ისინი თამარს და მისი ბრალი ხომ არ იყო?! იმედი ვერ ამოიგდო გულიდან.

და, თურმე, ოცდაათ წელზე მეტიც გასულა.

აი, ახლაც მიდის უახლოეს მეგობართან სამუდამოდ დასამშვიდობებლად და წინ მალხაზის სახე წარმოესახა.

კიდევ ერთხელ მწარედ ამოიოხრა. ალბათ, საბოლოოდ ამ ამბავთან დაკავშირებით.

გააცილეს მიცვალებული.

აიშალა ქელეხის სუფრაც.

– თამარ, გამარჯობა. როგორა ხარ? ძლივს გიცანი. თითქმის არ შეცვლილხარ, ისეთივე ლამაზი ხარ, როგორც ოცდაათი წლის წინათ, – წინ დაუდგა ვიღაც ხანშიშესული მამაკაცი.

თამარმა ჯერ გაოცებულმა შეხედა, მერე დაძაბა გონება და... ამოიცნო მალხაზი. არ უგრძნობებია, ვეღარ გიცანიო. მოიკითხა ტრადიციული მოკითხვით, რას საქმიანობ, სად დაიკარგე, რამდენი ხანია არ მინახიხარო და ასე შემდეგ.

მალხაზი სხვა ქალაქში დასახლებულა და დასაქმებულა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ აღარც ჩამოსულა აქეთ. ახლაც, გულიკოს გარდაცვალება გაუგია და მიტომ ჩამოსულა.

– შვილები, შვილიშვილები ბევრი გეყოლება, როგორ მოაწყვე, რას საქმიანობენ? – ისევ სამოვალეობო და ტრადიციული შეკითხვები.

მალხაზმა ღრმად ამოიოხრა.

– ეჰ, თამარ, ვერც ოჯახს მოვეკიდე და არც შვილები მყავანან.

– რატომ, რატომ? ასეთი გამორჩეული ყოველმხრივ – ნიჭითაც, გარეგნულადაც, ქცევითაც?

– გინდა გითხრა, რატომ? – მალხაზმა ცხვირსახოცი მოისვა შუბლზე. – შენ გამო. – მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო, და დაუმატა: – ძალიან მიყვარდი, თამარ, და ვერ გიბედავდი – სად მე და სად ის-მეთქი.

თამარს ოფლმა დაასხა. რაღაც უნდოდა ეთქვა, ენა დაება. ბოლოს ამოიოხრა თავადაც და, როგორც იქნა, ამოიღო ხმა:

– სად იყავი, მალხაზ, თუ ასე იყო, ეს ოცდაათი წელიწადი? შენ იცი, როგორ მიყვარდი?

საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა.

მალხაზი ცოტა დაფიქრდა, ისევ შეიმშრალა შუბლზე ოფლი და ჩვეულებრივზე დაბალი ხმით უთხრა:

– მოდი, თამარ, გამოვასწოროთ ჩვენი უგუნურობა და დიდი შეცდომა. ბევრი წელი მაინც აღარ დაგვრჩენია.

– რას ამბობ, მალხაზ? მე ქართველი ქალი ვარ და ქვეყანას ვერ გავაცინებ.

იმ ღამეს, შეიძლება ბევრ მომდევნო ღამეებსაც თამარს თვალზე ცრემლი არ შეშრობია.

**ზურაბ ლომიძე**

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ მეუღლესთან და ძაღლ ბო-სთან ერთად მიულოცა ამერიკელებს შობა**

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად ამერიკელთა ბევრი ოჯახი მძიმე პერიოდს განიცდის, მაგრამ ყოველგვარი სირთულეების მიუხედავად, შობა მაინც უნდა მივულოცოთ მათ. ობამამ მეუღლესთან ერთად ცალკე მიმართა სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაგან ბევრს უახლოეს პერიოდში მოუწევთ ავღანეთში წასვლა: „სადაც უნდა იმყოფებოდეთ თქვენ, ჩვენ ვფიქრობთ და ვლოცულობთ თქვენთვის“.**

* * *

**ვატიკანში ახალი საშობაო მესის წინ ქალი მივარდა რომის პაპთან**

**უცნობი ქალი წითელი სამოსით რაღაცას ყვიროდა და გადაახტა ღობურს, რათა მიახლოებოდა რომის პაპს. შექმნილ აურზაურში 82 წლის პაპი ფეხზე ვეღარ შეჩერდა და დაეცა. შეიძლება, თავდამსხმელს აწუხებდეს ფსიქიკური მოშლილობა, ჯერ კიდევ შარშან ცდილობდა იგი მიეღწია პაპამდე.**



მუზეუმი

# რას გვიამბობს ბრინჯის მარცვალი?

**დილით, როცა გორელები სტალინის სახლ-მუზეუმის სკვერში დარბიან და ორგანიზმს იკაჟებენ, დასუფთავების თანამშრომლებს წესრიგში მოჰყავთ სკვერის ტერიტორია, გვიან, გააქვთ ფოთლები და სხვა ნარჩენები, კრეჭენ და აკოხტავებენ გაზონებს, ამასობაში მუზეუმის თანამშრომლებიც მოდიან. დილის ოპერატიულ თათბირზე დგება სამუშაო დღის გრაფიკი და აჰა, პირველი ტურისტებიც გამოჩნდნენ.**

– დამთვალიერებლები ბევრი გვყავს, უპირატესად, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, – მეუბნება ი. სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორი რობერტ მაღლაკელიძე, – თბილისში აკრედიტებული საელჩოების თანამშრომლები თავიანთი ოჯახებით, ბიზნესმენები, ინვესტორები, ჩვეულებრივი ტურისტები.

მეზეუმი ის აღარ არის, ადრე რომ იყო, გათავისუფლდა საბჭოური კლიშესგან. ახალი ექსპონატები, რომლებიც დაწვრილებით და ღიად მოგვითხრობენ ქვეყნის წარსულზე, წარმატებებზე და მიღწევებზე, ჩრდილიც რომ ახლდა თან. ლამის მთლიანად განახლებული ექსპოზიცია, ახალი დარბაზები, ყველაფერი ეს ექსკურსანტების მიერ ქვეყნის ისტორიის ახლებურად გააზრების სამსახურშია.

ახლებურად გააზრებასო, რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ის დოკუმენტური მასალები, მუზეუმის ახალ ექსპოზიციაში რომ დაიმკვიდრა ადგილი. ავიღოთ თუნდაც სტალინის დამოკიდებულება რელიგიისადმი. ეს „ქრისტეს ფეხის მკვნეტელი“, როგორც მას პრესაში და ტელეეკრანზე უწოდებენ, როგორც კი შეეძლო ეკლესიასაც მფარველობდა და ეკლესიის მსახურთაც. აი, დოკუმენტები ექსპოზიციიდან:

1919 წლის მაისში ლენინმა 13666/2 ბრძანებით დაავალა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ფ. ძერჟინსკის: **„...აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავროთ მღვდლებისა და რელიგიის საქმე. მღვდლები დააპატიმრეთ, როგორც კონტრრევოლუციონერები და მესაბოტაჟეები. ისინი ყველგან უმოწყალოდ უნდა იყვნენ დახვრეტილი და რაც შეიძლება მეტი ეკლესია დაუქვემდებარეთ დახურვას“.**



**„ტაძრები უნდა დაილუქოს და გამოყენებულ იქნან საწყობებად“.**

სტალინი ამ დროს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ლენინის ერთი რიგით კომისარი იყო, და, ბუნებრივია, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა თავისი „შეფის“ გადაწყვეტილებაზე. მაგრამ აი, 1933 წელი. ამონაწერი 12 მარტის ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომის დადგენილებიდან. **„20-30-იან წლებში მოსკოვსა და გარეუბნებში სრულიად განადგურდა 10 ეკლესია, გადარჩენილი 300 კი გადაკეთდა ქარხნის საამქროებად, კლუბებად, საერთო საცხოვრებლებად, ციხეებად... არქიტექტურული განაშენიანების გეგმები ითვალისწინებს 500-ზე მეტი ტაძრისა და ეკლესიის აღებას.**

**...ცკ შეუძლებლად მიიჩნევს მშენებლობის პროექტირებას ტაძრებისა და ეკლესიების ხარჯზე, რომლებიც უნდა ჩაითვალოს ძველი რუსული ხუროთმოძღვრების არქიტექტურულ ძეგლებად.**

**(ხელისუფალნი) ვალდებული არიან მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა დაიცვან... არქიტექტურული ძეგლები და ამ საქმეში დისციპლინარული და პარტიული პასუხისმგებლობაც გამოიყენონ. ცკ-ის მდივანი ი. სტალინი“.**

კიდევ უფრო კატეგორიულია სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს 1939 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების ტონი:

**„ამიერიდან არამიზანშეწონილად ჩაითვალოს ეკლესიის მსახურთა და მათი მრევლის დაპატიმრების პრაქტიკა. გაუქმდეს ამხანაგ ულიანოვის (ლენინის) მიერ ხელმოწერილი 1919 წლის მაიისის №13666/2 ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა ეკლესიის მსახურთა და მორწმუნეთა დევნას, რომლის შესრულებაც დავალებული ჰქონდა ამხ. ძერჟინსკის და შესაბამის ორგანოებს“.** ცკ-ის ეს დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს ი. სტალინი, ითვალისწინებდა სხვა შეღავათებს, მათ შორის პატიმრობიდან იმ პირთა განთავისუფლებასაც კი, **„თუკი მათს მოქმედებას ზიანი არ მოუტანია საბჭოთა ხელისუფლებისთვის“.**

გორის სტალინის სახლ-მუზეუმში 47 ათასზე მეტი ექსპონატი ინახება, რომელთაც ყურადღებას, მოვლას და პატრონობას არ აკლებს მუზეუმის კოლექტივი. მინდა ერთ ექსპონატზე მოგითხროთ, რომელიც ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი და მხოლოდ წელიწადის ერთ დღეს – 21 დეკემბერს გამოაქვთ დღის სინათლეზე. ეს არის ცნობილი სტალინის დაბადების 60 წლისთავზე – 1939 წელს ინდოეთიდან გამოგზავნილი ბრინჯის მარცვალი. მასზე ინდოეთის ჯადოქრებმა – ბელადის საპატივცემულოდ – 383-ბგერიანი ოდა აღავლინეს: **„ო, უფალო, მიანიჭე საბჭოთა კავშირში უსაყვარლეს და სახელოვან ი. ბ. სტალინს – კომუნისტური პარტიის მდივანს ხანგრძლივი და ძლევამოსილი სიცოცხლე, წარმატებით და ბედნიერებით აღსავსე. დაე, იყვნენ მისი მეგობრები და თანამებრძოლები (საოცარია, მტრებზე არაფერი წერია – გ. პ.) მისი და მისი საქმის სანდო და ერთგულნი... დაე, მტრები (აი, თუ არ წერია! – გ. პ) დანებდნენ და თაყვანი სცენ მის პროგრესულ ზრახვებს. ო, უფალო, გაუმრავლე მისი გამარჯვებები!“**

კმარა! ბელადის ამდენ ქებას არ გვაპატიებენ.

მუზეუმის ექსპოზიციის გაცნობისას სტალინის მაგინებელთ, ანუ კრიტიკოსებს, შეუძლიათ გული გაინედლონ. მუზეუმის სარდაფში 30-იანი წლებია წარმოდგენილი. შინსახკომის „ტროიკები“, გულაგიდან გამოგზავნილი ბარათები, პოლიტპატიმართა ტანსაცმელი. გარდა იმისა, რომ ეს ისტორიაა, გაფრთხილებაცაა – ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ასეთი შეცდომები მომავალში არ გავიმეოროთ.

სულ ახალი ექსპონატი გნებავთ? ა, ბატონო. შარშანდელი აგვისტოს ომის დროს რუსული თვითმფრინავიდან ჩამოყრილი ბომბების ნამსხვრევები...

56 წელია ბელადი მიწაში წევს, მაგრამ თავის თანამოქალაქეებს ბიუჯეტის შევსებაში დღესაც ეხმარება. 2007 წელს მუზეუმმა ბიუჯეტში სუფთა მოგების სახით 11158 ლარი შეიტანა, 2008 წელს – 59 ათასი, წლეულს 11 თვეში კი – 8463 ლარი.

რა ქნას მეტი ჩამოსაკვარცხლზეკოდ განწირულმა ბელადმა?

130 წლის წინათ, დღევანდელ დღეს, გორში დაიბადა ი. სტალინი.

ხვალიდან დღის მატება დაიწყება.

**გურამ პავლიაშვილი**

◉ ბენდელას თასი

# არის ასეთი ტურნირი



**სად ნახავთ, თუ არა „ბენდელას თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში, ერთ გუნდში მოთამაშე უმაღლესი ლიგის კლუბის თავკაცსა და მთავარ მწვრთნელს?**

გუშინ თბილისის „დინამოსა“ და ვეტერანთა მატჩში „თეთრ-ლურჯთა“ სპორტულ ღირსებას მმართველი დირექტორი ზუბა ტყავაძე და მათი დამრიგებელი კახი კაჭარავა იცავდნენ. მათ მეტოქეებიც ღირსეული ჰყავდათ უზერებელი ლევან ცქიტიშვილის თამადობით, ამიტომაც სავსებით ლოგიკურია, უშედავათო ბრძოლა ფრედ — 2:2 რომ დასრულდა. მეგობარ-პარტნიორთა დუელს ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს სამშობლოში საშობაო არდადეგებზე ჩამოსული ლეგიონერი „ჯვაროსნები“ ლევან კობიაშვილი და დავით მუჯირი, რომლებიც, შესაძლებელია, გიორგი ნემსაძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის სარბიელზე ზაზა ბენდელიანის მემორიალის დასკვნით რაუნდში ვიხილოთ.

გუშინვე ოზურგეთელებმა სენსაციური მარცხი აგემეს რუსთავის „ოლიმპს“ — 4:3, ხოლო ბავშვთა ტურნირში ფრედ — 2:2 დასრულდა ამბიციური მასპინძლებისა და „ოლიმპის“ შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელნი 0:2 აგებდნენ დუელს, მაგრამ შესვენების შემდეგ გამოასწორეს მდგომარეობა და ძვირფასი ქულა მოიპოვეს.

დღეს პირველი ეტაპი მთავრდება, ხვალ ნახევარფინალები გაიმართება, ხოლო ორშაბათს ფინალია დანიშნული.

◉ კალათბურთი

# „მწვანეები“ ფინალში ითამაშებენ



**ქართველი კალათბურთელი გიორგი შერმადინი, მოგეხსენებათ, კარგად შეეწყო საბერძნეთის „პანათინაიკოსს“, თუმცა ჩვენებურს ყოველთვის როდი უთმობენ დიდ სათამაშო დროს.** ასე იყო „ირაკლისთან“ შეხვედრაშიც. შერმადინმა მხოლოდ 10 წუთი დაყო მოედანზე და „მწვანეებს“ 2 ქულით, ამდენივე დაფარებითა და 1 მოხსნით შეეშველა: „პანათინაიკოსმა“ საბერძნეთის თასის გათამაშების ეს პაექრობა 80:64 მოიგო და ფინალში „ოლიმპიაკოსს“ დაუპირისპირდება.

◉ ფუტზალი

# ყველა შეხვედრა წააგეს



**ბაქოში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფუტზალში. საასპარეზოდ ოთხმა გუნდმა მოიყარა თავი. სამწუხაროდ, ჩვენებურებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.** საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანელებთან 0:7 დამარცხდა, მერე თურქეთთან წააგო 2:6, მესამე ადგილისთვის პაექრობა კი მახაჩყალის „კასპიისკთან“ დათმო — 4:5 და ბოლო ადგილზე გავიდა. მთავარი პრიზი მასპინძლებმა მოიპოვეს.

◉ ფარიკაობა

# მუშკეტერებმა დაშნაც იშიშვლეს

**თბილისში დამთავრდა მოფარიკავეთა საქართველოს თასის გათამაშება. ასპარეზობის ბოლო დღეს მუშკეტერებმა დაშნა იშიშვლეს.** ქალებში ყველას ქუთაისელმა ხატია ლელაძემ აჯობა. ფინალში მან თანაქალაქელი ნათია ჩაჩხიანი დაჯაბნა. მესამე ადგილები თბილისელ მარიამ ლომიძესა და ქუთაისელ თეონა ზენიძეს ხვდათ. ვაჟთა ფინალში თბილისელმა დავით ელზაქიძემ ქუთაისელი დავით არველაძე დაამარცხა. ამ უკანასკნელის თანაგუნდელები — გიორგი ნაცვლიშვილი და ანზორ ყურაშვილი ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.



შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ხმლით მოფარიკავე ბექა ბაზაძესა და ლაშა მიქელაძეს, რომლებიც ამჟამად კიევში იმყოფებიან, საწვრთნელ შეკრებაზე. 16-17 იანვარს ისინი ირანის სარეიტინგო ტურნირში ჩაებმებიან, შემდეგ სტამბოლში, საბერძნეთსა და მოსკოვში გამოვლენ, მადრიდისა და პლოვდივის გრანპრიზე მოსინჯავენ ძალებს, რათა ლაიპციგის ევროპისა (16-22 ივლისიძ და პარიზის მსოფლიოს (4-13 ნოემბერიძ ჩემპიონატებისთვის მოემზადონ.

გაისად სინგაპური მსოფლიოს ახალგაზრდა სპოტსმენთა ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ამ ფორუმზე მოსახვედრად ხმლით მოფარიკავე თეოდორა კახიანი, სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი და რაპირისტი არჩილ უგულავა იბრძოლებენ. თამაშების ლიცენზიის მოპოვება მათ ბაქოში 1-9 აპრილს კადეტთა მსოფლიო პირველობაზე შეეძლებათ.

◉ ჭადრაკი

# ამაგდარი მწვრთნელის ხსოვნისა



**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თემურ ლომაია წლების განმავლობაში ახალგაზრდა მოჭადრაკეებს გზას უკაფავდა კვარცხლბეკისაკენ. შეგირდებსაც არაერთხელ უსახელებიათ იგი.**

ბატონი თემური დღეს ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ მისი აღზრდილები არ ივიწყებენ ამაგდარი მოძღვრის ღვაწლს. ტრადიციულად ეწყობა მწვრთნელების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. საჭადრაკო მემორიალში, რომელიც ორი დღის წინათ დაიწყო, 8, 10, 12 და 16 წლის გოგონები და ვაჟები მონაწილეობენ. ასპარეზობა შვიდ ტურად გაიმართება და საახალწლოდ ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ერთგვარი შემაჯამებელი პაექრობაც იქნება.

◉ ინტერნეტიდან

## ბრმა მოთხილამურის აღმაფრენა

**კანმოსის დათოვლილ ტრასაზე ის ისეთი სისწრაფით მიჰქროდა 50-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშისკენ, რომ მთელი 12 წამით ჩამოიტოვა ყველა მეტოქე, ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ ეს გააკეთა ბრმა მოთხილამურემ ბრაიან მაკკივერმა. სწორედ ამიტომაც, შესაძლოა, ის იყოს სპორტის ზამთრის სახეობების პირველი წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში.**

30 წლის მაკკივერმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივები. 2002 და 2006 წლებში პარაოლიმპიურ თამაშებზე მან 7 ჯილდო დაიმსახურა.

სხვათა შორის, არცთუ იშვიათია, როდესაც ფიზიკურნაკლიანი სპორტსმენები მონაწილეობენ ასეთ დიდ შეჯიბრებებში.



ალბათ გახსოვთ, რა ამბავი შეიქმნა პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე მორბენალ-ამპუტანტის ოსკარ პისტორიუსისთვის ნებართვის მიცემაზე, მას უარი უთხრეს, თუმცა იქამდე ის მრავალჯერ მონაწილეობდა სრულფასოვანი მორბენლების შეჯიბრებებში. მათ შორის „ოქროს ლიგის“ ეტაპში — რომში და გრან-პრიზე შეფილდში. იტალიის დედაქალაქში ფინიშთან ის მეორე იყო, ინგლისში კი ფინიშთან დისკვალიფიკაცია მიუსაჯს, რადგან სხვის ბილიკზე ფეხი გადაუცდა.

## ისევ დელ ბოსკეს წინამძღოლობით



**დიახ, ჯერჯერობით 2012 წლამდე ფეხბურთში ესპანეთის ნაკრებს მთავარი მწვრთნელის პოსტზე კვლავ გაუძღვება ვისენტე დელ ბოსკე. მან ორწლიანი კონტრაქტი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან გააფორმა.**

სწორედ დელ ბოსკემ გაიყვანა მოქმედი ევროპის ჩემპიონები მსოფლიოს მუნდიალის ფინალურ ეტაპზე 2010 წლისთვის ასპროცენტიანი მაჩვენებლებით, საერთოდ კი მისი დამრიგებლობით ნაკრებმა 22 მატჩიდან 21 გამარჯვება მოიპოვა.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა აღნიშნა, მათი ორგანიზაციისთვის ტრადიციაა, ორი წლით გაუგრძელოს კონტრაქტი იმ სპეციალისტებს, ნაკრებისთვის შესარჩევ ტურნირებში გამარჯვებებს რომ უზრუნველყოფდნენ.

## მორაგბეები — ეროტიკულ კალენდარში

**რაგბიში რუსეთის ქალთა ეროვნული ნაკრების 12 მონაწილემ მონაწილეობა მიიღო ეროტიკულ ფოტოსესიაში ჟურნალის „Pro Perbu“ კალენდრისთვის. ამით სპორტსმენმა ქალებმა სასწაულებრივ გაახარეს რაგბის გულშემატკივრებიც და სილამაზის თაყვანისმცემლებიც. ლამაზმანი მორაგბეების გადაღებისას ფონად გამოიყენეს და ამით ერთხელ კიდევ აღნიშნეს ელიტური მანანების სილამაზეც.**



ასეთ გაბედულ ფოტოსესიაში მონაწილეობით ქალიშვილებმა ნათლად დაამტკიცეს, რომ რაგბისადმი — სპორტის ამ მკაცრ და ძალოვანი სახეობისადმი გულგრილნი როდი არიან მიმზიდველი და სექსუალური ქალიშვილებიც.

ეროტიკული კალენდრის შეძენა 1300 რუბლად შეიძლება, რასაკვირველია, რუსეთში.

# შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის“ დებულება

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები**

1. შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი“ – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2. არბიტრაჟი – საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი.

3. არბიტრაჟის თავმჯდომარე – საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის თავმჯდომარე, რომელიც არბიტრაჟში შემოსულ საქმეებს ანაწილებს განსახილველად. იმავდროულად იგი უფლებამოსილია თვითონ მიიღოს მონაწილეობა საარბიტრაჟო საქმის განხილვაში.

4. არბიტრი – შპს „საქართველოს მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟთან“ შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს არბიტრაჟში განსახილველად შემოსული საქმე.

5. საარბიტრაჟო კოლეგია – საქმის განმხილველი შემადგენლობა ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობა, რომლებიც უფლებამოსილი არიან „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად განიხილონ მხარეთა შორის წამოჭრილი კერძო ხასიათის ქონებრივი დავა.

6. კანონმდებლობა – საქართველოს კანონმდებლობა და/ან ნებისმიერი ქვეყნის მატერიალური სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს დავის გადასაწყვეტად.

7. დებულება – შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის“ დებულება.

8. დავა – პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც მხარეთა შეთანხმებით დაექვემდებარა არბიტრაჟს.

9. მხარეები – საარბიტრაჟო მოსარჩელე, საარბიტრაჟო მოპასუხე და მესამე პირი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით.

10. საარბიტრაჟო მოსარჩელე – პირი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნის უფლება.

11. საარბიტრაჟო მოპასუხე – პირი, რომელმაც პასუხის უნდა აგოს საარბიტრაჟო სარჩელზე.

12. მესამე პირი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით – პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე და რომელიც სარგებლობს საარბიტრაჟო მოსარჩელის ყველა უფლებით და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

13. მესამე პირი – არბიტრაჟის ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით საქმეში ჩართული დაინტერესებული პირი, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე და რომლის უფლებამოვალეობებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ.

14. მტკიცებულება – ნებისმიერი საბუთი, ნივთმტკიცება ან მოწმის ჩვენება, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

15. საარბიტრაჟო განხილვა – არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესები.

16. საარბიტრაჟო შეთანხმება (საარბიტრაჟო დათქმა) – „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ფორმითა და წესით მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ.

**მუხლი 2. საქმის წარმოების პრინციპები**

1. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.

2. არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა თანასწორობის გათვალისწინებით, რომლებიც საარბიტრაჟო წარმოებისას სარგებლობენ თანაბარი უფლებებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა.

3. არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ამ დებულებით განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურებით. დებულებით გაუთვალისწინებელი საკითხის გადაწყვეტისას არბიტრაჟი ხელმძღვანელობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით. დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით არბიტრაჟი უფლებამოსილია განახორციელოს ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი პროცესუალური მოქმედება.

4. მხარეები საქმის წარმოებას იწყებენ ამ დებულებაში და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად არბიტრაჟში საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის გზით. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმე დაამთავრონ მორიგებით, საარბიტრაჟო მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, საარბიტრაჟო მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი.

5. მხარეთა წერილობითი შეთანხმება, რომელიც ადგენს ამ დებულებით დადგენილი დავის განხილვისა და გადაწყვეტისაგან განსხვავებულ წესს, არბიტრაჟისათვის სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

**მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა**

1. არბიტრაჟი შედგება ერთი ან სამი არბიტრისაგან, რომელთა რაოდენობასაც განსახილველი დავის სირთულიდან გამომდინარე განსაზღვრავს არბიტრაჟის თავმჯდომარე.

2. თუ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმებით (საარბიტრაჟო დათქმით) არ არის განსაზღვრული არბიტრთა რაოდენობა, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი წევრის შემადგენლობით, რომლებსაც ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**მუხლი 4. არბიტრის აცილება და საფუძვლები**

1. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.

2. არბიტრი ვალდებულია საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებსა და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

3. თუ არ არსებობს მხარეთა შეთანხმება არბიტრის აცილების პროცედურაზე, ამ შემთხვევაში მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ დებულებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხით განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

4. ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ დებულებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

5. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

6. აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯები**

1. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

2. არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს შეადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

4. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია:

ა) სპეციალისტების, ექსპერტებისა და თარჯიმნისათვის გაწეული ხარჯები;

ბ) ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები.

5. საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასთან ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით თვითონ გაწიოს რაიმე ხარჯი.

6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო სარჩელზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო სარჩელზე;

გ) დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის მქონე მესამე პირის საარბიტრაჟო სარჩელზე;

დ) განცხადებაზე გადაწყვეტილების განმარტების შესახებ;

ე) განცხადებაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

ვ) განცხადებაზე, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა**

1. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან და შეადგენს:

ა) 10 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 10 001-დან 100 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს მიმატებული 10 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 4% დღგ-ს გარეშე;

გ) 100 001-დან 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 4 100 ლარს მიმატებული 100 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 3% დღგ-ს გარეშე;

დ) 500 001-დან 1 000 000 ლარამდე დავის საგანზე – 16 100 ლარს მიმატებული 500 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 2% დღგ-ს გარეშე;

ე) 1 000 001 ლარის ზემოთ დავის საგანზე – 26 100 ლარს მიმატებული დავის საგნის 1% დღგ-ს გარეშე.

2. ამ დებულების მე-5 მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებულ განცხადებებზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს:

ა) 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 300 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 500 001 ლარის ზემოთ დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე.

3. ამ დებულების მე-5 მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე, რომელიც შეტანილია მხარის მიერ, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს განსამარტავ საქმეზე გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 10%-ს. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების განმარტებას ითხოვს აღმასრულებელი, ამ მუხლით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო მოსაკრებელს იხდის განსამარტავი გადაწყვეტილებით დადგენილი კრედიტორი და განმარტების შესახებ აღმასრულებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კრედიტორის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი მის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრება მოვალეს.

4. საარბიტრაჟო მოსაკრებლის მაქსიმალური ოდენობაა 35 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

**მუხლი 7. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი**

1. დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

ა) ფულის გადახდევინების შესახებ საარბიტრაჟო სარჩელზე – გადასახდელი თანხით;

ბ) ნივთის (ქონების) საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის შესახებ საარბიტრაჟო სარჩელზე – ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულებით.

2. საარბიტრაჟო მოსარჩელე ვალდებულია სარჩელში თვითონ განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება. თუ მის მიერ მითითებული ღირებულება აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს არბიტრაჟი.

3. თუ ერთ სარჩელში სხვადასხვა ვალდებულებიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე რამდენიმე მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს დავის საგნის ღირებულება.

4. დავის საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა საარბიტრაჟო სარჩელი.

5. თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს არბიტრაჟი, შემდეგ კი ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება ან დამატებით გადახდევინება.

**მუხლი 8. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების გადახდა და გადავადება**

1. საარბიტრაჟო ხარჯები (საარბიტრაჟო მოსაკრებელი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები) წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი მოქმედების შესრულება მოითხოვა არბიტრაჟისაგან. თუ ასეთი მოქმედების შესრულება არბიტრაჟის ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

2. არბიტრაჟს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების გადახდა, თუ მხარე არბიტრაჟს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

**მუხლი 9. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

თუ მხარეთა შორის არ არის სხვაგვარი შეთანხმება, იმ მხარის მიერ გაწეული საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, დაეკისრება მეორე მხარეს. თუ საარბიტრაჟო სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ ნაწილის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი.

**მუხლი 10. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობის შემცირება**

1. მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის ცნობის, საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვების ან მხარეთა მორიგების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება საქმის განხილვისათვის გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 25%.

2. თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 11. საარბიტრაჟო წარმოების ვადების გამოთვლა**

1. ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

2. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

**მუხლი 12. არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება**

მხარის მიმართვის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების საკითხის გადაწყვეტისას, არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ‚არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17-21 მუხლებით.

**მუხლი 13. საარბიტრაჟო სხდომა და საქმის განსახილველად მომზადება**

1. არბიტრაჟში საქმეები განიხილება ზეპირი მოსმენით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მხარეები წინააღმდეგი არიან საქმის ზეპირ მოსმენაზე.

2. თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სხდომა არის დახურული. წარმოდგენილი საბუთები, მტკიცებულებები, წერილობითი თუ ზეპირი განცხადებები არ შეიძლება გამოქვეყნდეს საჯაროდ და არ შეიძლება გადაცემული და გამოყენებული იყოს სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. ყველა განცხადება, საბუთი თუ სხვა ინფორმაცია, რომელსაც ერთ-ერთი მხარე წარუდგენს არბიტრაჟს, არაუგვიანეს მეორე დღისა უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარეს.

**მუხლი 14. შეტყობინება და დაბარება**

1. მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, წინასწარ, გონივრულ ვადაში უნდა ჩაბარდეთ წერილობითი შეტყობინება არბიტრაჟის ყოველი სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ ის ადრესატს ჩაბარდა პირადად ან თავის იურიდიულ (საცხოვრებელ) მისამართზე მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას. თუ შეუძლებელია ასეთი ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით, რომელიც ადასტურებს შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობას. თუ ადრესატმა უარი განაცხადა წერილობითი შეტყობინების მიღებაზე, ამის შესახებ შეტყობინების მიმტანი აკეთებს სათანადო აღნიშვნას და უბრუნებს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში წერილობითი შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

2. წერილობითი შეტყობინება არბიტრაჟის სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ შეიძლება ჩაბარდეს ასევე მხარის წარმომადგენელს. ასეთ შემთხვევაში წარმომადგენელი ვალდებულია შეტყობინების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

3. თუ საქმის წარმოება არბიტრაჟში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, წერილობითი შეტყობინება არბიტრაჟის სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ შეიძლება ჩაბარდეს მას. იგი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. წერილობითი შეტყობინების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს შეტყობინების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

4. თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

**მუხლი 15. საჯარო შეტყობინება**

1. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**მუხლი 16. მხარეთა უფლებები**

1. მხარეები საარბიტრაჟო პროცესში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ ამ დებულებით და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც არბიტრაჟმა უნდა აცნობოს მოპასუხეს.

3. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას საარბიტრაჟო სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის.

4. საარბიტრაჟო სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

**მუხლი 17. თანამონაწილეობა არბიტრაჟში**

1. საარბიტრაჟო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვნება თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

2. თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

**მუხლი 18. თანამონაწილეთა უფლებები**

1. თანამონაწილეები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული აქვთ მხარეებს.

2. თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მიანდონ ერთ-ერთ თანამონაწილეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

3. საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის ფორმდება მინდობილობის მიცემის წესით.

**მუხლი 19. მესამე პირები დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით**

1. თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირის საარბიტრაჟო სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს ჩვეულებრივი სარჩელის მიღებისა და განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად.

2. მესამე პირები დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებას მისი ყველა მოვალეობა.

**მუხლი 20. მესამე პირები დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის გარეშე**

1. დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს განცხადებით, რათა დაუშვას იგი მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

2. თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ან საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არბიტრაჟი დაადგენს, რომ მისი გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს სხვა პირის უფლება-მოვალეობებს, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს, არბიტრაჟი ვალდებულია ასეთი პირი საქმეში ჩართოს მესამე პირად დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის გარეშე.

**მუხლი 21. არბიტრაჟის კომპეტენცია**

1. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, იგი არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე და არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

2. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ ასეთი განცხადება არბიტრაჟს უნდა წარედგინოს შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში, ან ამ ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

3. თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან 30 დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში, რომელსაც არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

**მუხლი 22. საარბიტრაჟო განხილვა**

1. არბიტრაჟში საქმეები განიხილება ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

2. საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება შედგეს არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ ადგილას.

3. საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს.

**მუხლი 23. საარბიტრაჟო წარმოების დაწყების საფუძველი**

1. საარბიტრაჟო წარმოების დაწყების საფუძველია საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ არბიტრაჟში სარჩელის შეტანა წერილობითი ფორმით.

2. მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს მხარეთა დასახელება და მისამართები, მოთხოვნა, გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნულ მოთხოვნას. საარბიტრაჟო სარჩელს უნდა დაერთოს დანართში მითითებული საბუთების ასლები. საჭიროების შემთხვევაში, არბიტრაჟს შეუძლია დაავალოს მოსარჩელს საბუთების დედნების წარმოდგენა, რომლებიც საქმის განხილვის დამთავრების შემდგომ დაუბრუნდება უკან.

3. სარჩელი და მასზე თანდართული საბუთები არბიტრაჟს უნდა წარედგინოს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მოპასუხე და მესამე პირიც არის საქმეში.

4. სარჩელი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება მოპასუხეს, რომელსაც უფლება აქვს არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაში წარადგინოს შესაგებელი სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. შესაგებლის წარდგენისათვის დანიშნული ვადა არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა არ ჩაითვლება საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.

**მუხლი 24. შეპასუხების გამოუყენებლობა**

თუ საარბიტრაჟო განხილვის პროცესში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ დებულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ, ხოლო თუ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლების გამოყენებაზე.

**მუხლი 25. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

1. არბიტრაჟის გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს მისი გამოტანის თარიღი და ადგილი.

3. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.

4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს.

5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

**მუხლი 26. გარდამავალი დებულებები**

ამ დებულების ამოქმედებამდე არბიტრაჟში დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საარბიტრაჟო დავები განიხილება შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის“ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად (გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 5 თებერვლის 21-ე ნომერში).

**მუხლი 27. დასკვნითი დებულებები**

1. ეს დებულება უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში.

2. ამ დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი შპს „საქართველოს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის“ დებულება (გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2009 წლის 5 თებერვლის 21-ე ნომერში).

3. ეს დებულება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

# შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები**

1. შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატა“ – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2. არბიტრაჟი – საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი.

3. არბიტრაჟის თავმჯდომარე – საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, რომელიც არბიტრაჟში შემოსულ საქმეებს ანაწილებს განსახილველად. იმავდროულად იგი უფლებამოსილია თვითონ მიიღოს მონაწილეობა საარბიტრაჟო საქმის განხილვაში.

4. არბიტრი – შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატასთან“ შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს არბიტრაჟში განსახილველად შემოსული საქმე.

5. საარბიტრაჟო კოლეგია – საქმის განმხილველი შემადგენლობა ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობა, რომლებიც უფლებამოსილი არიან „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად განიხილონ მხარეთა შორის წამოჭრილი კერძო ხასიათის ქონებრივი დავა.

6. კანონმდებლობა – საქართველოს კანონმდებლობა და/ან ნებისმიერი ქვეყნის მატერიალური სამართალი, რომელიც მხარეებმა აირჩიეს დავის გადასაწყვეტად.

7. დებულება – შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

8. დავა – პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც მხარეთა შეთანხმებით დაექვემდებარა არბიტრაჟს.

9. მხარეები – საარბიტრაჟო მოსარჩელე, საარბიტრაჟო მოპასუხე და მესამე პირი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით.

10. საარბიტრაჟო მოსარჩელე – პირი, რომელსაც გააჩნია მოთხოვნის უფლება.

11. საარბიტრაჟო მოპასუხე – პირი, რომელმაც პასუხის უნდა აგოს საარბიტრაჟო სარჩელზე.

12. მესამე პირი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით – პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე და რომელიც სარგებლობს საარბიტრაჟო მოსარჩელის ყველა უფლებით და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

13. მესამე პირი – არბიტრაჟის ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით საქმეში ჩართული დაინტერესებული პირი, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე და რომლის უფლებამოვალეობებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ.

14. მტკიცებულება – ნებისმიერი საბუთი, ნივთმტკიცება ან მოწმის ჩვენება, რომლებზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს.

15. საარბიტრაჟო განხილვა – არბიტრაჟის მიერ დავის განხილვის ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესები.

16. საარბიტრაჟო შეთანხმება (საარბიტრაჟო დათქმა) – „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ფორმითა და წესით მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ.

**მუხლი 2. საქმის წარმოების პრინციპები**

1. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.

2. არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა თანასწორობის გათვალისწინებით, რომლებიც საარბიტრაჟო წარმოებისას სარგებლობენ თანაბარი უფლებებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გამოხატვის სრული შესაძლებლობა.

3. არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ამ დებულებით განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურებით. დებულებით გაუთვალისწინებელი საკითხის გადაწყვეტისას არბიტრაჟი ხელმძღვანელობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით. დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით არბიტრაჟი უფლებამოსილია განახორციელოს ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი პროცესუალური მოქმედება.

4. მხარეები საქმის წარმოებას იწყებენ ამ დებულებაში და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად არბიტრაჟში საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის გზით. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, გადაწყვეტილების გამოტანამდე, საქმე დაამთავრონ მორიგებით, საარბიტრაჟო მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, საარბიტრაჟო მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი.

5. მხარეთა წერილობითი შეთანხმება, რომელიც ადგენს ამ დებულებით დადგენილი დავის განხილვისა და გადაწყვეტისაგან განსხვავებულ წესს, არბიტრაჟისათვის სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

**მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა**

1. არბიტრაჟი შედგება ერთი ან სამი არბიტრისაგან, რომელთა რაოდენობასაც განსახილველი დავის სირთულიდან გამომდინარე განსაზღვრავს არბიტრაჟის თავმჯდომარე.

2. თუ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმებით (საარბიტრაჟო დათქმით) არ არის განსაზღვრული არბიტრთა რაოდენობა, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი წევრის შემადგენლობით, რომლებსაც ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**მუხლი 4. არბიტრის აცილება და საფუძვლები**

1. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.

2. არბიტრი ვალდებულია საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებსა და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

3. თუ არ არსებობს მხარეთა შეთანხმება არბიტრის აცილების პროცედურაზე, ამ შემთხვევაში მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ დებულებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხით განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

4. ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ დებულებით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რაც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

5. აცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

6. აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯები**

1. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

2. არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. არბიტრაჟის გარეშე ხარჯებს შეადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

4. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია:

ა) სპეციალისტების, ექსპერტებისა და თარჯიმნისათვის გაწეული ხარჯები;

ბ) ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები;

დ) ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები.

5. საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასთან ან გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით თვითონ გაწიოს რაიმე ხარჯი.

6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო სარჩელზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო სარჩელზე;

გ) დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის მქონე მესამე პირის საარბიტრაჟო სარჩელზე;

დ) განცხადებაზე გადაწყვეტილების განმარტების შესახებ;

ე) განცხადებაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

ვ) განცხადებაზე, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა**

1. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა გამოითვლება დავის საგნის ღირებულებიდან და შეადგენს:

ა) 10 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 10 001-დან 100 000 ლარამდე დავის საგანზე – 500 ლარს მიმატებული 10 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 4% დღგ-ს გარეშე;

გ) 100 001-დან 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 4 100 ლარს მიმატებული 100 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 3% დღგ-ს გარეშე;

დ) 500 001-დან 1 000 000 ლარამდე დავის საგანზე – 16 100 ლარს მიმატებული 500 001 ლარს ზემოთ დავის საგნის 2% დღგ-ს გარეშე;

ე) 1 000 001 ლარის ზემოთ დავის საგანზე – 26 100 ლარს მიმატებული დავის საგნის 1% დღგ-ს გარეშე.

2. ამ დებულების მე-5 მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებულ განცხადებებზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს:

ა) 500 000 ლარამდე დავის საგანზე – 300 ლარს დღგ-ს გარეშე;

ბ) 500 001 ლარის ზემოთ დავის საგანზე – 500 ლარს დღგ-ს გარეშე.

3. ამ დებულების მე-5 მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე, რომელიც შეტანილია მხარის მიერ, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს განსამარტავ საქმეზე გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 10%-ს. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების განმარტებას ითხოვს აღმასრულებელი, ამ მუხლით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო მოსაკრებელს იხდის განსამარტავი გადაწყვეტილებით დადგენილი კრედიტორი და განმარტების შესახებ აღმასრულებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კრედიტორის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი მის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრება მოვალეს.

4. საარბიტრაჟო მოსაკრებლის მაქსიმალური ოდენობაა 35 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

**მუხლი 7. დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესი**

1. დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

ა) ფულის გადახდევინების შესახებ საარბიტრაჟო სარჩელზე – გადასახდელი თანხით;

ბ) ნივთის (ქონების) საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის შესახებ საარბიტრაჟო სარჩელზე – ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულებით.

2. საარბიტრაჟო მოსარჩელე ვალდებულია სარჩელში თვითონ განსაზღვროს დავის საგნის ღირებულება. თუ მის მიერ მითითებული ღირებულება აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს არბიტრაჟი.

3. თუ ერთ სარჩელში სხვადასხვა ვალდებულებიდან (ხელშეკრულებიდან) გამომდინარე რამდენიმე მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს დავის საგნის ღირებულება.

4. დავის საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა საარბიტრაჟო სარჩელი.

5. თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს არბიტრაჟი, შემდეგ კი ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება ან დამატებით გადახდევინება.

**მუხლი 8. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების გადახდა და გადავადება**

1. საარბიტრაჟო ხარჯები (საარბიტრაჟო მოსაკრებელი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები) წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი მოქმედების შესრულება მოითხოვა არბიტრაჟისაგან. თუ ასეთი მოქმედების შესრულება არბიტრაჟის ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

2. არბიტრაჟს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების გადახდა, თუ მხარე არბიტრაჟს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

**მუხლი 9. საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

თუ მხარეთა შორის არ არის სხვაგვარი შეთანხმება, იმ მხარის მიერ გაწეული საარბიტრაჟო წარმოების ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, დაეკისრება მეორე მხარეს. თუ საარბიტრაჟო სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ ნაწილის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი.

**მუხლი 10. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობის შემცირება**

1. მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის ცნობის, საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვების ან მხარეთა მორიგების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება საქმის განხილვისათვის გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 25%.

2. თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 11. საარბიტრაჟო წარმოების ვადების გამოთვლა**

1. ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

2. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

**მუხლი 12. არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება**

მხარის მიმართვის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების საკითხის გადაწყვეტისას, არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17-21 მუხლებით.

**მუხლი 13. საარბიტრაჟო სხდომა და საქმის განსახილველად მომზადება**

1. არბიტრაჟში საქმეები განიხილება ზეპირი მოსმენით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მხარეები წინააღმდეგი არიან საქმის ზეპირ მოსმენაზე.

2. თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სხდომა არის დახურული. წარმოდგენილი საბუთები, მტკიცებულებები, წერილობითი თუ ზეპირი განცხადებები არ შეიძლება გამოქვეყნდეს საჯაროდ და არ შეიძლება გადაცემული და გამოყენებული იყოს სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. ყველა განცხადება, საბუთი თუ სხვა ინფორმაცია, რომელსაც ერთ-ერთი მხარე წარუდგენს არბიტრაჟს, არაუგვიანეს მეორე დღისა უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარეს.

**მუხლი 14. შეტყობინება და დაბარება**

1. მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, წინასწარ, გონივრულ ვადაში უნდა ჩაბარდეთ წერილობითი შეტყობინება არბიტრაჟის ყოველი სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ ის ადრესატს ჩაბარდა პირადად ან თავის იურიდიულ (საცხოვრებელ) მისამართზე მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას. თუ შეუძლებელია ასეთი ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით, რომელიც ადასტურებს შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობას. თუ ადრესატმა უარი განაცხადა წერილობითი შეტყობინების მიღებაზე, ამის შესახებ შეტყობინების მიმტანი აკეთებს სათანადო აღნიშვნას და უბრუნებს არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში წერილობითი შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე.

2. წერილობითი შეტყობინება არბიტრაჟის სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ შეიძლება ჩაბარდეს ასევე მხარის წარმომადგენელს. ასეთ შემთხვევაში წარმომადგენელი ვალდებულია შეტყობინების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

3. თუ საქმის წარმოება არბიტრაჟში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, წერილობითი შეტყობინება არბიტრაჟის სხდომისა და მოსმენის ჩატარების შესახებ შეიძლება ჩაბარდეს მას. იგი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. წერილობითი შეტყობინების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს შეტყობინების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

4. თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

**მუხლი 15. საჯარო შეტყობინება**

1. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**მუხლი 16. მხარეთა უფლებები**

1. მხარეები საარბიტრაჟო პროცესში სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ ამ დებულებით და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც არბიტრაჟმა უნდა აცნობოს მოპასუხეს.

3. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას საარბიტრაჟო სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის.

4. საარბიტრაჟო სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

**მუხლი 17. თანამონაწილეობა არბიტრაჟში**

1. საარბიტრაჟო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

2. თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

**მუხლი 18. თანამონაწილეთა უფლებები**

1. თანამონაწილეები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული აქვთ მხარეებს.

2. თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მიანდონ ერთ-ერთ თანამონაწილეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

3. საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის ფორმდება მინდობილობის მიცემის წესით.

**მუხლი 19. მესამე პირები დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით**

1. თითოეულ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. მესამე პირის საარბიტრაჟო სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს ჩვეულებრივი სარჩელის მიღებისა და განხილვისათვის დადგენილი წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ხდება ერთდროულად.

2. მესამე პირები დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებას მისი ყველა მოვალეობა.

**მუხლი 20. მესამე პირები დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის გარეშე**

1. დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს არბიტრაჟს განცხადებით, რათა დაუშვას იგი მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

2. თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ან საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე არბიტრაჟი დაადგენს, რომ მისი გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს სხვა პირის უფლება-მოვალეობებს, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს, არბიტრაჟი ვალდებულია ასეთი პირი საქმეში ჩართოს მესამე პირად დამოუკიდებელი საარბიტრაჟო მოთხოვნის გარეშე.

**მუხლი 21. არბიტრაჟის კომპეტენცია**

1. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისა თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, იგი არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე და არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

2. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ ასეთი განცხადება არბიტრაჟს უნდა წარედგინოს შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში, ან ამ ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

3. თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან 30 დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში, რომელსაც არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

**მუხლი 22. საარბიტრაჟო განხილვა**

1. არბიტრაჟში საქმეები განიხილება ამ დებულებითა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

2. საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება შედგეს არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ ადგილას.

3. საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს.

**მუხლი 23. საარბიტრაჟო წარმოების დაწყების საფუძველი**

1. საარბიტრაჟო წარმოების დაწყების საფუძველია საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ არბიტრაჟში სარჩელის შეტანა წერილობითი ფორმით.

2. მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს მხარეთა დასახელება და მისამართები, მოთხოვნა, გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნულ მოთხოვნას. საარბიტრაჟო სარჩელს უნდა დაერთოს დანართში მითითებული საბუთების ასლები. საჭიროების შემთხვევაში, არბიტრაჟს შეუძლია დაავალოს მოსარჩელს საბუთების დედნების წარმოდგენა, რომლებიც საქმის განხილვის დამთავრების შემდგომ დაუბრუნდება უკან.

3. სარჩელი და მასზე თანდართული საბუთები არბიტრაჟს უნდა წარედგინოს იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მოპასუხე და მესამე პირიც არის საქმეში.

4. სარჩელი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება მოპასუხეს, რომელსაც უფლება აქვს არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაში წარადგინოს შესაგებელი სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. შესაგებლის წარდგენისათვის დანიშნული ვადა არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა არ ჩაითვლება საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.

**მუხლი 24. შეპასუხების გამოუყენებლობა**

თუ საარბიტრაჟო განხილვის პროცესში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ დებულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ, ხოლო თუ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლების გამოყენებაზე.

**მუხლი 25. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

1. არბიტრაჟის გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს მისი გამოტანის თარიღი და ადგილი.

3. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.

4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს.

5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

**მუხლი 26. გარდამავალი დებულებები**

ამ დებულების ამოქმედებამდე არბიტრაჟში დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საარბიტრაჟო დავები განიხილება შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად (გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2006 წლის 6 იანვრის მე-3 ნომერში).

**მუხლი 27. დასკვნითი დებულებები**

1. ეს დებულება უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში.

2. ამ დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატის“ დებულება (გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2006 წლის 6 იანვრის მე-3 ნომერში).

3. ეს დებულება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

## სს „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს აუქციონს საზოგადოების ბალანსზე რიცხული 863 ერთეული ძირითადი საშუალების (აქტიური ნაწილი) რეალიზების შესახებ.

| ლოტის № | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | რაოდენობა | | | | |
| №2-დან №11-ის ჩათვლით | [illegible] | 10 | 157,20 | [illegible] | [illegible] 20% | [illegible] |
| №12-დან №111-ის ჩათვლით | [illegible] | 100 | 1 934,83 | | | |
| №112-დან №179-ის ჩათვლით | [illegible] | 68 | 2 068,55 | | | |
| №180-დან №246-ის ჩათვლით | [illegible] | 67 | 1 918,27 | | | |
| №247-დან №417-ის ჩათვლით | [illegible] | 171 | 1 711,78 | | | |
| №418-დან №449-ის ჩათვლით | [illegible] | 32 | 1 808,65 | | | |
| №450-დან №645-ის ჩათვლით | [illegible] | 196 | 22 861,55 | | | |
| №646-დან №774-ის ჩათვლით | [illegible] | 129 | 173 680,65 | | | |
| №775-დან №818-ის ჩათვლით | [illegible] | 44 | 337,56 | | | |
| №819-დან №862-ის ჩათვლით | [illegible] | 44 | 11 217,23 | | | |
| №863 | [illegible] | 1 | 2 122,87 | | | |
| №864 | [illegible] | 1 | 833,80 | | | |
| | [illegible] | 863 | 220 092,80 | | | |

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლით საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს. თუ მყიდველი დათქმულ ვადაში არ გადაიხდის სრულად ქონების გამოსასყიდ ღირებულებას, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ სს „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკაში“;

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონაგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი** – ძირითად საშუალებებზე საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2009 წლის 28 დეკემბრიდან 2010 წლის 10 იანვრის ჩათვლით (უქმე და დასვენების დღეების გარდა) 12 საათიდან 16 საათამდე შემდეგ. აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 10 იანვარს 16:30 საათზე.

**მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №33**

**საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ვაკე-საბურთალოს ფილიალი, ბანკის კოდი: 220101670,მიმღების დასახელება:სააქციო საზოგადოება „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკა“, ანგარიშის №42403608.**
**საკონტაქტო ტელ: 223317, 223318 899268426**

## არბიტრაჟის უწყება
### საქმე №143-2009

**შპს „ბოსფორი III“, თბილისი, თარხნიშვილის ქ. №3,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2009 წლის 31 დეკემბერი, 15.00 საათზე,** მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო შპს „ბოსფორი III“ მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

## არბიტრაჟის უწყება
### საქმე №142-2009

**შპს „აგთ ბოსფორს“ თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, ჩიტაიას ქ. №20,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2009 წლის 31 დეკემბერი, 15.00 საათზე,** მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო **შპს „აგთ ბოსფორის“** მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

## არბიტრაჟის უწყება
### საქმე №141-2009

**თამარ კოზიაშვილს, თბილისი, გალის №7,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2010 წლის 11 იანვარს, 15.00 საათზე,** მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო **ხათუნა ალფაიძის და სხვათა** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

## არბიტრაჟის უწყება
### საქმე №140-2009

**ნუგზარ ფესტვენიძეს, ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის I შეს. №3,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2010 წლის 4 იანვარს 15.00 საათზე,** მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის **გამო ზვიად სამხარაძის და ნუგზარ ფესტვენიძის** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

## თარიღი



# გეოგრაფიული მეცნიერების დაუღალავი მსახური

### პროფესორი დავით უკლება — 90

**გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს დავით უკლებას 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი დაიბადა1919 წლის 27 დეკემბერს სოფელ სიმონეთში (თერჯოლის რაიონიძ. დავით უკლება იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე უანგაროდ და ერთგულად მიუძღვნეს ქართული გეოგრაფიული მეცნიერების სამსახურს. მისმა ნიჭმა, ერუდიციამ, საქმისადმი სიყვარულმა სწრაფად მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ადამიანებთან ურთიერთობაში თითქოს რბილი და დამთმობი, მაგრამ პრინციპულ საკითხებში მტკიცე და გაუტეხელი იყო. მის პიროვნებას ჭეშმარიტად უხდებოდა სიტყვა „დარბაისელი", გამოირჩეოდა შესაშური გარეგნობითა და მოხიბლაობით.**

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს დაუღალავად შრომობდა ქართული გეოგრაფიული მეცნიერების საკეთილდღეოდ. ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებას. შემდგომ კი ჩამოაყალიბა ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორია, - რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა. სწორედ მან შექმნა მყარი საფუძველი საქართველოში ლანდშაფტმცოდნეობის დარგის განვითარებისათვის.

დავით უკლება მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად მუდამ ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას, წლების მანძილზე იგი კითხულობდა ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ბევრი მისი მოწაფე, ახლა უკვე პროფესორი და მეცნიერების დოქტორი, წარმატებით მუშაობს სამეცნიერო კვლევითს და სასწავლო ინსტიტუტებში. მან პირველმა შემოიღო ლექციების კურსის კითხვა „ფიზიკური გეოგრაფიის ძირითად პრობლემებზე".

ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით უკლებას, როგორც რედაქტორის ღვაწლი. იგი იყო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, საინსტიტუტო შრომების, კრებულების, რამდენიმე ჟურნალის, მათ შორის განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდიკური ჟურნალის „გეოგრაფიის" შეუცვლელი რედაქტორი.

დიდად ნაყოფიერი იყო მეცნიერის მოღვაწეობა ქართული ენციკლოპედიის შედგენაში. 20 წლის განმავლობაში მუშაობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში უფროს სამეცნიერო რედაქტორად. დაწერა და გამოაქვეყნა მრავალი სტატია, რედაქცია გაუკეთა გეოგრაფიულ სტატიებს.

მრავალმხრივი იყო მისი მეცნიერული კვლევის ინტერესები, მაგრამ ძირითადი იყო მთიანი მხარეების, კერძოდ, კავკასიის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების კვლევა. ამ პრობლემას მიუძღვნა მან 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 130-ზე მეტი დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე. მათ შორის 7 მონოგრაფიაა.

მის უმნიშვნელოვანეს ნაშრომთაგან აღსანიშნავია მონოგრაფიული გამოკვლევა — აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება". ასევე მნიშვნელოვანია „საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები". აქ თავმოყრილია და მეცნიერულადაა გაანალიზებული ის უხვი ინფორმაცია, რომელიც ავტორმა შეაგროვა საქართველოს მთიან რეგიონებში.

დავით უკლებას მეთოდიკით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით პირველად შეიქმნა საქართველოს ფერადი ლანდშაფტური რუკა (დოც. მ. სანებლიძისა და პროფ. ქრ. ჯაყელის თანაავტორობითძ ქართულ და რუსულ ენებზე. ეს რუკა საქართველოს ლანდშაფტების ღრმა მეცნიერული გამოკვლევაა და თავის დროზე ფიზიკური გეოგრაფიის შედარებით ახალი დარგის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენდა.

დ. უკლებას ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით, მის მიერ დამუშავებული ლანდშაფტური კვლევის მეთოდების საფუძველზე, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წამყვან გეოგრაფთა ერთობლივი მუშაობის შედეგად შედგენილ იქნა ამიერკავკასიის პირველი საშუალომასშტაბიანი ლანდშაფტური რუკა, რომელიც მოსკოვში გამოიცა. ის იყო პირველი ფერადი ლანდშაფტური რუკა ყოფილ საბჭოთა კავშირში და დიდი სამეცნიერო გეოგრაფიული ცენტრების გამოჩენილ გეოგრაფ-ლანდშაფტმცოდნეთა მიერ მაღალი შეფასებით აღინიშნა.

მანვე საშუალო სკოლებისთვის შეადგინა ბუნებრივი ზონების რუკა (თანაავტორი — ქრ. ჯაყელიძ, რომელიც გამოიყენებოდა საქართველოს გეოგრაფიის კურსის შესწავლისას.

დ.უკლებას შრომებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს მონოგრაფია რუსულ ენაზე „საქართველოს ანთროპოგენური ლანდშაფტები", რომელშიც ღრმა მეცნიერული ანალიზით მოცემულია ადამიანისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების შედეგები.

დავით უკლებამ პირველად შეადგინა ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგია.

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სამეცნიერო პოპულარული ნაშრომი „ალაზნის ველი", რომელიც დიდ დახმარებას უწევს მოსწავლე ახალგაზრდობას თავისი ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის — შიგნით კახეთის ბუნებრივი პირობების, რესურსების და ეკონომიკის შესწავლაში. ასევე ხატოვნად არის მოთხრობილი საქართველოს მდინარეებზე წიგნში „ჩვენი სამშობლოს ცისფერ გზებზე", მათ წარმომშობ ყინულოვან მთებსა და ლამაზ ხეობებზე. დიდი წვლილი მიუძღვის დ.უკლებას სასკოლო გეოგრაფიული ატლასის შექმნაში, რის გამოც სხვა მეცნიერებთან ერთად მას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

საქართველოს ბუნების დაუღალავ მკვლევარს ძლიერ უყვარდა საქართველო, მისი სხვადასხვა კუთხე. მრავალი წლის მანძილზე იყო სხვადასხვა საველე ექსპედიციის ხელმძღვანელი, სადაც ყოველთვის უშურველად უზიარებდა ხოლმე თავის მოწაფეებს ცოდნასა და გამოცდილებას.

დავით უკლებას შრომა ღირსეულად დაფასდა, მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია (1994ძ, იგი პირველი გეოგრაფია, რომელმაც ორგზის მოიპოვა (1987,1993 წ.წ.ძ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია. იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და დაჯილდოებული იყო ორდენითა და მედლებით.

მისმა ენციკლოპედიურმა ცოდნამ და მაღალი ღირებულებების მქონე სამეცნიერო ნაშრომებმა გეოგრაფთა არაერთ თაობას გაუკვალა მეცნიერებისკენ სავალი გზები, ჭეშმარიტად გაუძლო დროის გამოცდას და კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო გეოგრაფებს, არამედ საქართველოს ბუნებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკვლევარს.

**ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

## არბიტრაჟის უწყება
### საქმე № 132-2009

**შპს „ე-პეტროლს", თბილისი, გლდანის მასივი, მე-4 მ/რ, 91-ე კორპუსი, ბინა №44,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი **2009 წლის 31 დეკემბერს, 13.00 საათზე,** მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის"** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო შპს **„ე-პეტროლის"** და **სხვათა** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ.

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე.

## ფასები

# ეს დღეები საახალწლო ბაზარზე...

**საახალწლოდ შელამაზებულ დედაქალაქის ქუჩებს უფრო მეტად ალამაზებს „ქუჩის მოვაჭრეთა" გასამმაგებული რაოდენობა. თითქმის ყველა გაჩერებაზე, ჩამოსვლისთანავე იქვე იყიდება ყველაფერი:** მოსახარშად გამზადებული ინდაური — 55 ლარი, შესაწველად გამზადებული გოჭი (არ შეგეშინდეთ, შემოწმებულია, არანაირი ვირუსის საშიშროება არ არისძ — 70 ლარი, თაფლი — 13 ლარი, ყველი — 7 ლარი, თევზი — 5 ლარი, ნიგოზი — 15 ლარი, ჩურჩხელა — 2 ლარი, კიტრი — 2,50 ლარი, პომიდორი — 3 ლარი, ანანასი — 13 ლარი, ბანანი — 0,70 ლარი, ფორთოხალი — 2 ლარი, კივი — 2 ლარი. ეს საშუალოდ საახალწლო ფასებია. თუ გოჭის ყიდვას ვერ მოახერხებთ, სუფრისთვის შეგიძლიათ უკვე მოხარშული ღორის თავი 30 ლარად შეიძინოთ. ეს სიამოვნება კი სულ რაღაც 200 ლარამდე დაგიჯდებათ.

**თამარი, გამყიდველი:** „მყიდველთა რაოდენობა საგრძნობლად მომატებულია, 26-დან კი უკვე პიკს მიაღწია. ფასები ოდნავ მაღალია, მაგრამ წინა საახალწლო დღეებში ყოველთვის ასეა. რას ვიზამთ, ჩვენი ერთადერთი შემოსავალი ეს არის, არც პენსია მაქვს, სამწუხაროდ.

თუ ჯერ არ შეგიძენიათ ნაძვის ხე, მისი ფასი 8-ლარიდან იწყება და მოცულობასთან ერთად ფასებიც მატულობს, სათამაშოებს კი ორ ლარადაც იყიდით. თუ ტრადიციებს მივყვებით, ახალ წელს ახალი ცოცხი აუცილებელი ყოფილა, დამდეგ წელს რომ ბარაქიანად შეხვდეთ.

აი, ერთი უკმაყოფილო მყიდველიც გამოჩნდა: **ნათელა, 45 წლის:** „ეს რა უბედურებაა, რვა ტოტი აქვს ნაძვის ხეს, რვაფეხას ჰგავს და — 8 ლარიო, თანაც ფასს არ აკლებენ. შინ სამი მცირეწლოვანი მყავს, ნაძვის ხე ახლა მათ უხარიათ, მაგრამ ვერ ვყიდულობ. თვეში 150 ლარი მაქვს შემოსავალი, კომუნალური გადასახადებისთვის 70 ლარი მრჩება.

70 ლარად ნორმალურ სუფრასაც ვერ გავუშლი ბავშვებს, ალბათ მარტო ტკბილეულობის შეძენას მოვახერხებ. ერთი კილო ნიგოზის შეძენა მინდოდა. იქაც წონაში მომატყუეს. ვიგრძენი, რომ წონა აკლდა, დასამატებლად მივაწოდე და ვითომ ამატებდა, თურმე კალთაში იყრიდა ნიგოზს, გავმწარდი, ვერც ვერაფერი ვუთხარი და დავტოვე, აღარც ვიყიდე ისე წამოვედი".

**ლალი კუზიბაბაშვილი, მყიდველი:** „ძალიან კარგი საახალწლო განწყობა მაქვს, საგულდაგულოდ ვემზადები, წინდაწინ ვყიდულობ ყველაფერს, მერე უფრო გადატვირთული იქნება ბაზარი.

მე საინგილოდან ვარ და ჩემს საახალწლო სუფრას აუცილებლად დაამშვენებს „ინგლისური ფლოვი", ასეთი ტრადიციაა ჩვენთან. ახალი წლის მოსვლას დიდი იმედებით ველოდები, ქალაქშიც რომ გახვალ, ქუჩები ისეა მორთული, ნამდვილი საახალწლო განწყობაა".



**თინათინ ბორცვაძე**



**მეუღლე როენა, შვილი მედეა, სიძე ნიკა ჩიქოვანი, შვილიშვილები ლიზი, ლუკა, მეა ჩიქოვანები, სიდედრი მედეა ჯანჯღავა, ძმა ნუგზარ ჩარხიანი, რძალი დალი მახათაძე, ძმისწულები ლიზი, მაკა, ნიკა ჩარხიანები ოჯახებით, მძახლები რაფიელ ჩიქოვანი, ეკა მარაბელი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან**

**თეიმურაზ ჩარხიანის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 XII, 16 სთ. დაკრძალვა (გამოსვენებაძ 27 XII, 14 სთ. მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. 8ა, II სადარბაზო, III სართული, ბ. 13.**

---

**ციალა, ირაკლი ანდრიაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჯენეტა, გურამ, ლევან ქარანაზაშვილებს**

**ვალიკო ქარანაზაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

## ინფორმაცია

### ქრთამის აღების ფაქტზე 18 ადამიანია დაკავებული

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა გუშინ მიცკევიჩის ქუჩაზე სპეციალური ოპერაცია ჩაატარა.**

**ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია 18 ადამიანი, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლები არიან.**

**მათ შორის ერთ-ერთი დაკავებული ქალბატონია.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ყველაფერი ყველაფერზე

### მოპასანმა იხსნა ფრანგული ლიტერატურა?



**საფრანგეთის აკადემიის წევრმა ე.ფაგემ, მრავალი საინტერესო შრომის ავტორმა (მათ შორის მთავარია „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“, XIX ს.ძ ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა მსოფლიო ლიტერატურის კორიფეების მისამართით და წამყვანი ფრანგი მწერლებიც არ დაინდო. მას არ დაეთანხმნენ, მიიჩნიეს, რომ ამ ჰიპერკრიტიკოსმა ძალიან დაამცირა XIX საუკუნის მთელ მსოფლიოში ესოდენ აღიარებული და დაფასებული ფრანგული ლიტერატურა. თუმცა ბოლოს ფაგე რამდენადმე მაინც მოლბა და თქვა, რომ საუკუნის ბოლოს დიდმა რომანისტმა გი დე მოპასანმა (1850-1893ძ თავისი დიდებული შემოქმედებით მაინც იხსნა XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურა.**

აი ერთი დამახასიათებელი ნაწყვეტი ფაგეს წიგნიდან:

— მოპასანის ნაწარმოებების შემდეგ ყველა რომანი, მხოლოდ და მხოლოდ „მადამ ბოვარის“ გამოკლებით, რაღაც ხელოვნურად ჩანს, დიდი წვალებით და უზარმაზარი შრომის შედეგად შექმნილებად. ისე გვეჩვენება, რომ ისინი ნახევრად მხატვრებისა და ნახევრად კრიტიკოსების მიერ არიან დაწერილი, რომლებიც მკითხველებს წამდაუწუმ უხსნიან, რატომ იქცევიან მათი გმირები ასე და არა სხვანაირად.



### ასჯერ ნაკლები წიგნი იქნებოდა

**ყველა ქვეყანაში უამრავი ისეთი წიგნი იბეჭდება, რომლებსაც აზრი მხოლოდ... მისი ავტორებისთვის თუ აქვს.** ეს, ცხადია, ჩვენც გვეხება.

ძალიან კარგად თქვა ვოლტერმა: მხოლოდ სასარგებლო რომ დაებეჭდათ, მაშინ ასჯერ ნაკლები წიგნი იქნებოდა.

### რამდენი წევრი ჰყავს აკადამიას?

**— რამდენი წევრი ჰყავს თქვენს აკადემიას? — ჰკითხა დერჟავინმა რუსეთის აკადემიის მდივანს.**

— ასე, სამოცამდე.

— ამდენი? მე ბევრად ნაკლები მეგონა.

— მართალი ბრძანდებით. ზოგი არ ესწრება, ზოგი ისე, სხვათა შორის, აირჩიეს, ზოგსაც, უბრალოდ, არ უყვარს... წერა-კითხვა.

### შვეიკი იბრალებდა, რომ ერცჰერცოგი სწორედ მან მოკლა



**ოტო ფონ ბისმარკმა ოდესღაც იწინასწარმეტყველა, რომ „რომელიმე დაწყევლილი სისულელე „ბალკანებზე“ დიდ ომს გააჩაღებდა. ასეც მოხდა — 1914 წლის 28 ივნისს სარაევოში მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფერდინანდი და მისი მეუღლე სოფია ჰოჰენბერგი. მკვლელობაში 6 ტერორისტი მონაწილეობდა. ორგანიზაცია „მლადა ბოსნადან“ გავრილა პრინსიპისა და დანილა ოლიჩის ხელმძღვანელობით. ავსტრია-უნგრეთმა ამ მკვლელობით ისარგებლა, რათა სერბეთი ჩაეყლაპა. ასე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.**

ტრაგიკულიდან სასაცილომდე ხომ ერთი ნაბიჯია. გავიხსენოთ, როგორ ჩაება მსოფლიო ომში ყოჩაღი ჯარისკაცი იოზეფ შვეიკი. მას თავისი აზრი ჰქონდა საგარეო პოლიტიკაზე. დუქანში ლუდს რომ შეექცეოდა, პირდაპირ თქვა, რომ „ხელმწიფე იმპერატორი ამ საქმეს ისე არ დატოვებს... თქვენ მას ცუდად იცნობთ, თუ სხვანაირად ფიქრობთ. ომი დაიწყება — აი ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა“. საიდუმლო პოლიციის აგენტებმა რომ დააპატიმრეს და განყოფილებაში მიიყვანეს, იგი გამოტყდა, რომ... ერცჰერცოგი სწორედ მან მოკლა.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 — +12 |
| ქუთაისი. | +10 — +17 |
| ბათუმი. | +10 — +13 |
| ზუგდიდი. | +8 — +13 |
| თელავი. | +1 — +4 |

## ხუმარსიტყვა

### ზოგთა ჭკუადსალებად

პრეზიდენტს იტანს ველარა,
ეგებ იმდენი გეცლიათ, —
ხაშურში გადაეტანა
ავლაბრის რეზიდენცია.

თემას როდი ვხედი საწკეპლად,
კია ეს საქმე საშური:
ბოლოს და ბოლოს,
სასმელ წყალს
ელირსებოდა ხაშური!..

**სურა მელია**

## ანეკდოტები

ბიჭი გოგოსთან ერთად ტბაში ნავით შეცურდა. ტბის შუაგულს რომ მიაღწიეს, ბიჭი ამბობს:

— მე, რა თქმა უნდა, არ მიყვარს გოგოები, რომელთაც იოლად დაიყოლიებ, მაგრამ ისიც გაითვალისწინე, რომ ნავი სულ ერთი საათით მაქვს დაქირავებული.

* * *

არის დღე, როდესაც დაქირავებული თანამშრომლები ფირმის მეპატრონეზე უკეთ გრძნობენ თავს. ეს ხელფასის დღეა.

* * *

— რა ვაკეთოთ ახალ წელს? — ეკითხება ვასკა პეტკას.



— არაყი დავლიოთ.

— მოდი რა, ამ დღესასწაულს ჩვეულებრივ დღედ ნუ ვაქცევთ.

* * *

— ბავშვებო, დღეს საკონტროლო წერა გვაქვს.

— კალკულატორის გამოყენება შეიძლება, მასწ?— წამოიძახა მიხომ.

— შეიძლება.

— ტრანსპორტირის?

— მაგისიც. ჩაიწერეთ თემა: „საქართველოს ისტორია. XV საუკუნე“...

* * *

უკრაინაში გამოუშვეს ახალი ტელევიზორი „ზაპოროჟეცი“. მას ეკრანი უკან აქვს...

## დღის კალენდარი

### 26 დეკემბერი

**29-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. შაბათი.**

**მოწამე ევსტრატისა, ავქსენტისა, ევგენისა, მარდანისა და ორესტესი (IVძ; მოწამე ლუკიასი (304ძ; ღირსი არსენისა (VIII-Xძ; ღირსი ნიკოდიმესი (რუსმინ.ძ.**



**ამოდის 07.27**
**ჩადის 16.35**



**ამოდის 02.13**
**ჩადის 12.50**

### დაიბადნენ:

**1716 — ტომას გრეი,** ინგლისელი პოეტი. გარდაიცვალა 1771 წელს.

**1763 — ჟაკ ფრანსუა გამბა,** ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის კონსული თბილისში. გარდაიცვალა 1833 წელს.

**1882 — ალექსანდრე დიდებულიძე,** მეცნიერი—ენერგეტიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1951 წელს.

**1893 — მაო ძე-დუნი,** ჩინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1976 წელს.

**1897 — ნიკო კეცხოველი,** ბუნებისმეტყველი, აკადემიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1982 წელს.

**1910 — ელეფთერ ანდრონიკაშვილი,** გამოჩენილი ფიზიკოსი, აკადემიკოსი. გარდაიცვალა 1985 წელს.

**1918 — ივანე ლოლაშვილი,** ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. გარდაიცვალა 1984 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1771 — კლოდ ადრიან ჰელვეციუსი,** ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებელი, სენსუალისტი.

**1896 — გაბრიელ (გერასიმეძ ქიქოძე,** იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წლებში, პედაგოგი, ფსიქოლოგი და საზოგადო მოღვაწე.

**1940 — ეჟენ დიუბუა,** ჰოლანდიელი ანთროპოლოგი.

**1943 — დავით მესხი,** ჟურნალისტი, მთარგმნელი, დრამატურგი.

**1972 — ჰარი ტრუმენი,** აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი.

### მოვლენები:

**1825** — დეკაბრისტების აჯანყება პეტერბურგში.

**1939** — ძლიერი მიწისძვრა მოხდა თურქეთში. დაიღუპა 40 ათასამდე ადამიანი.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“* 99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | — 1.6839 ლარი |
| 1 ევრო | — 2.4162 ლარი |
| 1 გირ. სტ. | — 2.7097 ლარი |
| 100 რუბლი | — 5.5320 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | — 4.4129 ლარი |
| 1 აზ. მან. | — 2.0965 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | — 2.1151 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | — 1.1099 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | — 2.4660 ლარი |



## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.